# კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“


# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი
14 აპრილი,
2003 წელი
№97
(4476)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.


## თვალსაწიერი

## სიგარეტზე გაგზავნილის იმედი ხურდის დაბრუნებისას

ჯანსაღი კონკურენცია წარმატების საწინდარია!

ამაში ჩვენ, საბჭოთა სისტემაში გაზრდილი ურწმუნონი, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებით.

მაგალითად, როცა ეროვნულმა ბიზნესმენმა საკუთარი გაწიფული თვალით იხილა, რომ სულ იოლად და იორღად შეიძლება საჭირო ნებართვა იშოვო და მაგალითად, „ბუკიას ბაღში“, გამსახურდიას პროსპექტზე, ცირკის ფორმის და სიდიდის „ბავშვთა“ კაფე ჩადგა, სადაც ნორჩებისა რა გითხრათ, მაგრამ მათი მამები, ბიძები და იმ მამებისა და ბიძების ძმაკაცები პირდაპირ უდაბნოგამოვლილი მწყურვალებივით იმხობენ პირში არყის ჭიქებს, ადგა და თვითონაც გააშანშალა ისეთივე ნებართვა (მონდომება იყოს, თორემ ნებართვას იშოვი კი არა, სულაც ნებართვის გამცემს დაიბამ ეზოში ნაგაზივით) და აგერ მელიქიშვილისა და იაკობ ნიკოლაძის ქუჩების გადაკვეთაზე ერთ ფიორა სკვერში, ამ რამდენიმე წლის წინათ სახინკლე თუ სახაჭაპურედ გადაკეთებული საყვავილეს ადგილზე, მასიური, ნახევარი სკვერის ფართობის რესტორან-ბასტიონის მშენებლობა დაიწყო...

ასე იცის ჯანსაღმა კონკურენციამ და ეროვნულმა გაქანებამ.

მაგრამ მე ამჯერად კაფე-რესტორნები სულაც არ მაინტერესებს (დაპატიჟებით არავინ მეპატიჟება და ჩემი ჯიბის იმედით შესვლას კი ვერ ვახერხებ).

უბრალოდ, კონკურენცია-წამხედურობაზე მინდა ვთქვა, ოღონდ არა ბიზნესის, არამედ პოლიტიკის დარგში.

აბა, ერთი ჩვენს პარტიებს გადახედეთ, რა კონკურს-კონკურენცია აქვთ გაჩაღებული.

ოღონდ ეგ არის, ჯანსაღს ნამდვილად ვერ უწოდებ.

ვინ ვის დაასწრებს, და, ვთქვათ, ჭოკით მხტომელ ქემოკლიძეს შეიყვანს თავის სიაში!

იხ. მე-2 გვ.

## დედა ერისა

## დღე ანგარიშგებისა



14 აპრილი!..

ყოველ ეპოქას აქვს თავისი ნიშანდებული თარიღები. მათს ფასსა და მნიშვნელობას უფრო ჭეშმარიტად შემდგომი მოვლენების განვითარება წარმოაჩენს ხოლმე, შესაფერის ადგილსაც ისტორიაში ის მიუჩენს...

საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ასეთ ნიშანსვეტად 14 აპრილი იქცა. ისტორიაში შემთხვევით არაფერი ხდება: მაშინ ნაკლებად ვინმე თუ იგუმანებდა, რომ ამ, ერთი შეხედვით, სტიქიური სტუდენტური ამბოხით ქვეყნის ისტორიის სრულიად ახალი ეტაპის ათვლა იწყებოდა, რომელსაც ეპოქალურ მოვლენათა მთელი ჯაჭვი უნდა მოჰყოლოდა და რაც სულ მალე, ათასწლეულის ბოლო ათწლეულამდე, ეროვნული სულის განთავისუფლებით უნდა დაგვირგვინებულიყო...

იხ. მე-3 გვ.

## პარტიებსა და მოძრაობებში

## „თანადგომა“ თანადგომას გიცხადებთ

**პოლიტიკური კავშირის „თანადგომის“ ხელმძღვანელობამ წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, საარჩევნო ბლოკის „თავისუფალი საქართველოსათვის“ თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს, რომელშიც, კერძოდ ნათქვამია:**

საქართველოსათვის უაღრესად რთულ პერიოდში, როცა ქვეყანა იდგა გზაგასაყარზე – წასულიყო ტოტალიტარიზმის დიქტატურის გზით თუ აერჩია დემოკრატიული განვითარების გზა, როდესაც მიმდინარეობდა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების უაღრესად რთული პროცესი, როდესაც სამოქალაქო ომისა და ეთნიკური კონფლიქტების შედეგად დასუსტებულ ქვეყანას და მის ხელმძღვანელს სჭირდებოდა მხარში ამოდგომა და ჭეშმარიტი თანადგომა, 1995 წლის გაზაფხულზე თქვენი კურსის ერთგულ მამულიშვილთა ინიციატივით დაფუძნდა პოლიტიკური კავშირი „თანადგომა“.

იხ. მე-2 გვ.

## თეთრი აპრილი



გაზაფხულსაც სულ პირველად რუსთაველზე გაიგებ... ჯემალ კასრაძის ფოტო.

## ოპერაცია „თავისუფალი ერაყი“: დღე ოცდამეხუთე



**ტიკრიტი, 50 ათასკაციანი დასახლება, ერაყის ბოლო მსხვილი ქალაქია, რომელიც ჯერ არ აუღიათ კოალიციის ჯარებს. გუშინ დილით ამერიკულმა საჯარისო ნაწილებმა ჩრდილოეთის მხრიდან დაიწყეს ქალაქისკენ მოძრაობა. იგი მთლიანად ალყაშემორტყმულია. მიმდინარეობს მოლაპარაკება მისი ჩაბარების შესახებ.**

* * *



**კოლინ პაუელის თქმით, ომი დამთავრდა და ახლა მასობრივი განადგურების იარაღის ძებნაა საჭირო. მისივე სიტყვებით, ოპერაცია წარმატებულად ჩაითვლება მხოლოდ ერაყელი ხალხის მიერ დემოკრატიის მიღებით და არა იქაური პრეზიდენტის გადაყენებით.**

* * *



**აშშ-მ აღმოაჩინა სადამ ჰუსეინის 1,2 მილიარდი დოლარის კაპიტალი. მთლიანად კი, თუ ვილაპარაკებთ „სადამის ოქროზე“, სხვადასხვა შეფასებით, მისი ქონება ორიდან ოცდაათ მილიარდ დოლარამდე მერყეობს. ვარაუდობენ, რომ კაპიტალი სხვადასხვა ქვეყნის ბანკებში გახსნილ საიდუმლო ანგარიშებზეა გაბნეული.**

* * *



**მოსკოვი და ბაღდადი ერთმა-
ნე[redacted]დნენ სადაზვერვო მო-
ნა[redacted]მარ მზადებასთან და-
კა[redacted]. ამაზე მეტყველებს
ერ[redacted]ვერვის დაბომბილ
შტ[redacted] აღმოჩენილი დოკუ-
მე[redacted]ლებიც ბრიტანელ ჟუ-
რნ[redacted] ჩაუვარდათ. ამ დო-
კუ[redacted] მიხედვით ჰუსეინის
მთ[redacted]რუსეთის დაზვერვის
და[redacted] იღებდა.**

## ინტერპანორამა

**წინასწარი მონაცემებით უნგრეთში გამართული რეფერენდუმების მონაწილეთა 83 პროცენტმა მხარი დაუჭირა ევროკავშირში ქვეყნის გაწევრებას. რეფერენდუმში ამომრჩეველთა დაახლოებით 45 პროცენტი მონაწილეობდა.**



**ნიგერიაში არჩევნებისას პოლიტიკურ ნიადაგზე 8 კაცი მოკლეს. თუმცა, საზღვარგარეთელ დამკვირვებელთა უმეტესობის თქმით, ნიგერიის ეროვნული ასამბლეის არჩევნები, რომლებიც ყველაზე მასშტაბური იყო აფრიკაში, მშვიდობიანი ხასიათით გამოირჩეოდა.**



**არიელ შარონი მზადაა გაიყვანოს ებრაული დასახლებები იორდანეს დასავლეთი ნაპირიდან. მისი თქმით, იგი მზად არის, გადადგას „თითოეული ებრაელისა და პირადად მისთვის მტკივნეული“ ნაბიჯები. „ვიცი, რომ მოგვიწევს ზოგიერთ აქაურ ადგილთან განშორება“ , – დასძინა მან.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რ[redacted]ლიკა“!

## თვალსაწიერი

# სიგარეტზე გაგზავნილის იმედი ხურდის დაბრუნებისას

(პირველი გვერდიდან)

არადა, ეს მეჭოკე ქემოკლიძე აზრზეც არ არის, რა პარტიებია ეს პარტიები, კალთებს რომ ახევენ და, სულაც სიმართლეს თუ ვიტყვით, საერთოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, რა უნდა აკეთოს პარლამენტში, სარომლისოდაც ახაზირებენ ეს მარჯვე კაცები. მან მხოლოდ ხუთი მეტრის სიმაღლეზე გადებულ თამასაზე გადავლება იცის და იმის ქვემოთ რა ხდება, არ აინტერესებს.

ახლა კი ჩასციებიან, გინდა თუ არა, თაური და სარმა ისწავლე, პარლამენტში ყველაზე მეტად ეგ გამოდგებაო, ეგ თუ იცი, ვითომ ყველაფერი გცოდნიაო.

არადა, ეს ტკბილი კაცი დარწმუნებულია, პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, ჭოკით კი მეჭოკე გადახტეს.

ახლა, როცა საბოლოოდ გახმიანდა, რომ პრეზიდენტი სახელისუფლო ბლოკს ჩაუდგა სათავეში და შუბი შემართა, საქართველოში დგას ჟამი ძველი, ხელმოცარული, დაფუშული ბლოკების ნგრევისა და ჟამი ახალი ბლოკების შეკოწიწებისა.

აბა, კონკურენცია თუ არის, აქ არის.

ტელეეკრანი გაცისფრდება და ზედ გამოსახულება გამოჩნდება თუ არა, სირცხვილით თვალები საით წავიღო არ ვიცი. გამოდიან ეს ჩვენი ცნობილი (ხშირ-ხშირი გამოსვლებით ცნობილია, თორემ ასიდან ორი ვერ გეტყვის,რითი განსხვავდება მემარცხენე-მემარჯვენე ცენტრისტი შავლეგ იორღაშვილი მემარჯვენე-მემარცხენე ცენტრისტ იორღა შავლეგაშვილისგან) პოლი-ქხხ-ქხხ-ტიკოსები და უბედურ ელექტორატს უხსნიან, რა კარგები არიან თვითონ და რა ცუდია პრეზიდენტი, როგორ ყველაფერი იციან თვითონ და დედამიწის ზურგზე არაფერი არ იცის პრეზიდენტმა...

და ყველაფერი გაგონებს სავაჭრო დახლს, სადაც ნაირ-ნაირი თოჯინაა გამოფენილი — რუსული, დასავლური... ძირითადად ერზაცი, იაფფასიანი. ოღონდ ყურადღება მიაპყრო, ოღონდ ხელში აიღე!

ბევრი მათგანი ხომ დღეს პირზე ქაფმომდგარი ლანძღავს პრეზიდენტს, მაგრამ საკმარისია პრეზიდენტმა როგორღაც სიგარეტის საყიდლად გაგზავნოს, ცხვირპირისმტვრევით გავარდება, აცა, ხურდის დაბრუნებისას იქნებ თვალში მოვუვიდე და თავის ბლოკში შესვლა შემომთავაზოსო!

კი, არიან გამოუსწორებელი ოპონენტებიც, რომლებიც „აქ დგანან და სხვაგვარად არ ძალუძთ“, მაგრამ მათ უარესი გასაჭირი აქვთ: ერთმანეთის ბლოკები ადგათ ყელზე.

ამას წინათ ვუსმენდი: ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა და ბატონმა ზურაბ ჟვანიამ კინაღამ მოკლე ჩართვით გადაწვეს ტელევიზორი: აი, ხომ გაფრთხილებდითო, ედუარდ შევარდნაძემ ბოლოს მაინც ბლოკი ჩამოაყალიბაო. როგორ თუო!

ოღონდ, რაღაც ოდინდელი რიხი არ ისმოდა მათ ხმაში, არ უთქვამთ, ერთ ლუკმად არ გვეყოფიანო, როგორც ადრე აცხადებდნენ კოჭებმომტვრეული მოქკავშირის მიმართ.

სახელისუფლო ბლოკში ირინა სარიშვილის შესვლამ ახალი საზრუნავი გაუჩინა ოპოზიციას, რომელიც არც მანამდე იყო მონოლითური, ახლა ხომ ახალ-ახალი „დეზერტირების“ გარდუვალი შესაძლებლობები გაჩნდა.

აქეთ, პარლამენტის იმდღევანდელ უკვორუმო სხდომაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის საკითხის გაუტანლობამ დააკარგვინა წონასწორობა (რაც მას ხშირად მოსდის) ჯემალ გოგიტიძეს და ისეთი სიტყვები აკადრებინა თავისი ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ, პოლიტიკურ მოღვაწეს არამც და არამც რომ არ უნდა ეკადრა, ზრდილობა თეორიულ დონეზე მაინც რომ ჰქონოდა.

წეღან ვთქვით, ჩვენს ახალგაზრდა პოლიტიკოსებს ჰგონიათ, თუ პრეზიდენტს გალანძღავენ, ავტომატურად გაეხსნებათ გზა ელექტორატის გულებისკენ.

არ არის ასე!

აი, პრეზიდენტი კი არ ილანძღება. საქმეს აკეთებს. თანაც ისე მარჯვედ და წარმატებით, რომ არაერთი ოპონენტი ამ გაგანია ურთიერთჭიდილში სათავისოდ შემოაბრუნა.

სხვას თავი დავანებოთ, ერაყის კრიზისში სწორი კურსის აღება (რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ღმუილს და მის კვალობაზე ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის წამოკნავლებას მხედველობაში ნუ მიიღებთ) რად ღირს, როცა გაჩნდა შანსი, რომ მარტო და ობლად აღარ ვართ ამ ტიალ ქვეყანაზე, რომ, ბოლოს და ბოლოს, იქნებ ბოლო მოეღოს ჩრდილოეთიდან როზგებით ჩვენს აჭრელებას.

ყოველ შემთხვევაში, რაღაცის იმედი გაჩნდა. სულ უიმედობას ხომ სჯობია!

არადა, იქნებ მეტიც გამოჭიატდეს?

**ალეკო ასლანიშვილი.**

## დაჯილდოება

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 10 აპრილი — ქ. თბილისი

### თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებასა და მათ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების მედლით დაჯილდოვდნენ თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები:

**თამარ ბარბაქაძე** — ფილოლოგიის მეცნიერებათა კათედრის პროფესორი; **ტატიანა ბახტაძე** — ქორეოგრაფიული ხელოვნების კათედრის უფროსი მასწავლებელი; **ილია კალანდაძე** — მუსიკალური ხელოვნების კათედრის დოცენტი; **ქეთევან სანებლიძე** — სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კათედრის დოცენტი; **იზოლდა სუთიძე** — საფინანსო დარგის მუშაკი; **იამზე ტყებუჩავა** — მუსიკალური ხელოვნების კათედრის დოცენტი; **მაია ფარცხალაძე** — მეთოდისტ-კოორდინატორი; **ლალი ყაულაშვილი** — ბიბლიოთეკის გამგე; **მანანა ჩაგელიშვილი** — უცხო ენათა კათედრის უფროსი მასწავლებელი; **ბადრი ცხადაძე** — ასპირანტურის განყოფილების გამგე, პროფესორი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## თანამშრომლობა

# გამოცდილების შეძენის მიზნით

საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ორი ოფიცერი ამ კვირაში დაღესტნის ქალაქ კასპიისკში დაგეგმილ რუსეთის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ერთობლივ სწავლებებში მონაწილეობისათვის ორ ოფიცერს გაგზავნის. საქართველოს წარმომადგენელთა ასეთ ღონისძიებაზე დასწრება გამოცდილების შეძენას ითვალისწინებს.

**პრაიმ-ნიუსი.**

## კვირა

### რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

**— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახა ტრაპაიძე.**



### ქვეყნისთვის

— კოალიციამ, რომლის წევრი საქართველოც არის, მიუხედავად პროგნოზებისა ომის დიდი ხნით გაჭიანურების შესახებ, აიღო ბაღდადი, რითაც გაჩნდა იმედი იმისა, რომ მსოფლიოს ახალი მოწესრიგების პროცესში ჩვენი ქვეყანა გარკვეულ, თუნდაც მცირე როლს შეასრულებს, რაც, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს სიტუაციის სტაბილიზაციის პროცესს საქართველოშიც და, შესაძლოა, გაჩნდეს ეკონომიკური აღმავლობის საფუძვლებიც.

### ჩემთვის პირადად

— საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა გასულ კვირაში დაიწყო პრაქტიკული მუშაობა იუნესკოს გრანტზე, რომელიც ითვალისწინებს მიწისძვრით დაზარალებულ ქალაქის ისტორიულ ნაწილში სასწრაფო გადაუდებელ ქმედებებსა და, რაც უმთავრესია, ძეგლის სტატუსის მქონე 780 შენობის სააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ეს პირველი ნაბიჯი იქნება ამ სფეროს სამართლებრივი მოწესრიგებისაკენ, რადგან სწორედ ასეთი სახის დოკუმენტაციის არარსებობა გვიქმნის პრობლემებს ჩვენი პოზიციის თუ აზრის დაცვისა და მისი განხორციელების დროს.

## პარტიებსა და მოძრაობებში

# „თანადგომა“ თანადგომას გიცხადებთ

(პირველი გვერდიდან)

დღესაც გულწრფელი სიამაყის გრძნობით გვახსენდება თქვენი მხარდაჭერა „თანადგომის“ შექმნასთან დაკავშირებით. თქვენი სიტყვები — „თანადგომას ვუცხადებ „თანადგომას“ — გახდა უდიდესი სტიმული ჩვენი კავშირის საქმიანობაში. დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენს პოლიტიკურ კავშირს, რომელსაც დღეისათვის 36 ქალაქსა და რაიონში აქვს შექმნილი პირველადი ორგანიზაციები და თავის რიგებში 27 ათასზე მეტ წევრს ითვლის, არასოდეს უღალატია თქვენი, თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოღვაწისა და ავტორიტეტული პოლიტიკოსის მიერ არჩეული კურსისათვის.

დღეს, როდესაც უკვე პრაქტიკულად აღიარებულია ახალი მსოფლიო წესრიგის პრიორიტეტები, როცა გაიმარჯვეს დემოკრატიულმა ღირებულებებმა, კიდევ ერთხელ გვეძლევა საშუალება ხაზი გავუსვათ თქვენს უდიდეს პოლიტიკურ ალღოს, როდესაც უპირობოდ დაუჭირეთ მხარი ამერიკის შეერთებული შტატების ბრძოლას დიქტატურის წინააღმდეგ. თქვენი მოღვაწეობის შედეგია, რომ საქართველო გახდა ანტიერაყული კოალიციის ერთ-ერთი აქტიური წევრი, რომ საქართველომ დაიბრუნა საუკუნეების წინათ დაკარგული ფუნქცია — იგი მსოფლიო თანამეგობრობის ანგარიშგასაწევ და ღირსეულ ქვეყნად ჩამოყალიბდა. შორს არ არის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დღეც.

ბატონო ედუარდ, ღრმად გვწამს, რომ თქვენს მიერ დასახული როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკური კურსი კვლავაც უნდა გაგრძელდეს და განვითარდეს. გვჯერა, რომ თქვენი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება კვლავინდებურად უშურველად მოხმარდება ჩვენი სამშობლოს შემდგომი აღმავლობის საქმეს.

ჩვენი ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა პრეზიდენტის ირგვლივ ძლიერი, თავდადებული და შემოქმედი ძალებით დაკომპლექტებული საიმედო გუნდის შექმნა. ჩვენ ასეთ გუნდად თქვენი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული ბლოკი „ახალი საქართველოსათვის“ გვესახება.

პოლიტიკური კავშირი „თანადგომა“, როგორც თქვენი კურსის ერთგული და ტრადიციულად მხარდამჭერი ორგანიზაცია, თავის ადგილს სწორედ ამ ბლოკში მოიაზრებს.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენს მიერ დამოძღვრილი და პოლიტიკურ ასპარეზზე გზადალოცვილი „თანადგომა“ გიცხადებთ თანადგომას.

**პოლიტიკური კავშირის „თანადგომის სახელით“**
**თენგიზ კალანდაძე,**
**საქართველოს პარლამენტის წევრი;**
**გურამ გეწაძე.**

## ინფორმაცია

### აფხაზეთში სიტუაცია მწვავდება

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა აფრთხილებს საზოგადოებას, რომ გარკვეული ძალების უპასუხისმგებლო ნაბიჯებმა, სამართლებრივმა ვაკუუმმა და პოლიტიკურმა რყევებმა, შესაძლოა, „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაკარგვა გამოიწვიოს“.

აფხაზეთის მოსახლეობისადმი მიმართვაში ვლადისლავ არძინბამ უარყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ამცახარას“ მიერ წაყენებული ბრალდებები და არ დაეთანხმა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „აფხაზეთის ხელისუფლება სამართლებრივი და პოლიტიკური ვაკუუმის პირობებში ფუნქციონირებს“.

იგი არ დაეთანხმა „ამცახარას“ მოსაზრებებს აფხაზეთში ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემის, მოსახლეობის გაღატაკებისა და უმუშევრობის ზრდის თაობაზე.

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოუწოდა „ამცახარას“, გაითვალისწინოს, რომ ხელისუფლება საერთაშორისო საზოგადოების მიერ აფხაზეთის უღიარებლობის პირობებში მოქმედებს, რაც მას დამატებით სიძნელეებს უქმნის.

### „კავკასიის ფორუმის“ ეგიდით

არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიის ფორუმის“ ეგიდით, კავკასიის რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციების სემინარების მეორე ტური მთიანი ყარაბაღის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკის დედაქალაქ სტეფანაკერტში 16-20 აპრილს გაიმართება.

სემინარში მონაწილეობას მიიღებენ მთიანი ყარაბაღის, სამხრეთ ოსეთის, ასევე აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის სუბიექტების წარმომადგენლები.

### ქრისტიან-დემოკრატები მოკავშირეს ეძებენ

„ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი“ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის წარმატებულ მოკავშირეს ეძებს, — უთხრა „ინტერპრესს“ კავშირის წევრმა დემურ გიორხელიძემ.

მისი თქმით, „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი“ შესაძლო პარტნიორებთან მოლაპარაკებებს 3-4 მიმართულებით აწარმოებს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ იგი არჩევნებზე დამოუკიდებელ სუბიექტად წარსდგეს. საბოლოოდ თავის პოზიციას პარტია უახლოეს დღეებში ჩამოაყალიბებს.

### გაიმართება ნატოს სემინარი

ნატოს სტანდარტიზაციის სააგენტოს წარმომადგენლები საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 22-26 აპრილს სემინარს გამართავენ.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ნატოს პროგრამის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ირაკლი ბატკუაშვილმა განუცხადა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ქვეყნის სწრაფვასთან დაკავშირებით, დაგეგმარების, კავშირგაბმულობისა და სხვა პარამეტრების პრინციპების შესაბამის სტანდარტებზე ეტაპობრივი გადასვლა აუცილებელია.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და ინტერ-პრესმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# 14 აპრილი ქართული ენის დღეა

> საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
> ხმათა საყვერდების და ღმერთების ენავ!
> ლადო ასათიანი.

## დედა ერისა

(პირველი გვერდიდან)

სულ მალე, — ვთქვი და უმალ გამახსენდა, როგორ უსაშველოდ გაიწელა ის ათითერთმეტი წელი — 1989 წლამდე... თითქოს ეს წლები იმ ცეცხლის მალვისა და გაფრთხილების წლები იყო, რომელმაც უკვე იჩინა თავი...

დიახ, 14 აპრილს თვალდათვალ აბრიალდა ის წმინდა ალი, რომელიც დიდი წარსულიდან ილიას სიტყვის მადლით იყო გარდამოსული და — დრომდე — განათლების თეთრ ტაძარში იყო დავანებული.

ისტორიის დიდი თარიღები, ჩვეულებისამებრ, მეწამულად იწერება ხოლმე. 1978 წლის გაზაფხულის თბილი დღე, საბედნიეროდ, უმსხვერპლოდ აღსრულდა, მაგრამ, განა 14 აპრილის წილიც არ იყო 9 აპრილს დაღვრილ სისხლში?!.. გა-

ის ბიუროკრატი, რომელიც შეიძლება საზეიმო დღეს დედაენის ძეგლთან (ან სხვა წმინდა ადგილას) წინ-წინ არის თავმოსაწონი სიტყვის სათქმელად გამოჭიმული, რაიმე ქმედითი ნაბიჯის გადასადგმელად თავსაც არ შეიწუხებს და პირად დამოკიდებულებებსაც ადვილად გადააყოლებს საქვეყნო საქმეს.

ეს გამიზნული საყვედური, იმავე დროს, არსებითად უმისამართოა, რამდენადაც მეტ-ნაკლებად ყველას გვხვდება, რადგან, ილიას პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ, ენის — როგორც ღვთაების — წინაშე ყველანი ცოდვილნი ვართ. და აქ შესაფერისი იქნებოდა, გრიგოლ ხანძთელის საძმოს ქრისტიანული პრინციპით ვიქცეოდეთ: უწინ „თავსა თვისსა აბრალობდესო“...

## დღე ანგარიშგებისა

ია, 14 აპრილის აღმავალი გადაძახილი არ იყო 1989 წლის აპრილიც, 1991 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადებაც, ევროპული კარის გაღებაც და... მომავალი — ევროატლანტიკური ალიანსის წევრობაც?!..

მეორე მხრივ, იმავე 14 აპრილის სამაგიერო სასჯელიც იყო 9 აპრილის ღამე, თბილისის დაქცევა, აფხაზეთი, სამაჩაბლო... რას ვიზამთ, დიდ ისტორიულ თარიღებს თავისთავად ახლავს პათეტიკაც... უნდა ითქვას, ეს პათეტიკა მძლავრობდა მაშინაც, როდესაც გადაწყდა, რომ 14 აპრილი დედაენის დღედ გამოცხადებულიყო.

ეს ხომ დედაენის დღის დაწესების პირველი პრეცედენტი იყო მსოფლიოში. და სწორედ ამიტომაც — ამ დღის ეროვნულ თარიღად შემოღება დიდი პასუხისმგებლობის კისრადდებასაც მოასწავებდა.

როდესაც ამგვარი წინადადების შესათანხმებლად არნოლდ ჩიქობავასთან მისულან, მას ასე უთქვამს: **— ურიგო არ იქნება, ოღონდაც თუკი ეს დღე დედაენის წინაშე ანგარიშგებისა იქნება და არა — ზეიმისაო!**

დიდმა მეცნიერმა, როგორც ვხედავთ, შესანიშნავად იცოდა, რა უფრო ეთავისება ჩვენს ხასიათს — პომპეზური ზეიმი თუ სადა ანგარიშგება...

მას მერე მის ამ „ანდერძს“ აქტუალურობა არ მოჰკლებია.

პირდაპირ უნდა ითქვას: თუ რაიმე უქმნის დაბრკოლებას ქართული ენის — დღეს უკვე დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფო ენის — სრულფასოვან ფუნქციონირებასა და განვითარებას, ეს არის ნამდვილი პასუხისმგებლობის, სახელმწიფოებრივი შეგნების დეფიციტი (ანუ იგივე, რაც, საერთოდ, მთელი ქვეყნის განვითარების დამაბრკოლებლად ქცეულა)!

ეს ბრალდება რომ რომელიმე თანამემამულეს პირში უთხრა, თავმოყვარეობაშელახული მოსისხლე მტრად გამოგაცხადებს, მაგრამ ისიც ხომ სრულიად აშკარაა, რომ

აღნიშნული პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, სამწუხაროდ, დღეს უკეთესი ვითარება არ არის, ვიდრე ჩვენს უახლოეს საბჭოურ წარსულში, იმ შეჩვენებულ იდეოლოგიურ დროს — მაშინ ჩინოვნიკს მხილებისა მაინც ეშინოდა!..

არადა, რაოდენ სერიოზული, რთული და მრავალწახნაგოვანი პრობლემები მოიყოლა, უპირველესად სწორედ სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მხრივ, დამოუკიდებელი ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო ურთიერთობებმა, განათლების ახალმა სისტემამ, თავისუფალმა მასმედიამ, მეცნიერებისა და ტექნიკის უსწრაფესმა განვითარებამ, საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში შესვლამ...

ჩვენ ველოლიავებით და ვუფრთხილდებით დემოკრატიის მონაპოვრებს, ზოგჯერ თვალს ვხუჭავთ აშკარა შეცდომებზეც კი (სხვათა შორის, შეცდომების „სამხილებლად“ არაპროფესიონალებს უფრო აქვთ თავი გამოდებული, ვიდრე საქმეში ჩახედულთ), ოღონდაც ნოვატორული აზრი გათამამდეს, ოღონდაც თავისუფალი სიტყვა განვითარდეს... მაგრამ ზოგჯერ — განსაკუთრებით ანგარიშგების ჟამს — სიმართლეც ხომ უნდა ითქვას?!

თუ არა სახელმწიფოებრივი შეგნების ნაკლებობა, სხვა რა შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ სახელმწიფო ენის კანონზე მსჯელობა ვიწროპარტიული (ვითომპოლიტიკური) აღებმიცემობის საგნად იქცეს!..

თუ არა პასუხისმგებლობის დეფიციტი, სხვა რა არის იმ ჟურნალისტის მოქმედება, რომელიც ღია ეთერში უკომპლექსოდ და უბოდიშოდ ურევს ერთმანეთში ქართულ-რუსულ-ინგლისურებს!..

თუ არა აგდებული დამოკიდებულება ყველაფრისადმი, მაშ, რა არის იმ ბიზნესმენის მოქმედება, ვინც ათასობით დოლარიან სარეკლამო სტენდს ამზადებს და იმდენადაც არ იტკიებს

თავს, ტელეფონით მაინც დაეკითხოს ვინმეს, გამართულია თუ არა შესაბამისი ტექსტი!

თუ არა სრული დაუდევრობა, სხვა რა ვუწოდოთ იმ კაცის მოქმედებას, რომელიც საკუთარი ჟურნალ-გაზეთის დაარსებას გადაწყვეტს და ფიქრადაც არ მოუვა, ერთი ისეთი კაცი მაინც დაიყენოს გვერდით, ელემენტარული წერა-კითხვა რომ ეცოდინება (და, ნეტა, მართლა ვინმეს სჯერა, რომ ამგვარი გამომცემელ-რედაქტორი მართლაც მასმედიისა და დემოკრატიის განვითარებას მოემსახურება?..)!..

განა ცოტა არსებობს ასეთი კითხვა ჩვენს გარშემო?

მაშ, რაღა მაინცდამაინც ჩვენში აღმოჩნდება დემოკრატიის დაქცევა, რომ სახელმწიფო ენას სათანადო საკანონმდებლო სტატუსი განესაზღვროს, რომ ცივილიზებული სამართლებრივი ფორმით დადგინდეს თავისუფალი მოქალაქის პასუხისმგებლობა სახელმწიფო ენის მიმართ — სავაჭრო სამსახურის კანონში, განათლების კანონში, პრესის კანონში...

დიახ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოენობრივი მექანიზმი ჯერაც არ ამუშავებულა შესაფერისად, ჯერაც აკლია ის თვალი და ყური, რის მაგალითსაც იგივე ევროპული ქვეყნები იძლევიან. ამიტომაც არის, რომ ახლად ფეხადგმული სახელმწიფოს არსებითად სწორი ენობრივი პოლიტიკა სასურველ ეფექტს ვერ იძლევა და სულაც თითებზე შეიძლება იმ სფეროების ჩამოთვლა, სადაც მისი გავლენა ასე თუ ისე სწვდება.

დრო კი არ ითმენს... XXI საუკუნის დაჩქარებული დრო ჩამორჩენილთა წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს. ქართულ ენას დიაღაც შეუძლია თანამედროვე ცივილიზაციის უღლის ღირსეულად გაწევა, ოღონდ ამას სათანადო ძალისხმევა სჭირდება, სახელმწიფოებრივი ძალისხმევა...

... და თუ მაინც ამ დღეს — 14 აპრილს — ვინმეს უნდა მივულოცოთ დედაენის დღე, უპირველეს ყოვლისა, ეს იქნება ჩვენი სკოლის მასწავლებელი, ვინაც დიდი სულიერი შემართებით ამ სიდუხჭირისა და უსინათლობის წლებშიც არ მოაკლო სითბო აღსაზრდელებს — დედაენის სიყვარულით გაუთბო გულები და დედაენის მადლით გაუნათა ის გზა, რომელიც კვლავაც დედა-უნივერსიტეტისაკენ, კვლავაც დამოუკიდებელი ქვეყნის სულიერი განვითარებისაკენ მიემართება.

**ავთანდილ არაბული,**
**არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი.**

## მხარე

# სადაც ცხოვრობ, იქაური ქუდი დაიხურე!



**თრიალეთის ზეგანზე, უძველს ქართულ მიწაზე — წალკის რაიონში ორას წელზე მეტია, რაც ძირითად მოსახლეობას ბერძნები და სომხები შეადგენენ. ამ ხნის განმავლობაში მათი საურთიერთობო ენა რუსულია. ორმოცდახუთი სოფლიდან ერთადერთი ძველი ქართული სოფელია რეხა.**

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ენის პალატის მოთხოვნამ სახელმწიფო ენის შესწავლის აუცილებლობის შესახებ, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია წალკელებში. მიუხედავად გამგეობის ხელმძღვანელობის მოთხოვნისა, სხდომები, თათბირები, „მშობლიურ“ რუსულ ენაზე მიმდინარეობს. საბუთთა უმეტესობა რუსულ ენაზე გაიცემა.

წვევამდელთა კონტინგენტი წალკაში არცთუ მცირეა, მაგრამ სამხედრო სამსახურიდან თავის არიდების მთავარი მიზეზი სახელმწიფო ენის უცოდინრობაა.

ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის არცოდნა აქ ჩვეულებრივი მოვლენაა, ამიტომ ადგილობრივ მოსახლეობას ორასი წლის მანძილზე ვერ გაურკვევია იმერელი, სვანი და მეგრელი ქართველი რომ არის, არც კი იციან, რომ ერთ დროს სახელმწიფო გვქონდა და მეფეები გვყავდა.

წალკის რაიონის სოფლების ძირითადი საინფორმაციო წყარო ადგილობრივი გაზეთი იყო, რომელიც ყოველ მეორე დღეს გამოდიოდა ორმოცი წლის მანძილზე რუსულ-სომხურ ენაზე, რამაც გარკვეული კვალი დატოვა წალკის მოსახლეობის ცნობიერებაში.

პირველი ქართულ-რუსული გაზეთი „წალკის უწყებანი“ სამი წლის წინათ გამოვიდა ადგილობრივი გამგეობის გადაწყვეტილებით, რაც რაიონის ახლანდელი გამგებლის ელდარ ხვისტანის დამსახურებაა, გაზეთს სომეხი მოსახლეობის მოთხოვნით სომხური გვერდიც დაემატა.

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“, უთქვამს გრიგოლ ორბელიანს. ჩვენს ტერიტორიაზე ქართული ენა უნდა დავამკვიდროთ, რათა ტერიტორიული მთლიანობის რღვევის ერთ-ერთი მიზეზი ენის უცოდინარობა არ გახდეს აფხაზეთივით. როგორც მამა, ძე და სულიწმიდაა განუყოფელი, ისე ენა, მამული და სარწმუნოებაა განუყოფელი ცნებები.

ჩვენს წინაპრებს მამულის, ენის და სარწმუნოების გადასარჩენად თრიალეთის ზეგანზე არაერთი ბრძოლა გადაუტანიათ. იმედია, ამას არ დაივიწყებენ მაღალმთიანი რეგიონებიდან ახალჩამოსახლებული აჭარლები და სვანები, რომლებმაც ბერძნებისგან დაცარიელებული რამდენიმე სოფელი გააქართულეს და ააღორძინეს ქართული სულით. იმედი გვაქვს, სამხრეთ საქართველო კვლავ ქართულენოვანი ფესვძლიერი მოსახლეობით იამაყებს და ქართული ენა უცხო აღარ იქნება იქაური არაქართველებისათვის. მანამდე კი ჩვენი გაზეთი წალკის მოსახლეობას ქართულადაც ესაუბრება და თავის სათქმელს ეუბნება.:

მთელ საქართველოს ვულოცავთ „ქართული ენის დღეს“, წალკის მოსახლეობას კი ვუსურვებთ მალე დაუფლებოდეს სახელმწიფო ენას, რაც კიდევ ერთი აგური იქნება ჩვენი მეგობრობის მშენებლობაზე.

**ნაზი მეზველიანი,**
**გაზეთ „წალკის უწყებანის“ რედაქტორი.**

## გამოიცა

# ქება ქართულ ანბანს

## ჩვენი დამწერლობის ისტორიის შეხსენება არ გვაწყენს

**ამ ორივე წიგნის ავტორია პედაგოგი, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის განყოფილების გამგე ბესარიონ ხურცილავა. ორივე წიგნი: „დიდი ბაკური — ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი“ და „ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპოქის, გარემოებებისა და ავტორთა ვინაობის საკითხისათვის“, ქართული ასომთავრული დამწერლობის ისტორიას ეხება, ორივე წიგნი მკითხველის ყურადღებას იმსახურებს.**

პირველი წიგნი დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობითაა მომზადებული და არქიმანდრიტ რაფაელისა (კორელინი) და დეკანოზ ალექსანდრეს (ბოლქვაძე) ლოცვა-კურთხევით არის გამოცემული.

ბესარიონ ხურცილავას მონოგრაფია „დიდი ბაკური“ ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელ ადრექრისტიანული ხანის (IV-V სს) გამოჩენილ ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, თავისი დროის უდიდეს მოაზროვნეს, მეცნიერსა და მწიგნობარს, ეროვნული ქრისტიანული დამწერლობისა და (ასომთავრული ანბანის) ორიგინალური კალენდარული წელთაღრიცხვის ერთ-ერთ შემოქმედს „დიდ ბაკურს“ ეძღვნება. ნაშრომში ძველ ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე აღნიშნული პიროვნების მრავალმხრივი პორტრეტია წარმოჩენილი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის როგორც ნაცნობი, ისე დღემდე პრაქტიკულად უცნობი ეპიზოდებით. გამოკვლეული და მწყობრი სახით არის ჩამოყალიბებული დიდი ბაკურის ღვაწლი ქართული ასომთავრული ანბანისა და ორიგინალური კალენდარული წელთაღრიცხვის შექმნის საქმეში; მოცემულია აღნიშნული მოვლენის შინაარსობრივი მხარის, თანმდევი გარემოებებისა და მსოფლმხედველობრივი ასპექტების ფართო ანალიზი და სხვ.

მონოგრაფიის პირველი გამოცემის რედაქტორები არიან ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი იოსებ კვიციანი და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჯემალ სტეფნაძე.

მეორე ნაშრომი „ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპოქის, გარემოებებისა და ავტორთა ვინაობის საკითხისათვის“ ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპოქის, გარემოებებისა და ავტორთა ვინაობის აქტუალურ და დღემდე საკამათო საკითხების კვლევას ეხება. წიგნში წარმოდგენილია ძველ წერილობით წყაროებში დაცული იმ ცნობების კრიტიკული ანალიზი, რომლებიც ქართული დამწერლობის შექმნის თემას შეეხებიან; მოცემულია შესასწავლ პრობლემებთან დაკავშირებული ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, ფილოლოგიური, ქრონოლოგიური თუ სხვა სახის ძიებანი, რის საფუძველზეც ავტორს საკვლევი თემის ირგვლივ საკითხის დასმის წესით ჩამოყალიბებული აქვს სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე არსებულთაგან განსხვავებული, ორიგინალური თვალსაზრისი. კონსულტანტია არქიმანდრიტი რაფაელი.

მისასალმებელია, ის, რომ ორივე ნაშრომის ავტორია ახალგაზრდობის აღმზრდელი, თავად ახალგაზრდა ისტორიკოსი, ისეთი სკოლისგარეშე დაწესებულების მუშაკი, როგორიც მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლეა.

ორივე ნაშრომი როგორც სპეციალისტების, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის არის განკუთვნილი. ის ხელმისაწვდომი ხდება მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის განყოფილებაში მოსული დედაქალაქის თუ რეგიონებიდან მოზიდული უფროსკლასელი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

**ნათელა ფაილოძე.**







გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 97, ორშაბათი, 14 აპრილი, 2003 წელი.

## კულტურა

2003 [illegible] 28-29 [illegible]

# ევროპული ცივილიზაცია საომარი კონფლიქტების ფონზე

**უკანასკნელ წლებში დედამიწის სხვადასხვა კუთხეში გაჩაღებულ ომებს კაცობრიობის უდიდესი კულტურული საგანძური შეეწირა. ირან-ერაყის, სპარსეთის ყურის, ყოფილი იუგოსლავიისა და ავღანეთის საომარ მოქმედებათა შედეგად კულტურული მემკვიდრეობის განადგურების უპრეცედენტო მასშტაბებმა** ცხადყო, რომ ომებით გამოწვეული ნგრევისაგან კულტურულ ფასეულობათა გადარჩენა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქცა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფისა და გენოციდის უზარმაზარი მასშტაბების ფონზე მსოფლიო საზოგადოების ყურადღების კონცენტრაცია კონფლიქტების კულტურულ ასპექტებზე დროულად ვერ მოხერხდა. ყოფილი იუგოსლავიის კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებისადმი მიძღვნილ რეზოლუციებში აგრესიული სეპარატიზმის ნიადაგზე გაჩაღებული საომარი კონფლიქტები შეფასებულია როგორც „ევროპული ცივილიზაციისა და ღირებულებების კოლაფსი“. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ უდანაშაულო მოსახლეობის მასიური ჟლეტისა და კულტურულ ფასეულობათა, განსაკუთრებით საკულტო ნაგებობათა, შეგნებული ნგრევის შემაძრწუნებელი მაგალითები ევროპის საბჭოს ფუძემდებლური ღირებულებებისა და პრინციპების უარყოფას წარმოადგენს.



ბედიის მონასტერი X-XI სს.

აფხაზეთის საომარ კონფლიქტთან დაკავშირებით, კონფლიქტის დაწყებამდე და მის შემდგომ პერიოდში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ უდიდესი ტკივილის განცდით მიმართა მსოფლიოში აღიარებულ პოლიტიკურ და რელიგიურ მოღვაწეებს, მათ შორის კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსსა და მსოფლიო პატრიარქს ბართლომეოს I-ს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი II-ს, რომის პაპს იოანე-პავლე II-ს, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივანს ემალიო კასტროს, ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალურ მდივანს ჟან ფიშერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბუტროს ბუტროს გალის. აღნიშნულ მიმართვებში გამოხატულია თხოვნა, რათა მსოფლიო საზოგადოებამ ხმა აღიმაღლოს და წინ აღუდგეს იმ დაუფარავ აგრესიას, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევის მიზნით ახორციელებენ გარეშე ძალები და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი. კათოლიკოს-პატრიარქმა მიმართა მათ მოწოდებით, გამოხატონ პროტესტი რუსეთის ფედერაციიდან შემოჭრილი ტერორისტული ბანდის წინააღმდეგ, რომელნიც აფხაზ სეპარატისტებთან ერთად ჟლეტენ მშვიდობიან მოსახლეობას, მათ შორის სრულიად უდანაშაულო ხალხს, ღვთისა და ხალხის ჭეშმარიტ მსახურთ, სასულიერო პირებს. ამ მოწოდებით პატრიარქი აფრთხილებს ყველას, რომ გადამჭრელი ზომების გარეშე აფხაზეთის ტერიტორიაზე გაჩაღებული სისხლისმღვრელი პროცესი შესაძლოა იქცეს მსოფლიო მნიშვნელობის გლობალური კონფლიქტის წარმოქმნის რეალურ საფრთხედ.

ევროპის საბჭოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე (1997 წ. 11 სექტემბერი, სტრასბურგი) წარმოთქმულ სიტყვაში საქართველოს პრეზიდენტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მსოფლიო გლობალურ პოლიტიკაში იმ უდიდესი საფრთხის გაცნობიერების აუცილებლობას, რასაც შეუწყნარებლობასა და სეპარატიზმზე დაფუძნებული შეიარაღებული კონფლიქტები უქმნიან საკაცობრიო კულტურულ ფასეულობებს. „თანამედროვე აგრესიებისა და კონფლიქტების ქარცეცხლში იფერფლება უდიდესი კულტურული საგანძური, როგორც ეს უკვე მოხდა კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთში და განამარტო იქ, — ჩემს სამშობლოშიც“.

სოხუმის დროებით დაკარგვის პირველსავე დღეებში იუნესკოს გენერალური დირექტორის, ბატონი ფედერიკო მაიორისადმი გაგზავნილ მიმართვაში საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ბატონი ედუარდ შევარდნაძე აღნიშნავდა: „ცივილიზებული სამყაროსათვის უკვე ცნობილია აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ განხორციელებული მშვიდობიან მოქალაქეთა მასიური ჟლეტისა და ეთნიკური წმენდის ვანდალური ფაქტების შესახებ. ამასთან, ჯერ კიდევ არაფერია ცნობილი იმ აუნაზღაურებელი დანაკლისის შესახებ, რაც აფხაზმა სეპარატისტებმა მიაყენეს ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვან მატერიალურ და სულიერ კულტურას. დარწმუნებული ვარ, თქვენი რეაგირება და ძალისხმევა გაზრდის აგრესორზე საერთაშორისო ზემოქმედების ეფექტს, საფუძველს მისცემს იუნესკოს, სრულად გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა უპასუხოდ არ დარჩეს აფხაზ სეპარატისტთა მიერ კაცობრიობის ძირითადი საგანძურის — კულტურის წინაშე ჩადენილი დანაშაული“.



გადაუდებელ აუცილებლობად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ კონფლიქტის პოლიტიკური შეფასების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემატიკაში ჯეროვანი ასახვა ჰპოვოს კულტურულმა განზომილებამ. დაუშვებელია იმ განუზომელი მნიშვნელობის ფაქტის იგნორირება, რომ ეთნიკური წმენდის პარალელურად ხორციელდება კულტურული წმენდა.

რამდენადაც დღევანდელ ეტაპზე აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება, საქართველოს ამ განუყოფელ ნაწილში შეიარაღებული კონფლიქტისა და მის შემდგომ პერიოდში კულტურულ ფასეულობათა დაცვა მთლიანად საერთაშორისო სამართლის ნორმებზე და მათ ეფექტურ ამოქმედებაზეა დამოკიდებული. აღნიშნულის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჰააგის 1954 წლის კონვენცია „შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ“.

ჰააგის 1954 წლის კონვენცია სამართლიანად არის მიჩნეული იუნესკოს დიდ გამარჯვებად, რამდენადაც სწორედ მისი მეშვეობით გახდა შესაძლებელი კულტურის ცნების იურიდიულ ცნებად აღიარება.

ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია კონვენციის მიერ გაცხადებული და სამართლებრივად განმტკიცებული ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური იდეა, რომ „თითოეული ხალხის კულტურული ღირებულებისათვის მიყენებული დანაკლისი მთელი კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის დანაკლისია“.

საქართველოს პარლამენტმა 1996 წელს მხარი დაუჭირა ჩემს წინადადებას და აფხაზეთში შექმნილი ვითარებისადმი მიძღვნილ დადგენილებაში ცალკე პუნქტად შეტანილ იქნა საკითხი საომარი კონფლიქტის შემთხვევაში აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობის დაცვის მიზნით ჰააგის 1954 წლის კონვენციის ამოქმედებისა და მისი ეფექტური რეალიზაციისათვის გადაუდებელი ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე.

საქართველოს პრეზიდენტის, ბატონი ედუარდ შევარდნაძის მიმართვის საპასუხოდ, 1997 წლის 10-17 ივნისს საქართველოში იმყოფებოდა იუნესკოს მეთვალყურეთა საგანგებო მისია (იუნესკოს გენერალური დირექტორის ფედერიკო მაიორის მრჩევლის, რაიმონ ლემერისა და საერთაშორისო ექსპერტის ჯოვანი ბოკარტის ხელმძღვანელობით). მისია წინასწარ შეთანხმებული პროგრამით შევიდა აფხაზეთში საომარი მოქმედებებით დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის დანაკლისის შესაფასებლად.

მნიშვნელოვანი ხარვეზების მიუხედავად, შეიარაღებული კონფლიქტით მიყენებული ზარალის ზოგადი სურათის განსაზღვრისათვის აღნიშნულ მისიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. რაც შეეხება ხარვეზებს, იგი განაპირობა სეპარატისტული რეჟიმის მიერ იუნესკოს მოთხოვნის უხეშმა დარღვევამ, რის შედეგადაც აფხაზეთის ტერიტორიაზე არ დაუშვა საქართველოს მხარის ექსპერტ-სპეციალისტი, რის გამოც შეუძლებელი აღმოჩნდა ინფორმაციის მიღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ვანდალური დაბომბვის შედეგად სოხუმის ისტორიული კვარტალების ნგრევის ხარისხის შეფასება, ცალკეულ არქიტექტურულ და საინჟინრო-სამშენებლო ძეგლებზე ქართული წარწერების მდგომარეობის ფიქსირება.

აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის ანალიზი ცხადყოფს, რომ აგრესიული სეპარატიზმის ნიადაგზე გაჩაღებულ ომებს კულტურული ფასეულობის განადგურების სპეციფიკური და ამასთან, განსაკუთრებით საშიში თავისებურება ახასიათებთ.

საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ერის თვითმყოფადობისა და შემოქმედებითი გენიის სიმბოლური გამოხატულება, მისი შემქმნელი და შემოქმედი ერის წარუშლელ კვალს ატარებს. ამდენად, იგი სამართლიანად აღიქმება როგორც გარკვეულ სივრცესა და გეოგრაფიულ გარემოში ერის ისტორიული ცხოვრების დამადასტურებელი კვალი და მატერიალური დოკუმენტი. აღნიშნული მოსაზრება არავითარ წინააღმდეგობას არ უქმნის იმავე სივრცეში სხვა ერებთან თანაცხოვრების შედეგად საუკუნეთა მანძილზე წარმოქმნილ კულტურათა თანაარსებობასა და დიალოგს.

აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისათვის კულტურული მემკვიდრეობა აგრესიული კუთხური ნაციონალიზმის გამოხატვის საშუალებად იქცა. იგი ისტორიისა და კულტურის ქართულ ძეგლებს მოწინააღმდეგის სიმბოლურ ხატად აღიქვამს, საკუთარი ხალხის ცნობიერებაში აღვივებს ამ მტრული სიმბოლოების განადგურებისა და მოსპობის ფსიქოზს.

აფხაზი სეპარატისტების მიერ იუნესკოს მეთვალყურეთათვის მიცემული ინფორმაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურული მემკვიდრეობის მხოლოდ აფხაზური წარმომავლობის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული და საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული ჭეშმარიტების აშკარა გაყალბებასთან ერთად, ჰააგის კონვენციის უხეშ დარღვევასაც წარმოადგენს, რამდენადაც აღნიშნული კონვენცია (მუხლი 4, პუნქტი 3) კრძალავს კულტურულ ფასეულობათა მითვისების ნებისმიერ გამოვლინებას.

ასეთი ანტიმეცნიერული და სიყალბეზე დაფუძნებული პოლიტიკა სეპარატისტულ რეჟიმს ბუნებრივად უბიძგებს, გაანადგუროს და საზოგადოებას დაუმალოს ძეგლისაგან განუყოფელი ყველა ის ნიშანთვისება, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ძეგლის აფხაზური წარმომავლობის აბსურდულ იდეას. ამიტომაა, რომ ძეგლში ორგანულად ჩაქსოვილი და ქვაში ნაკვეთი თუ კედლის მხატვრობაში ჩართული ქართული წარწერა, როგორც ძეგლის ქართული წარმომავლობის უტყუარი მატერიალური საბუთი, განადგურებისაგან შველას ითხოვს.

(დასასრული იქნება).

## მსოფლიო შტრიხებში

### იქეიფეთ, მაგრამ ზომიერად

ალბათ, გახსოვთ, ერთ დროს ჩვენში დიდი ბრძოლა რომ წამოიწყეს ხალხმრავალი ქორწილებისა და ქელეხების, საერთოდ, ზომაგადასული ღრეობების წინააღმდეგ, თუმცა ის „კამპანია“ იმ წყობილებასთან ერთად ისტორიას ჩაბარდა.

და აი, ახლა სწორედ ასეთივე კამპანია იწყება ერთ დროს საბჭოთა, ხოლო ახლა დამოუკიდებელ უზბეკეთში. ჯერ პრეზიდენტმა კარიმოვმა, ხოლო შემდეგ უზბეკეთის უმაღლესმა მუფტიამ მიმართა ქვეყნის მოქალაქეებს — თავდაჭერილად აღნიშნონ ოჯახური დღესასწაულები, როგორიცაა ქორწილი, ბავშვის დაბადების დღე და სხვ.

ადგილობრივი წეს-ჩვეულებით ოჯახური ცერემონია ძალზე ხალხმრავალია. რაც მეტ სტუმარს დაპატიჟებს, იმედიანად მაღალია მასპინძლის სტატუსი. ასეთ დღეს თავი რომ არ შეირცხვინოს, ბევრი ოჯახი შიმშილობს კიდეც, ოღონც ფული დააგროვოს სადღესასწაულოდ.

ბოლო ხანებში კი ამ ქვეყნის ქალაქებსა თუ სოფლებში გამოჩნდნენ „ახალი უზბეკები“, ვინც უფრო გაზარდა ეროვნული დღესასწაულების სიგრძე-სიგანე. ხშირად ისინი ცდილობენ, თავიანთი გულუხვობა-ხელგაშლილობით „გაანადგურონ“ ნაცნობ-მოყვარეები. ყველას ხომ არ შეუძლია მათთან გატოლება.

რათა შეაჩეროს ეს უაზრო, ზომაგადასული „ღრეობები“, მუსულმანთა მმართველობამ გადაწყვიტა ტეტფის (რელიგიური კანონის) მიღება, რომელიც გმობს ძალზე ხალხმრავალ ქეიფებს.

იმამები მოუწოდებენ ხალხს, თუ კი ვისმე ზედმეტი ფული აქვს, მაშინ დაეხმაროს გაჭირვებულებს, ღარიბ-ღატაკებს.

თანაც ერთგვარ დათმობაზეც მიდიან — ბოლოს და ბოლოს, თუ სტუმრად ხუთასი კი არა, სამასი კაცი მოგივა, ამით არაფერი დაშავდებაო.

### აიკრძალა ბენლადენიანი მაისურები

საუდის არაბეთის ხელისუფლებმა აკრძალეს იმ მაისურის გაყიდვა, რომელზეც გამოსახულია საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ყაიდას“ ლიდერი უსამა ბენ ლადენი.



შინაგან საქმეთა და ვაჭრობის სამინისტროებმა, ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ ცნობით, გამოუშვეს ერთობლივი ცირკულარი, რომელიც მუნიციპალურ ორგანოებს ავალებს, მოაწყონ რეიდები სავაჭრო წერტებში და ამოიღონ ტაილანდიდან შემოტანილი მოკლესახელოიანი მაისურები.

ამ მაისურებზე გამოსახულია უსამა ბენ ლადენი ნიუ-იორკის აფეთქებული ცათამბჯენების ფონზე.

ბენ ლადენს საუდის მოქალაქეობა 1993 წელს ჩამოერთვა იარაღის უკანონო ვაჭრობისათვის.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## კრიმინალი და საზოგადოება

# ნემსისა და აქლემის ქურდი კვლავ თანაბარია!

**ბოლო წლებში ჩვენთან უამრავი რეზონანსული საქმის გამოძიება დამთავრდა და სასამართლომაც გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. თუმცა, არა მგონია, ამ სფეროში ქვეყანას თვითდამშვიდების საფუძველი ჰქონდეს, პრობლემა თავსაყრელია. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეს რევაზ ზარანდიას.**

**— ბატონო რეზო, ახლახან საკმაოდ გახმაურდა საქმე სააქციო საზოგადოება „საქგაზის“ მუშაკთა მიმართ. როგორ მიდის აქ გამოძიება?**

— ამ საქმეზე, საპროცესო თვალსაზრისით, გამოძიების ორი მესამედი უკვე გავლილია. ჩატარებულია საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის არაერთი შემოწმება და ექსპერტიზა, დაკითხულია პირები, რომლებსაც ამ საქმესთან დანაშაულებრივი თუ სხვა ხასიათის შემხებლობა აქვთ. სადღეისოდ გამოძიება, უკვე მოპოვებულ მტკიცებულებათა საფუძველზე, სამართლებრივ შეფასებას აძლევს ბრალეულთა ქმედებებს. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა საზოგადოების ყოფილი გენერალური დირექტორი გურამ ჩიჩუა, რომელიც ამ თანამდებობაზე საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეობიდან მოვიდა.

**— რაში ედება ბრალი ჩიჩუას კონკრეტულად?**

— გურამ ჩიჩუამ, სააქციო საზოგადოება „საქგაზის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე არცთუ ისე ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში (1999 წლის ნოემბერი — 2000 წლის ოქტომბერი), ბუნებრივი გაზის რეალიზაციისას, საბუღალტრო მანიპულაციათა გზით, ბიუჯეტს სხვადასხვა გადასახადის სახით, დიდძალი თანხა დაუმალა. მის დაპატიმრებაზე გაცემულია სასამართლოს ბრძანება. ჩიჩუა იმალება. წყდება სხვა პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც.

**— ახლახან გურამ ჩიჩუამ „იატაკქვეშეთიდან“ ქართულ საზოგადოებას პრესით მიმართა. მისი მტკიცებით, გამოძიებამ საქმე შეთითხნა, ხოლო სასამართლომ პროკურატურის დაკვეთა „ღირსეულად“ შეასრულა, როცა მას აღმკვეთი ღონისძიებების სახით პატიმრობა შეუფარდა. ვითომ მართლა უკანონოდ ისჯება გურამ ჩიჩუა?**

— გურამ ჩიჩუამ „საქგაზის“ შემოსავლებიდან დაახლოებით 6 მილიონი დამალა და სახელმწიფო ბიუჯეტი 546.819 ლარით აზარალა. ეს გამოძიებით დადგენილია და საქმის რა შეთითხნაზე, რა დაკვეთაზეა საუბარი, ჩემთვის ძალზე გაუგებარია. ისე, ეს ახალი მეთოდი არაა. დამნაშავენი, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ხშირად მიმართავენ აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო სტრუქტურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მასმედიისა თუ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. ახლა იგი ნიანგის ცრემლებით ამუნათებს სწორედ იმ საზოგადოებას, რომელსაც ხელფასები და პენსიები წაართვა, მერე კი მიიმალა.

**— და მაინც რა სასჯელს ითვალისწინებს გურამ ჩიჩუას მიერ ჩადენილი დანაშაული?**

— თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთიდან ხუთ წლამდე. ეს დანაშაული კანონმდებლის მიერ კვალიფიცირდება როგორც ნაკლებად მძიმე დანაშაული. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ არასრულწლოვანი, რომელიც ბინაში შეღწევით ათ ლარს „ხელს გააყოლებს“, სამიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, ხოლო „ჰალსტუხიანი ინტელიგენტისათვის“, რომელიც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ხაზინას მილიონს ჰპარავს, ისჯება მსუბუქად, მაშინაც კი, სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალიდან არც ერთი თეთრი დაფარულიც რომ არ ჰქონდეს.

შესაძლოა ვცდები და ახალ ყოფით რეალიებს ვერ ვითვალისწინებ, მაგრამ ერთი რამ ცხადზე ცხადია: საბჭოთა სოციალისტური წყობილებისათვის სახელმწიფო ნამდვილად არ იყო დედინაცვალი — იგი ერთი და იმავე დანაშაულისათვის, რომელიც მიმართული იყო როგორც სახელმწიფო, ისე მოქალაქის საკუთრების ხელყოფისაკენ, პრიმატს სახელმწიფო საკუთრებას ანიჭებდა და უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა. რატომღაც დღეს მნიშვნელობა არა აქვს ბიუჯეტს 10 ათასს დაუმალავენ თუ 10 მილიონს, — ეს ქმედება ერთნაირი კვალიფიკაციისა და სასჯელის მატარებელია. როგორც ჩანს, ნემსისა და აქლემის ქურდი კვლავ თანაბარია!

**— ბატონო რეზო, გამომძიებლები და პროკურორები, ამგვარი ლაფსუსების გამო, ხშირად ჩივიან, — კანონმდებლობის მხრივ ბევრი რამ რიგზე არაა ისეთ ურთულეს დარგში, როგორიც საქმის გამოძიებააო. რაში ხედავთ გამოსავალს?**

— გამომძიებლებსა და პროკურორებს განა არ ესმით, თუ რა მდგომარეობაშია სახელმწიფო? — გაძნელებულია ბიუჯეტში თანხების მოზიდვა, რომლის ერთ კონკრეტულ მაგალითზე უკვე ვისაუბრეთ, რაც პირდაპირ აისახება ჩვენი ხელფასების სიმცირეში, გამოძიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირეში და სხვა. მაგრამ გამოსავლის ძებნაში პრობლემათა დაძლევის საშუალებები არა მგონია ამოწურული იყოს. მათზე დღეს არ ვისაუბრებ. უპირველესად, მსურს ზოგადი ფორმით შევეხო სისხლის სამართლის მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას, რომლის დახვეწასაც ჩემთან ერთად სხვაც ბევრი ისურვებდა.

არ ვიცი, თუ რითაა გამართლებული ერთი და იმავე სისხლის სამართლის საქმეში დაუშვებლად მიჩნეული სპეციალისტის ან თარჯიმნის მონაწილეობა, თუ კი იგი უკვე მონაწილეობს ან წინათ მონაწილეობდა ამავე საქმეში და, კანონმდებლის მხრიდან, რა დასაბუთებას ემყარება ამის აკრძალვა? სანამ დღეს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას მივიღებდით, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა დაამთავრა გამოძიება იაპონიის მოქალაქის, ვინმე კაგავას მიმართ, რომელმაც თბილისში, ერთ-ერთ სასტუმროში საქართველოს მოქალაქე განზრახ მოკლა. წარმოიდგინეთ, გამომძიებლის მდგომარეობა, ეს მკვლელობა ახალი რედაქციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედების პერიოდში რომ ყოფილიყო ჩადენილი. როგორ მოქცეულიყო ასეთ სიტუაციაში გამომძიებელი, რა გამოსავალი მოეძებნა ჩვენს პირობებში და საიდან მოეყვანა იაპონურ ენას სრულყოფილად დაუფლებული 15 პირი, რამდენადაც კაგავას მონაწილეობით სწორედ თხუთმეტზე მეტი საგამოძიებო მოქმედება შესრულდა? მით უფრო არ არის გამართლებული კანონმდებლის მიერ ამდაგვარი აკრძალვის დაწესება იქიდანაც გამომდინარე, რომ თარჯიმანი განზრახ არასწორად თარგმნისათვის ფრთხილდება სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. ბოლო პერიოდის ფართო კონტაქტები და ინტეგრაციულ პროცესებში ქვეყნის შეუქცევადი ჩაბმა გამომძიებელსა თუ პროკურორს საკითხისადმი ამდაგვარი საკანონმდებლო რეგლამენტაციით მიდგომა ხშირად ჩააყენებს გამოუვალ მდგომარეობაში. საკითხავია, მოიგებს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის პროცესი მსგავსი ნორმის მოქმედებით? — არა მგონია!

**— საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია ათზე მეტი საგამოძიებო მოქმედება (ვთქვათ, დამნაშავისაგან იარაღის ან ნარკოტიკის ამოღება), რომელთა ჩატარებაში სავალდებულო წესით არანაკლებ ორი დამსწრე უნდა მონაწილეობდეს. რამდენად სწორია ასეთი ნორმა და თუ შესაძლებელია მისი თავიდან აცილება?**

— უცხო ქვეყნების უმრავლესობისათვის ცნობილი არ არის დამსწრის ინსტიტუტი. ბევრი დასავლური სახელმწიფო ენდობა სამართალწარმოებაში მის მიერ დასაქმებულ თანამდებობის პირს, თუნდაც რიგით პოლიციელს. ჩვენში ნუთუ ასე იოლია ქუჩაში გააჩერო თავის გზაზე, თავის საქმეზე მიმავალი ადამიანები, რომლებიც დაგთანხმდებიან დამსწრედ ჩაბმაზე? ნებისმიერი ან უარს გეტყვის, ან შეგეკითხება — ხომ არ დაუძახებენ სასამართლოში კონკრეტულ საგამოძიებო მოქმედებაში დამსწრედ მონაწილეობის გამო? და როცა გაიგებს, ეს გამორიცხული არ არის, უმალ ხელებს გაასავსავებს. არასაპატიო მიზეზით უარის თქმისათვის ან მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე თავის არიდებისათვის ფულადი სახდელის დაკისრება მას არ აფრთხობს და გამომძიებელიც თავს ანებებს, გადადის სხვა მოქალაქეთა ხვეწნა-მუდარაზე, რათა გამოძვრეს კანონმდებლის მიერ ჩაყენებულ ძნელად თავდასაღწევი მდგომარეობიდან.

მიმაჩნია, რომ დამსწრის ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობა გამოძიების ობიექტური წარმოების უტყუარი გარანტი ვერ იქნება. გამოსავალი მარტივია: გამომძიებელს თუ პროკურორს, რომელიც დაუშვებს მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას, სახელმწიფომ საჯარო სამსახურის კარი უნდა მიუხუროს და პასუხისგებაში მისცეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რომელიც დასჯადად აცხადებს გამომძიებლისა და პროკურორის (ასევე მომკვლევისა და დამცველის) მხრიდან საქმეზე მტკიცებულებათა გაყალბებას და ამისათვის ერთობ მკაცრ სასჯელს — სამიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას აწესებს (მითითებული მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები).

**— საინტერესოა, მოწმის ადვოკატის ინსტიტუტის შემოთავაზებაც, მაგრამ სანამ კანონმდებლობით არ დაკონკრეტდება მოწმის ადვოკატის უფლებები და მოვალეობები, მანამდე, ჩემი აზრით, გაუგებარი რჩება კანონმდებლობის ეს ნოვაცია. თქვენ რას იტყვით?**

— მოწმე, მოქმედი კანონმდებლობით, ვალდებულია გამოძიების ორგანოსა და სასამართლოს სწორად აცნობას ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს. ასეთ შემთხვევაში რა როლი განეკუთვნება მის ადვოკატს, რომელიც მოწმედ დასაკითხ პირს გამოძიების ორგანოში თუ სასამართლოში გამოჰყვა? ქვეყანაში, სადაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით სამართლებრივი ნიჰილიზმია გამეფებული, მოწმეს, რომელსაც გამომძიებელი, პროკურორი თუ მოსამართლე შეკითხვებს დაუსვამს მისთვის ცნობილი გარემოებების ირგვლივ, აქვს კი უფლება, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე და განაცხადოს, რომ პასუხების გაცემამდე ის თავის ადვოკატს მოელაპარაკება და კონსულტაციას მიიღებს?

ან უნდა დავაკონკრეტოთ მოწმის ადვოკატის უფლება-მოვალეობები, ან მოწმის დაკითხვასაც ორი დამსწრე უნდა დავასწროთ იმის დადასტურებისათვის, თუ რა გარემოებებში იკითხებოდა იგი და ხომ არ ჰქონდა მასზე რაიმე ფორმით კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედებას. სხვანაირად, მოწმის ადვოკატი, დაკითხვის პროცესში უბრალო სტატისტის როლში დარჩება.

**— ახლა ბევრს ლაპარაკობენ სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნაზე. პროკურატურას ამ კუთხით დიდი ბრძოლები აქვს გადატანილი, არა?**

— საქართველოს კონსტიტუციით სადღეისოდ დადგენილი და გარანტირებული სადეპუტატო იმუნიტეტით (ფორმითა და მოცულობით) პარლამენტის წევრისაგან, თუ



ეს მის ინტერესებში არ შედის, გამომძიებელი და პროკურორი ვერასოდეს მიიღებს ჩვენებას ვერც ერთ საქმეზე. ხოლო თუ იმუნიტეტის მატარებელი პირი რაიმე ფორმით შემხებლობაშია გამოსაკვლევ სამართალდარღვევასთან, ჩვენების მიღება საერთოდ შეუძლებელი ხდება. ამის შეუდარებელი მაგალითებია ავთანდილ იოსელიანისა და ნუგზარ საჯაიას ცილისწამების, ასევე 2002 წლის 5, 6, 14 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის პლენარული და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომების ჩაშლის დანაშაულებრივ ფაქტებზე აღძრული და გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში არსებული საქმეები. ამის მიზეზით პროკურატურაში არაერთი საქმე წარმოებით შეჩერდა.

თუ იმუნიტეტის საკითხიც დროულად არ მოგვარდა, უამრავი საქმე ჩაფლავდება, ჭეშმარიტება ვერ დადგინდება და ჩინოვნიკებს დანაშაული შერჩებათ.

**— ბატონო რეზო, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით აღიარებულია სისხლის სამართლის პროცესის მხარეთა თანასწორობის საფუძველზე განხორციელება, მაგრამ ეს ყველაფერი, მე როგორც ვატყობ, დეკლარაციული ხასიათისაა. ასეა?**

— გამომძიებელი თუ პროკურორი, როგორც მხარე, აშკარად უთანასწორო მდგომარეობაში რჩება პროცესის სხვა მონაწილეებთან. ავიღოთ თუნდაც დაცვის მხარე. საპროცესო კანონმდებლობით ადვოკატს შეუძლია თავისი კლიენტის სასარგებლო მტკიცებულებათა მოპოვება. მაგრამ კანონი მას არ ავალდებულებს, ისინი წინასწარი გამოძიების ორგანოს წარუდგინოს. მას უფლება აქვს ისინი სამართალწარმოების შემდგომ სტადიაზე, საქმის სასამართლო განხილვისას გამოიყენოს. ასეთ შემთხვევაში მხარეთა თანასწორობაზე საუბარიც კი უადგილოა. დიდ გაკვირვებას იწვევს საზღვარგარეთიდან მოწვეულ ექსპერტებში ჩვენი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი საკითხიც, როგორიცაა ბრალდებულისა და ადვოკატისათვის საქმის მასალების გაცნობა, რათა ისინი წინასწარ საგულდაგულოდ მომზადებული შეხვდნენ საქმის სასამართლო განხილვას.

სამსჯელო თემა და გადასაწყვეტი საკითხი ბევრი დაგროვდა, ისინი დროულ საკანონმდებლო გადაწყვეტას მოითხოვენ. შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად არ უდგას გამოძიებას სადაგი დღეები... და შედეგებიც, სამწუხაროდ, სწორედ ამ და კიდევ სხვა, არაერთ გარემოებათა გამოა ნაკლებად ეფექტიანი.

ესაუბრა
**ბონდო გულიაშვილი.**

## მსოფლიო შტრიხებში

### სანამ შეიყვარებდე, დაეზომე!

უცნაური ხალხია სწავლულები, რას არ იკვლევენ, უღრმავდებიან, რაღაც კანონზომიერებებს ადგენენ.

თქვენ წარმოიდგინეთ, პოლონელმა მეცნიერებმა სიყვარულის ფორმულაც კი გამოიანგარიშეს! ისინი დაინტერესდნენ, თუ რატომ უყვართ ქალებს მაღალი მამაკაცები... და აღმოაჩინეს, რომ ბედნიერება დამოკიდებული ყოფილა გულის რჩეულის სიმაღლეზე.

ასეთ, თითქოს და მარტივ, მაგრამ გენიალურ დასკვნამდე მივიდა პოლონელი ანტროპოლოგი ბოგუსლავ პავლოვსკი ვროცლავის უნივერსიტეტიდან.

მეცნიერმა გამოიკვლია 600-ზე მეტი ოჯახური წყვილი, 19 წლიდან 60 წლამდე. შეადარა რა ცოლ-ქმრის სიმაღლის შესაბამისობა მათი ოჯახის კეთილდღეობასთან, ის გასაოცარ დასკვნამდე მივიდა: იდეალურ წყვილებში ქმარი 1,09-ჯერ მაღალი უნდა იყოს ქალზე. ეს კი იცით, რას ნიშნავს?

თუ ქალის სიმაღლე 160 სანტიმეტრია, მაშინ მან უნდა ეძებოს 174,4 სანტიმეტრი სიმაღლის საქმრო. ხოლო 196 სანტიმეტრი სიმაღლის „კალათბურთელი“ ბედნიერი რომ იყოს, 1 მეტრი და 80 სანტიმეტრიანი საცოლე უნდა გამოძებნოს.

ასე რომ, სანამ ცხოვრების იდეალურ თანამგზავრს აირჩევდეთ, თქვენი სიმაღლე სანტიმეტრებში გადაამრავლეთ 1,09-ზე.

პროფესორი თავის თეორიას ასე ხსნის: „ქალები მაღალ მამაკაცებს უპირატესობას იმიტომ ანიჭებენ, რომ მათ უფრო მაღალი სოციალური სტატუსი გააჩნიათ, მეტს შოულობენ და ნაკლებად ავადმყოფობენ. თანაც ინტუიციურად ფიქრობენ, რომ ასეთ პარტნიორთან ლამაზი და ბედიღბლიანი შვილები ეყოლებათ“.

შეიარაღდა რა პავლოვსკის აღმოჩენით, ბრიტანულმა გაზეთმა Mirror უკვე დაიწყო იმის გამოთვლა, თუ რამდენად იდეალური წყვილები არიან კინოსა და სპორტის ვარსკვლავები.

ერთ-ერთ ასეთ იდეალურ წყვილად მიიჩნიეს ტომ კრუზი და ნიკოლ კიდმანი. თუმცა აქ პროფესორის ფორმულის საწინააღმდეგოდ კიდმანი ქმარზე მთელი 10 სანტიმეტრით მაღალი აღმოჩნდა. იქნებ სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ათი წლის ცოლ-ქმრობის შემდეგ ისინი გაშორდნენ (?!).

სურათზე: ნიკოლ კიდმანი და ტომ კრუზი.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 97, ორშაბათი, 14 აპრილი, 2003 წელი.

## ფინანსები

# ინვესტორები ჩვეულ მდგომარეობას უბრუნდებიან

**ერაყში ომმა, რომლის სწრაფად დამთავრებაში საფინანსო ბაზრებს არც მისი დაწყების წინ ეპარებოდათ ეჭვი, კოალიციის ჯარების ბაღდადში წარმატებული შესვლის შემდეგ, უკანა პლანზე გადაიწია. თითქმის უკვე დამთავრებული ომი ინვესტორებს ჩვეულ მდგომარეობაში აბრუნებს, როდესაც საგარეო საქმეთა და სამხედრო უწყებების ხელმძღვანელებზე მეტი ყურადღება ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების წარმომადგენლების გამოსვლებს ეთმობა, ანუ უპირატესობა, ტრადიციულად, ეკონომიკურ და კორპორატიულ მონაცემებს ენიჭება.**

ამერიკის შეერთებული შტატების საფონდო ბაზარზე გასული კვირა მძლავრი ზრდით დაიწყო. აიღეს რა ესტაფეტა ევროპული საბირჟო ინდექსებისაგან, ამერიკული ინდექსები მკვეთრად წავიდა ზევით. ინვესტორები, ატლანტიკის ოკეანის ორივე მხარეს, აქტიურად გამოაცოცხლა შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ხელმძღვანელების განცხადებებმა ერაყში კოალიციის წარმატებული ოპერაციების შესახებ. 7 აპრილს ბაღდადიდან მოსული ინფორმაციების ფონზე, სავაჭრო სესიის დაწყებისთანავე Dow Jones-ი 250, ხოლო Nasdaq-ი 47 პუნქტით გაიზარდა. დილის სტარტის შემდეგ, საფონდო ინდექსები მაღალ დონეზე რჩებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მაგრამ საბირჟო სესიის დამთავრებიდან დაახლოებით საათნახევრით ადრე შეამცირეს ზრდა. საფონდო ბაზარი გაიხლიჩა სამხედრო წარმატებებით გამოწვეულ ენთუზიაზმსა და არცთუ სახარბიელო ეკონომიკურ ინფორმაციებს შორის. დღის შედეგებით, ტრადიციული ეკონომიკის ინდექსი მხოლოდ 23.26 პუნქტით, ანუ 0.3%-ით გაიზარდა 8300.41 მაჩვენებლამდე, ხოლო მაღალტექნოლოგიების Nasdaq-ი 0.4%-ით 1389.41 პუნქტამდე.

ტრეიდერების შეფასებით, ბაზარი ზოგადი გაურკვევლობის ქვეშ აღმოჩნდა, რადგან ინვესტორებმა ახლოაღმოსავლეთში კონფლიქტის ფინალური აკორდების ფონზე, ძირითადი ყურადღება ტრადიციულად კორპორაციების საფინანსო ანგარიშებზე გადაიტანეს. ოთხშაბათს დილის სესიაზე ბაღდადიდან გამამხნევებელმა ტელერეპორტაჟებმა აქციებზე კოტირებების ზრდა განაპირობა, მაგრამ ომში გამარჯვების სიხარული კორპორატიული სიახლეების მოლოდინმა მიანელა, ინვესტორები ჩვეულ მდგომარეობაში დააბრუნა და ეკონომიკურ მონაცემებთან დატოვა. „ცისფერი კოჭების" ინდექსი 100.98 პუნქტით დაეცა 8197.94-მაჩვენებლამდე, ხოლო Nasdaq-ი 26.20 პუნქტით 1356.74-მდე.

ტექნოლოგიურ სექტორში დადებითი მუხტი მსოფლიოში წამყვანი ინტერნეტ-კომპანიის Yahoo-ს საფინანსო მაჩვენებლებმა განაპირობა. კომპანიამ ბრწყინვალე რეზულტატი აჩვენა პირველ კვარტალში და მეორე კვარტალის საპროგნოზო მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაზარდა. დღის შედეგებით, „ცისფერი კოჭების" ინდექსი 23.39 პუნქტით გაიზარდა 8221.33 მაჩვენებლამდე, ხოლო Nasdaq-ი 8.87 პუნქტით 1365.61-მდე. იმისათვის, რომ კვირა პოზიტიური შედეგით დაესრულებინა, ტრადიციული ეკონომიკის ინდექსს პარასკევის სავაჭრო სესიაზე 56, ხოლო Nasdaq-ს 18-პუნქტიანი ზრდა სჭირდებოდა, მაგრამ კვირის ბოლო დღის ვაჭრობა საფონდო ინდექსებმა დანაკარგით დაასრულეს Dow Jones-ი 17.92 პუნქტით დაეცა 8203.41-მდე, ხოლო Nasdaq-ი 6.76-ით 1358.85 მაჩვენებლამდე.

* * *

**ძვირფასი ლითონების ბაზარზე გასული კვირის ბოლოს ერთი უნცია ოქრო 325, პლატინა – 620, ხოლო ვერცხლი 4.45 დოლარი ღირდა.**

დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, ჯერ კიდევ 2002 წლის დასაწყისიდან ტერორისტული მუქარისა და სამხედრო მზადების ფონზე, ძვირფასი ლითონების მომპოვებელი კომპანიების აქციებმა მძლავრი ზრდა დააფიქსირეს, მაშინ როდესაც ძირითადი საფონდო ინდექსები აქტიურად კარგავდნენ პოზიციებს. 2002 წლის ბოლოს- 2003-ის დასაწყისში დაფიქსირებული ოქროს ფასის მნიშვნელონი ზრდა გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ განაპირობა, ერაყის გარშემო შექმნილი სიტუაცია გაურკვევლობის ფაქტორად იქცა, რომელმაც გაართულა მსოფლიო ეკონომიკისა და საფონდო ბაზრის პერსპექტივის გათვლა. ასეთ პირობებში ინვესტორებმა თავი შეიკავეს აქციების ბაზარზე აქტიური ოპერაციებისაგან და, ამჯობინეს რა სახსრების ჩადება დაბალრისკიან აქტივებში, ოქრო დანაკარგის დაზღვევის საუკეთესო საშუალებად მიიჩნიეს. ერთი უნცია ოქროს ფასი სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდში 320 დოლარის მახლობლად მერყეობდა. იანვარ-თებერვალში კი ახალ სავაჭრო დიაპაზონში გადაადგილდა და, მიაღწია რა ექვსწლიან მაქსიმუმს, 360-385 დოლარის ფარგლებში განისაზღვრა.

დარგობრივი ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ, მას შემდეგ, რაც ინვესტორების ყურადღება სამხედრო მოქმედებებიდან მთლიანად ეკონომიკურ სიტუაციაზე გადაინაცვლებს, ოქროს ფასმა შესაძლოა ახალი აღმავლობა განიცადოს. ახლო პერსპექტივაში კი, ერთი უნცია ოქროს ფასი 320-330 დოლარის დიაპაზონში იმოძრავებს.

* * *

**სავალუტო ბაზრებზე** გასულმა კვირამ მძაფრი ტენდენციების გარეშე ჩაიარა. წამყვანი ვალუტის კურსები განსაზღვრულ დიაპაზონში მცირე კორექციით მოძრაობდნენ. კვირის ბოლო დღის ვაჭრობის მონაცემებით, ევრო/დოლარის კურსი ამერიკულ სესიაზე 1.0760 დონეზე განისაზღვრა.

* * *

**ნავთობის ბაზარმა ვარდნა გასულ კვირაშიც გააგრძელა, რაც ერაყში ანგლო-ამერიკული კოალიციის წარმატებას და მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ჭარბ მიწოდებას უკავშირდება.** ორშაბათს, დილის სესიაზე ნავთობის ფასის დანაკარგმა 1 დოლარს გადააჭარბა და 4- თვიანი მინიმუმის დონეზე დაეცა. თუმცა ცოტა მოგვიანებით, ნავთობის ფიუჩერსებმა შეამცირეს დანაკარგი ოპეკის პრეზიდენტის აბდულა ჰამედ ალ-ატიას განცხადების შემდეგ. მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ჭარბი მიწოდებით შეშფოთებულმა ოპეკის პრეზიდენტმა მიმართა წევრი-ქვეყნების ენერგეტიკული უწყებების ხელმძღვანელებს, მოიწვიონ რიგგარეშე კონფერენცია, რომელიც ნავთობის მოპოვების შემცირების საკითხებს განიხილავს. კონფერენცია სავარაუდოდ 24 აპრილს, ვენაში გაიმართება. ექსპერტების მონაცემებით, ოპეკის 10 წევრი ქვეყანა, ერაყის გამოკლებით, მარტში დღეღამეში დაახლოებით, 26 მლნ. ბარელზე მეტ ნავთობს მოიპოვებდა. მაშინ, როდესაც ერთობლივი კვოტა 1 თებერვლიდან 24.5 მლნ ბარელით განისაზღვრა.

ბოლო სამი კვირის მანძილზე Brent-ის მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 21.7%-ით, ხოლო WTI-ის მარკის ნავთობზე 21%-ით დაეცა. გასული კვირის ორშაბათს, ოპეკის „ნავთობის კალათის" ფასი, რომელიც შვიდი ხარისხის ნავთობისაგან შედგება, ბარელზე 24.91 დოლარით განისაზღვრა, მარტის შუა რიცხვებში კი ეს მაჩვენებელი 30 დოლარს შეადგენდა. ოპეკის პრეზიდენტის შეფასებით, თუ ნავთობის მოპოვების შემცირების მიზნით მკაცრი ღონისძიებები დროულად არ განხორციელდა, „კალათის" ფასი 22 დოლარის ქვემოთ დაეცემა, ოპეკი კი მის შენარჩუნებას 22-28 დოლარის დიაპაზონში ისახავს მიზნად. ოპეკის პრეზიდენტის განცხადების შემდეგ ნავთობის ფიუჩერსებმა თითქმის მთლიანად აღიდგინეს დანაკარგი, რომელმაც დღის შედეგებით, Brent-ის მარკის ნავთობის კოტირებებზე 10 ცენტი შეადგინა და ბარელის ფასი 24.58 დოლარით განისაზღვრა, ხოლო WTI-ის მარკის ნავთობზე დღის დანაკარგმა 66 ცენტი შეადგინა და ბარელი 27.96 დოლარი ღირდა.

ოთხშაბათს, საბირჟო სესიის დიდი ნაწილის განმავლობაში ნავთობის ფიუჩერსები იზრდებოდა. საუბრებმა ოპეკის მიერ ნავთობის მოპოვების შესაძლო შემცირების შესახებ, ბაზარზე „ხარის" განწყობას შეუწყო ხელი, რომელიც მეტ-ნაკლებად წონასწორდებოდა ერაყში ომის მალე დამთავრების მოლოდინში. თუმცა, მეორე დღესვე, გამოკვეთილი რიგი „დათვური" ფაქტორების გამო, ნავთობის ფიუჩერსები კვლავ შემცირდა. ხუთშაბათს საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტომ IEA-მ მსოფლიოს ნავთობის ბაზრის კონიუნქტურის შესახებ ყოველთვიური ანგარიში გამოაქვეყნა. სააგენტოს ცნობით, მსოფლიოში ნავთობის მოპოვებამ მარტში დღეღამეში 80.3 მლნ ბარელი შეადგინა, რამაც მოთხოვნას დაახლოებით 2 მლნ-ით გადააჭარბა. სააგენტოს მონაცემებმა გააძლიერა ტრეიდერების შიში, რომ ბაზარს მიწოდების სიჭარბე ემუქრება. ამიტომაც, ოპეკის პრეზიდენტის თქმით, წევრი ქვეყნების ყველა წარმომადგენელი მზად არის მონაწილეობა მიიღოს რიგგარეშე კონფერენციაში, რომელიც ნავთობის მოპოვების შემცირების საკითხს მიეძღვნება. მისი შეფასებით, თუ კი ზომები სასწრაფოდ არ იქნა მიღებული შესაძლოა „ნავთობის კალათის" ფასი ბარელზე 20 დოლარამდეც დაეცეს.

შეფერხებული ნავთობის მოპოვების აღდგენის სიგნალები მოვიდა ნიგერიიდანაც. ნავთობის ფიუჩერსების კოტირებების ვარდნას ხელი შეუწყო ვენესუელას სახელმწიფო ნავთობის კომპანიის ხელმძღვანელების განცხადებებმაც: მათი თქმით, ვენესუელადან ნავთობის ექსპორტი აპრილში დღეღამეში 2.95 მლნ. ბარელს გაუტოლდება, რაც იმაზე მეტია, ვიდრე ამ ქვეყანას შემოდგომაზე, გაფიცვის დაწყებამდე მსოფლიო ბაზარზე გაჰქონდა. ასეთი ტემპის შენარჩუნებას, ხანგრძლივი გაფიცვის გამო გამოწვეული დანაკარგის კომპენსაციის მიზნით, ვენესუელას ნავთობის კომპანიის წარმომადგენლები წლის ბოლომდე აპირებენ.

თავსდამტყდარი არაერთი „დათვური" ფაქტორის გადახარშვის შემდეგ, კვირის ბოლოსათვის, ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 24.47 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის სასაქონლო ბაზარზე WTI-ის მარკის ბარელი ნავთობის ფასი 27.46 დოლარამდე დაეცა.

**ეკა ლეჟავა,**
**„სრ" ეკონომიკური მიმომხილველი.**

## სხვა გაზეთიდან

# ვარსკვლავეთს მოსწყდა ვარსკვლავი...

## რატომ დაიღუპა პირველი კოსმონავტი?

**ალბათ, ბევრ ჩვენს მკითხველს ახსოვს კოსმოსში ადამიანის პირველად გაფრენის ამბავი. ეს იყო 1962 წლის 12 აპრილს. შეიძლება, თამამად ითქვას, რომ ის ნამდვილად ჰგავდა მეხის გავარდნას უღრუბლო ცაზე, რაღაც ზღაპრული ამბის ახდენას. თუმც პირველმა კოსმონავტმა რაღაც წუთები დაჰყო ზეციურ სამყაროში, მაგრამ სამუდამოდ შემორჩა ისტორიასაც და ჩვენს მეხსიერებასაც. ბუნებრივია, მთავარი იყო პირველი ნაბიჯი, თორემ მის კვალს შემდეგ მრავალი გაჰყვა, მთვარეზეც კი გაისეირნეს, მაგრამ იური გაგარინს მაინც შემორჩა პირველი კოსმონავტის, კოსმოსის პიონერისა თუ მრავალი მსგავსი ეპითეტ-სინონიმი.**

**სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ვინც საჭირო იყო, ვერ მოუფრთხილდა პირველ კოსმონავტს და 35 წლის წინათ ის საბჭოთა კავშირის გმირთან, მფრინავ-გამომცდელ ვლადიმერ სერეგინთან ერთად მარტივი საცდელი ფრენის დროს დაიღუპა. ეს ტრაგედია საიდუმლოებით არის მოსილი. ოფიციალური ახსნა-განმარტება მის შესახებ დღემდე არ არსებობს.**

**ამიტომაც ვიფიქრეთ, რომ ჩვენი მკითხველებისთვისაც ინტერესმოკლებული არ იქნება ბოლო ხანებში პრესაში გამოქვეყნებული მასალების ერთგვარი დაიჯესტი იური გაგარინის დაღუპვის გარემოებებზე. მაგალითად, „კომსომოლსკაია პრავდაში" ეს მასალები გამოქვეყნებულია სათაურით: „გაგარინი დაღუპა რუსულმა დოყლაპიობამ და უთავბოლობამ".**

კატასტროფის მიზეზებს რამდენიმე კომისია იძიებდა, მაგრამ ბევრმა არც კი იცოდა, რომ №1 კოსმონავტის უკანასკნელი ფრენის ამბავს იკვლევდა კიდევ ერთი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის სუკ-ის კონტრდაზვერვის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი ნიკოლოზ დუშინი, რომელიც ადრე, ძალზე დიდხანს სათავეში ედგა „ვარსკვლავთ ქალაქის" სამხედრო კონტრდაზვერვის განყოფილებას, შემდეგ კი დისერტაციაზე მუშაობისას მოუწია კონტრდაზვერვის არქივებში ჩაღრმავება.



კოსმოსიდან დაბრუნებული იური გაგარინის ერთ-ერთი პირველი ფოტოსურათი.

აი, რას წერს ის:

**– 1991 წელს... სხვა ქაღალდებს შორის აღმოვაჩინე საბუთები გაგარინისა და სერეგინის თვითმფრინავის კატასტროფის შესახებ და შემექმნა შთაბეჭდილება, რომ გაგარინი – რასაკვირველია, წინასწარ განუზრახველად – მიიყვანეს იქამდე, რაც მოხდა. გაგარინი კი არ დაიღუპა, გაგარინს არ გაუფრთხილდნენ... (?!)**

ჩვენ შემთხვევით არ დავსვით წინა აბზაცის ბოლოში კითხვა-ძახილის ნიშნები. რატომ და როგორ არ გაუფრთხილდნენ? ამის პასუხს, ალბათ, მიუკერძოებელი ჩეკისტური გამოძიების მასალებში ამოვიკითხავთ.

### ჩეკისტები ამერიკელ დივერსანტებსაც კი ეძებდნენ...

1968 წლის 27 მარტით დათარიღებული კატასტროფის გამომწვევი მიზეზების გამოძიების გეგმაში გამოთქმულია ოთხი ვერსია.

**პირველი** – „ტექნიკის მწყობრიდან გამოყვანის წინასწარგანზრახული მოქმედება: მტრული მიზნებით ანდა სულმდაბალი სურვილით".

**მეორე** – „ფრენისათვის მატერიალური ნაწილის უხარისხო მომზადება".

**მესამე** – „ამ ფრენისათვის მფრინავების არასათანადო მომზადება".

**მეოთხე** – „ფრენაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა".

ამავე დროს დაწვრილებით, შვიდ გვერდზე, მითითებებია თითოეული ვერსიის შესამოწმებლად. „განსაკუთრებული ყურადღება საეჭვო პირებისადმი, ვისაც დამოკიდებულება ჰქონდათ თვითმფრინავის მომზადებასა და მომსახურებასთან". ეძებდნენ იმასაც, ხომ არ ჰქონია, რომელიმე მათგანს არაჯანსაღი გამონათქვამები, ან მუქარა მეთაურების მიმართ, მტრული გამოვლინებები, ხომ არ ჰქონდათ უცხოელებთან კონტაქტი, როგორ შეიცვალა მათი ქცევა კატასტროფის შემდეგ. „ეჭვმიტანილთა" შორის იყო გაფრენის წინ სისტემების ჰერმეტულობის შემმოწმებელი ინჟინრის ცოლიც კი, ოდესღაც ხიმკის წყალსაცავის სანაპიროზე „მზიური ველი" – აშშ საელჩოს კულტურის საკითხებში მდივნის ცოლს რომ გამოელაპარაკა.

ბოლოს და ბოლოს, დამნაშავენი საბჭოთა დოყლაპიები გამოვიდნენ. ჯერ ერთი, თურმე ნუ იტყვით და, როგორც კონტრდაზვერვის მაიორი სიმაკოვი „ზემოთ" მოახსენებდა: „ფრენების ხელმძღვანელი პოდპოლკოვნიკი X რთულ სიტუაციებში ავლენდა ნერვიულობასა და დაბნეულობას. ცუდი მეხსიერების გამო ძნელად ითვისებდა ფრენების დავალებებს, ღებულობდა ნაჩქარევ და არასწორ გადაწყვეტილებებს.

აღარც მორიგე შტურმანი, პოდპოლკოვნიკი Ш კი მოსწონებიათ, რადგან თურმე შეცდომებს უშვებდა აეროდრომზე თვითმფრინავების დაშვების დროის გაანგარიშებაში, ცუდად სცოდნია რადიოლოკატორებისა და სხვა ტექნიკის თვისებები. ხელმძღვანელის თანაშემწეს მაიორ Д კი დალევა ჰყვარებია.

რაც მთავარია, თურმე უკანასკნელ გაფრენამდე ერთი კვირით ადრე სერეგინის თვითმფრინავი ძლივს გადარჩენილა კატასტროფას. 20 მარტს ფრენათა იმავე ხელმძღვანელს არ გაუანალიზებია მეტეოროლოგიური მდგომარეობა, რის გამოც ვერ შეუმჩნევია თოვლის ზვავი. შეზღუდული ხედვის პირობებში ნება მიუცია სერეგინისათვის, დამჯდარიყო აეროდრომზე „ჩკალოვსკაია". ავარია კი სპეციალური სამუხრუჭე მოწყობილობით აუცილებიათ თავიდან.

და აი, ის პოდპოლკოვნიკი X ისევ ცდება, როცა ცაში გაგარინ-სერეგინის თვითმფრინავი იყო. „ფრენის ხელმძღვანელი არ იცავდა თვითმფრინავების მოძრაობის ინტერვალს. გაგარინის გაფრენიდან ერთი წუთის შემდეგ მან გაუშვა უფრო სწრაფი თვითმფრინავი.

**იხ. მე-11 გვ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# სპორტი

## სპორტი და მედიცინა

**მსოფლიო სპორტში შედეგები იმდენად გაიზარდა, რომ ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს ნამდვილად აღემატება. მაშ, საიდან ამგვარი მიღწევები? ცხადია, აქ დიდ როლს წვრთნასთან ერთად მასტიმულირებელი საშუალებები თამაშობს. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია დოპინგის გამოყენების შემთხვევები. ვინ იცის, რამდენი სპორტსმენი დასჯილა ამისთვის. მათ შორის — ცნობილი კანადელი მძლეოსანი ბენ ჯონსონი.**

დოპინგთან ბრძოლა ბოლო დროს ფართო მასშტაბით ხორციელდება. დასტურად ამას წინათ კოპენჰაგენში (დანია) გამართული დოპინგსაწინააღმდეგო ასოციაციის კონგრესიც გამოდგება. მის მუშაობაში 70 ქვეყნის 1200-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის გახლდათ საქართველოს ოლიმპიური გუნდის მთა-

# ანტიდოპინგურ კოდექსში ქართველ ექიმსაც შეაქვს შესწორებები

ვარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი, რომელმაც კონგრესს ანტიდოპინგურ კოდექსში ორი მუხლი შეაცვლევინა.

ვინ არის ზურაბ კახაბრიშვილი? — ალბათ, იკითხავს სპორტში ჩაუხედავი კაცი. ახლავე მოგახსენებთ. იგი 35 წლისაა, ცოლ-შვილიანი, შესანიშნავ ქართულ ოჯახში დაბადებული და გაზრდილი. მამამისი — გივი კახაბრიშვილი ცნობილი მოჭიდავეა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი სამბოში, საქართველოს 1969 წლის ფალავანი, 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჩვენი ქვეყნის სამბისტთა ნაკრებს.

შვილიც მამის კვალს გაჰყვა, თუმცა ბატონი გივი წინააღმდეგი იყო. ზურაბი მშობლებისგან მალულად დადიოდა მთელი წელიწადი ძიუდოზე. მერე თანატოლებთან პაექრობისას პირველი დიპლომები რომ მოიპოვა, საიდუმლოც გაცხადდა. არც მშობლებს დაწყვიტა გული — ფრიადებზე სწავლობდა, 1993 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა ქირურგტრავმატოლოგის სპეციალობით. მის ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1998 წელი, როცა მას ძიუდოში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდებები მიანიჭეს. იმავე წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „სპორტული ტრავმების რეაბილიტაცია პლაზმური სკალპებითა და ელექტრომაგნიტური ველის გამოყენებით“. მზად აქვს სადოქტორო ნაშრომიც — „მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა საწვრთნელი პროცესის მართვა და შრომისუნარიანობის გაუმჯობესება ფუნქციური სინჯების ფარმაკოლოგიური საშუალებებისა და ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატების გამოყენებით“.

საგულისხმოა ერთი ფაქტი: შარშან საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ევროპის გუნდური ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო მსოფლიო თასის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა. ამგვარი შეჯიბრებების ისტორიაში პირველად სპორტსმენებთან და მწვრთნელებთან ერთად ოქროს და ვერცხლის მედლები გუნდის ექიმს ზურაბ კახაბრიშვილსაც ერგო.

ახლა კი იმ შესწორებების შესახებ, რომლებიც ქართველი ექიმის მოთხოვნით შეიტანეს ანტიდოპინგურ კოდექსში.

— საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მცდელობით შეიქმნა მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო (WADA), რომელიც აკრძალული პრეპარატების გამოყენებას გაუწევს კონტროლს. — მითხრა ბატონმა ზურაბმა, — ცხადია, სპორტსმენი დაზღვეული არ არის ავადმყოფობისგან. ბევრმა ათლეტმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ექიმმაც კი არ იცის, რა შედის აკრძალულ პრეპარატთა ნუსხაში. შესაძლებელია, რომ გაციების საწინააღმდეგოდ მიღებული წამლისათვისაც დაისჯაოს სპორტსმენი.

მოგეხსენებათ, უწინ უმთავრესად საპრიზო ადგილებზე გასულთ ულებდნენ სინჯებს დოპინგზე. ახლა კი WADA-ს უფლება მიეცა, ნებისმიერ დროს შეამოწმოს ათლეტი, თუნდაც ასპარეზობისთვის მზადებისას. ამიტომაც, ჩემი წინადადებით, ანტიდოპინგურ კოდექსში, რომელიც კოპენჰაგენში მიიღეს, ჩაიწერა, რომ ყველა ოლიმპიელზე გაიხსნას საგანგებო ანკეტები, ანუ, როგორც მათ უწოდეს, სამედიცინო ფურცლები, რომლებშიც აღინუსხება რა სახის ტრავმა მიიღო სპორტსმენმა და რით ვუმკურნალეთ. ჩვენ უფლება არა გვაქვს WADA-ს კომისიას ვინმე დავუმალოთ, თუ შემოწმება მოინდომა. ასეთ შემთხვევაში მსგავსი ანკეტები ათლეტთა დასაცავად აუცილებელია.

დავუშვათ, შეჯიბრებისთვის მზადებისას სპორტსმენმა ტვინის შერყევა მიიღო. მისთვის აუცილებელი იქნება, ცხადია, წამლები, მათ შორის ნეოტროპინი, ცერაბროლიზინი ან სხვა აკრძალული პრეპარატი. რა ვქნათ, არ ვუმკურნალოთ? ასეთ შემთხვევებში სწორედ სამედიცინო ფურცლები შეგვეშველება, რომ სპორტსმენი დისკვალიფიკაციისგან ვიხსნათ.

**— ბატონო ზურაბ, როგორც ვიცი, თქვენი მეორე შენიშვნა სპორტსმენთა ღამის საათებში შემოწმებას ეხებოდა...**

— მოგეხსენებათ, ძილი ფიზიოლოგიური აღდგენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ შეჯიბრებისას სპორტსმენის გაღვიძება და შემოწმება დაუშვებელია. მაგალითად, „ტურ დე ფრანსზე“ იყო ასეთი შემთხვევა: დოპინგზე შემოწმების საბაბით ღამის 4 საათზე წამოყარეს საწოლებიდან ველომრბოლელები. ანალოგიური შემთხვევა მოხდა სოლტ ლეიქ სითის ზამთრის ოლიმპიადის მსვლელობისას. მაშინ რუს ბიათლონისტებს დაესხნენ თავს. ამგვარი „შემოწმების“ შემდეგ ხომ გაუტყდა სპორტსმენს ძილი? როგორი შედეგი უნდა აჩვენოს მან მეორე დღეს. ხომ შეიძლება ყოველივე ეს ათლეტის დემორალიზაციის მიზნითაც მოხდეს? საბედნიეროდ, WADA-ს პრეზიდენტი რიჩარდ პაუნდი უყოყმანოდ დაეთანხმა ჩემს წინადადებას. კოდექსში ასეც ჩაიწერა: სპორტსმენს შეამოწმებენ დღის ნებისმიერ მონაკვეთში, ოღონდ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, წინასწარ შეგვატყობინებენ. გვიან ღამით კი ათლეტს ძილს ველარავინ დაუფრთხობს.

აქვე მინდა დავძინო ისიც, რომ WADA-ს კოდექსის ჯერ კიდევ მოსკოვში განხილვისას ვითხოვე, ყურადღება მიექციათ კვების რაციონში ეროვნული დანამატებისთვის, რადგან საბაჟოზე ხშირად უსიამოვნებას ვაწყდებით. დანიაში გვითხრეს, რომ ამ საკითხის განსახილველად მზად არ ვართ, აუცილებელია ეროვნული პროდუქტების სინჯების შემოწმება და მერე ამ პრობლემასაც დადებითად გადავწყვეტთო, თუმცა, კოდექსში საბაჟო რეჟიმის მოგვარების აუცილებლობაც ჩაიწერა.

**— შევიტყვე, ციტრამონიც კი აკრძალულ პრეპარატთა სიაში ყოფილა შეტანილი. ფართოდ გავრცელებული წამლებიდან თქვენ კიდევ რომელს დაასახელებდით და, საერთოდ, რა უნდა გავაკეთოთ უნებლიე შეცდომებისგან თავის დასაზღვევად?**



— აკრძალულად ითვლება ფურასემიდი, თქვენ წარმოიდგინეთ, შავი ღვინო, ცხვირში ჩასაწვეთებელი გალაზოლინიც. მისი ორი წვეთიც საკმარისია, დოპინგში ჩაგითვალონ. დაუშვებელია ნარკოტიკების, სტიმულატორების, ანაბოლიკების, ალკოჰოლური სასმელების მიღება. ბევრი წამალი კოფეინს შეიცავს. არადა, 1 მილილიტრში 15 მიკროგრამზე მეტი კოფეინი კი უკვე დოპინგადაა მიჩნეული. სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ბალახეულ პრეპარატებსაც, რადგან ზოგიერთში დასაშვებ ნორმაზე მეტია ნარკოტიკული ნივთიერება. თითქოს უწყინარი კოკა-კოლაც კი კოფეინს შეიცავს და ზომიერება მისი მიღების დროსაც გვმართებს.

შარშან სარეაბილიტაციო-დიაგნოსტიკურ ცენტრებში მომუშავე ექიმებისთვის „ავერსის“ პრეზიდენტ პაატა კურტანიძის დახმარებით კონფერენცია გავმართეთ. სომხეთიდან და აზერბაიჯანიდანაც კი მოვიწვიეთ ცნობილი სპეციალისტები, ყველა ექიმმა უნდა იცოდეს, რომელია აკრძალული პრეპარატები. საამისოდ საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებაა აუცილებელი. განზრახული გვაქვს, თბილისში დოპინგთან ბრძოლის კავკასიური ცენტრი შევქმნათ. ერთი სიტყვით, ყველაფერს ვიღონებთ, ჩვენი სპორტსმენები უნებლიეთ ხათაბალაში რომ არ გაეხვიონ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა სომეხ პროფესორს არეგ ოვანესიანს. მან მომაწოდა გასაიდუმლოებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომელი აკრძალული პრეპარატის კვალი რამდენ ხანს ჩერდება ორგანიზმში. სპორტსმენებთან მომუშავე ექიმებისთვის ამის ცოდნა აუცილებელია — სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**

**სურათზე: ზურაბ კახაბრიშვილი (მარცხნიდან მესამე) მუხრან ვახტანგაძესთან, ჯუმბერ ლეჟავასთან და გიორგი ასანიძესთან ერთად.**

## ფეხბურთი

# ეროვნული ჩემპიონატების ტაბლო



**იტალია:** „ინტერი“ — მილანი“ 0:1, „კომო“ — „პერუჯა“ 1:1.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ — „დეპორტივო 2:4, „სევილია“ — „ვილიარეალი“ 3:1.

**ინგლისი.** „ნიუკასლი“ — „მანჩესტერი“ 2:6, „ბირმინგემი“ — „სანდერლენდი“ 2:0, „ლიდსი“ — „ტოტენჰემი“ 2:2, „ჩელსი“ „ბოლტონი“ 1:0, „ვესტ ჰემი“ — „ასტონ ვილა“ 2:2, „ბლექბერნი“ — „ჩარლტონი“ 1:0, „სიტი“ — „მიდლსბრო“ 0:0, „ვესტ ბრომვიჩი“ — „ევერტონი“ 1:0, „ლივერპული“ — „ფულჰემი“ 2:0.

**გერმანია.** „ბაიერნი“ — „ვერდერი“ 0:1, „გლადბახი“ — „ნიურნბერგი“ 2:0, „ბილეფელდი“ — „მიუნხენი“ 2:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „ჰენტა“ 1:0, „ჰამბურგი“ — „ბორუსია“ 1:1, „შტუტგარტი“ — „ლევერკუზენი“ 3:0, „ჰერტა“ — „ბოხუმი“ 1:0.

**ჩეხეთი.** „სპარტა“ — „სლავია“ 2:0.

**ნორვეგია.** „რუსენბორგი“ — „ვოლერენგა“ 1:0.

**საფრანგეთი.** „ბორდო“ „ლიონი“ 0:1, „ტრუა“ — მარსელი“ 0:0, „ნიცა“ — „ოსერი“ 1:0, „პარი სენჟერმენი“ — „ლანსი“ 0:1, „გენგამი“ — „ბასტია“ 3:0, „აიაჩო“ — „მონაკო“ 2:4, „სტრასბურგი“ — „ნანტი“ 2:0, „ლილი“ — „სედანი“ 0:0, „ჰავრი“ — „რენი“ 0:1, „მონპელიე“ — „სოშო“ 0:2.

**ჰოლანდია.** „როდა“ — „ეინდჰოვენი“ 2:3, „ფეიენოორდი“ — „ვიტესი“ 2:1, „ალკმაარი“ — „ზვოლე“ 1:1, „ჰერენვენი“ — „ნაიმეგენი“ 2:3, „ტვენტე“ — „გრააფსხაფი“ 3:0.

**ბელგია.** „ბევერენი“ — „ლიერსი“ 7:1, „ლოკერენი“ — „ლომელი“ 5:0, „ბრიუგე“ — „ვესტერლო“ 3:0.

**რუსეთი.** „რუბინი“ — „ალანია“ 4:0, „როტორი“ — „ტორპედო-მეტალურგი“ 2:2, „დინამო“ — ცსკა 2:3, „ჩერნომორეცი“ — „ზენიტი“ 1:0, „სატურნი“ — „შინიკი“ 2:1.

**უკრაინა.** „მეტალურგი“ — „შახტარი“ 0:2, „ობოლონი“ — „ვოლინი“ 1:1, „პოლიგრაფტექნიკა“ — „დინამო“ 0:2, „დნეპრი“ — „არსენალი“ (კიევი) 0:0.

**საბერძნეთი.** „აკრატიტოსი“ — „პანახაიკი“ 3:0, „პრუდეფტიკი“ — „იონიკოსი“ 0:0, „იანინა“ — „კალითეა“ 1:0.

**თურქეთი.** „;მალათია“ — „ბეშიქთაში“ 1:2, „გიოზთეფე“ — „დი-



არბაქირი“ 3:0, „დენიზლი“ — „სამსუნი“ 0:1.

**პოლონეთი.** „ლეხი“ — „ვიძევი“ 2:1, „ლეგია“ — „ოსტროვეცი“ 6:0, „რუხი“ — „პოლონია“ 0:0, „გარბარნია“ — „პლოცკი“ 2:0, „პოგონი“ — „ვისლა“ 0:1, „გურნიკი“ — „ამიცა“ 1:0.

**შოტლანდია.** „აბერდინი“ — „დანფერმლაინი“ 1:0, „ჰიბერნიანი“ — „ლივინგსტონი“ 2:2, „მოზერუელი“ — „დანდი“ 1:2, „პარტიკი“ „ჰართსი“ 1:1.

**ავსტრია.** „პაშინგი“ — „გრაცერი“ 0:2, „ბრეგენცი“ — „კერნტენი“ 1:2, „შტურმი“ — „რიდი“ 4:2, „რაპიდი“ — „ზალცბურგი“ 0:2.

**შვეიცარია.** „ბაზელი“ — „ვილი“ 3:1, „ქსამაქსი“ — „თუნი“ 1:0, „აარაუ“ — „კრინსი“ 1:2, „სენტ გალენი“ — „დელემონში 2:0.

**დანია.** „ოდენსე“ — „ბრონდბიუ“ 1:1.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქ[redacted]ველოს რ[redacted]ლიკა“!

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## მოკრივის ფიზიკური მომზადება. I ნაწილი



**დღეს ჩვენს რუბრიკაში წარმოგიდგენთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტიზმის სექციის წევრს, 18 წლის გიორგი ომიაძეს.**

იგი სპორტის ძირითად სახეობად კრივს მიიჩნევს და ვერის ბაღში ტყავის ხელთათმნის ცნობილი ოსტატის ნოდარ ქიქავას ხელმძღვანელობით ვარჯიშობს, ათლეტიზმს კი საერთო ფიზიკური მომზადებისთვის მისდევს, თანაც არც ერთი კომპონენტი არ ავიწყდება – თანაბარ ყურადღებას უთმობს სისწრაფეზე, ძალასა და გამძლეობაზე მუშაობას. მის ფიზმომზადებას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნიკოლოზ სარალიძე უძღვება.

გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს გიორგი ომიაძის შესრულებით.

### ვარჯიში სისწრაფეზე

**1. ორივე ხელით ერთდროულად დარტყმის იმიტაცია შტანგის ღერძით (სურ. 1).** სრულდება 6 მისვლა 8-10 გამეორებით.

### ძალისმიერი ვარჯიშები

**2. ჰანტელების რიგრიგობით აწევა (სურ. 2).** თითოეული ხელისათვის სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით. ვარჯიშდება მხრისა და ხელის კუნთები.

**3. სკამზე დაყრდნობით ჰანტელის მოზიდვა ტანთან რიგრიგობით თითოეული ხელით (სურ. 3).** თითოეული ხელისათვის სრულდება 6-6 მისვლა 12-12 გამეორებით. განკუთვნილია ზურგის უგანიერესი კუნთების განსავითარებლად.

### ვარჯიშები გამძლეობაზე

**4. ბაგირზე აცოცება ხელების ძალით (სურ. 4).** ათლეტი ფეხების დაუხმარებლად მცირედი შესვენებებით ადის ბაგირზე. სასურველია 10-15 ასვლა.

**5. კუთხის დაჭერა ღერძზე (სურ. 5).** ათლეტი ყოველ მისვლაზე 20-30 წამის განმავლობაში იჭერს კუთხეს. გამიზნულია მუცლის კუნთების განსავითარებლად. სრულდება 4-6 მისვლა.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.
















რაც იყო

# ვინ არის მართალი?!

**ვლადიმერ ბარქაია მე მიმაჩნია ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ უძლიერეს წარმომადგენლად. მან ჭეშმარიტად ღრმა კვალი დატოვა სამამულო ფეხბურთის ისტორიაში.**

**... თქვენს წინაშეა ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია ფრაგმენტი მატჩიდან „დინამო" თბილისი – „ლა განტუაზი" (ბელგია, ქ. გენტი). აღნიშნული საერთაშორისო შეხვედრა გაიმართა 1959 წლის 22 მაისს თბილისში და დინამოელთა გამარჯვებით – 2:1 დამთავრდა.**

**ეს ფოტოსურათი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს დღესაც. ამ მატჩიდან თითქმის 44 წლის გასვლის შემდეგ.**

ბატონ შალვა ქირიას წიგნში „ფეხბურთის სტრატეგი", რომელიც ვლადიმერ ბარქაიას ეძღვნება (გამომცემლობა „საქართველო", 1990 წელი), ამ ფოტოს ასეთი წარწერა აქვს: „კაცი კაცსა შემოვტყორცნე".

აღნიშნული ფოტოეპიზოდი ამ რამდენიმე ხნის წინათ კვლავ წარმოჩნდა გაზეთ „ფუტბოლში" (№ 9), ბატონ გულბათ ტორაძის სტატიაში „მოხერხებული ულისი", რომელიც ასევე ვლადიმერ ბარქაიას საფეხბურთო ხელოვნებას ეძღვნება.

ამ სტატიაში აღნიშნულ ფოტოსურათს ასეთი განმარტება აქვს:

– „მახსენდება კიდევ ერთი მატჩი, რომელშიც ვლადიმერმა, მართალია, გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ შექმნა ნამდვილი საფეხბურთო შედევრი. თბილისელებმა მოუგეს ბელგიის „ლა განტუაზს" (გენტი) – 2:1 (22.05.59 წ.). დააკვირდით ფოტოს და თქვენ მიხვდებით, თუ რაში გამოიხატება ამ ეპიზოდის უნიკალურობა.

წაქცეულ მეტოქეთა (და არა მარტო) გარემოცვაში, როგორც გულივერი ლილიპუტებს შორის, აღმართულია ბარქაია. გაზეთში (რომელში – ამას ავტორი არ ამბობს – ნ. მ.), ეს ფოტო მოთავსებული იყო წარწერით: „ერთიც კი, მინდორზე მეომარია". ცნობილმა მწერალმა ლევან ხაინდრავამ – ვლადიმერ ბარქაიას დიდმა თაყვანისმცემელმა, ამ სურათს ხატოვნად „ბარქაიას პლაჟი უწოდა". სტატიის ავტორის განმარტებით ფოტო ეკუთვნის გ. კიკვაძეს.

ჩემს ხელთაა გაზეთ „ლელოს" 1959 წლის 24 მაისის (№ 61) ეგზემპლარი ჩემივე საოჯახო არქივიდან. მასში გამოქვეყნებულია ბ. ქორქიას სტატია სათაურით „ერთი მატჩის გაკვეთილი", რომელიც ეძღვნება აღნიშნულ საფეხბურთო პაექრობას „ცხელ კვალზე". ამავე გვერდზე წარმოდგენილია მ. ზარგარიანის (ოღონდ არა გ. კიკვაძის) იგივე ფოტოსურათი, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ფოტოსურათს ასეთი წარწერა ახლავს:

– „ესაა მეტად დამახასიათებელი მომენტი თბილისის „დინამოსა" და „ლა განტუაზის" შეხვედრიდან. ბელგიელთა დაცვა გაძლიერებული ძალით იბრძვის თავის საჯარიმო მოედანზე. ბარქაია კარგა ხანს ცდილობდა მარტოდმარტო გასულიყო მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, თავისუფალი პარტნიორი კი დინამოელთა მარცხენა შუამარბმა ვერ მოძებნა მაშინაც კი, როცა მის გარშემო რამდენიმე მცველია, ხოლო საჯარიმო მოედნის დიდი ნაწილი – დაუცველი. დაიკარგა კიდევ ერთი ხელსაყრელი მომენტი".

ვეთანხმები „ლელოს". აღნიშნული ეპიზოდი ვლადიმერ ბარქაიას რეიტინგს ვერ აუმაღლებს. ასე აღვიქვი იგი დღიდან გამოქვეყნებისა (24.05.59 წ.), ასე მივიჩნევ დღესაც.

საინტერესოა, ვინ არის მართალი მე და „ლელო", თუ ბატონები გულბათ ტორაძე, შალვა ქირია და ლევან ხაინდრავა?!

**ნუგზარ მჭედლიშვილი.**



მინიფეხბურთი

# გრძნობის დაკარგვამდე

**ქალაქ კამენსკ-ურალსკში უცნაური მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. აქ მინიფეხბურთის მატჩი ხუთნახევარ დღეს გაგრძელდა.**

მინდორზე ერთდროულად 5-5 ფეხბურთელზე მეტი არ იმყოფებოდა. მატჩი, რომლის დროსაც შემადგენლობა ორჯერ იცვლე-



ბოდა, 4 საათს მიმდინარეობდა. თამაშიდან გამოსულებს იქვე დარბაზში ისვენებდნენ და საუზმობდნენ, სტადიონის გარეთ გასვლა კი დღეში სულ ერთი საათით შეეძლოთ. მთავარი დაბრკოლება სიცივე იყო – დარბაზში სულ 3 გრადუსი, ქუჩაში კი – 30. ამის გამო მატჩის ხანგრძლივობაც კი შეცვალეს – ერთი კვირის ნაცვლად „სულ" 5 დღეს თამაშობდნენ. ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მთელი 13 საათით გადაეჭარბებინათ ადრინდელი რეკორდისათვის, რომელიც ავსტრალიელებმა დაამყარეს. ორივე გუნდმა მთელი ამ არნახული მატჩის განმავლობაში ორი ათასზე მეტი გოლი გაიტანა, ანდრეი სინცოვმა კი – 326 გოლი.

ყველაფერი ეს ვიდეოფირზე აღბეჭდეს და გინესების რეკორდების წიგნის წარმომადგენლებს წარუდგინეს.

ცხოვრების ჯანსაღი წესი

# ტანვარჯიში წყალში

**როგორც იქნა, მობრძანდა გაზაფხული, სულ მალე უფრო დათბება და წყალიც გაგვახსენდება. იმედია, ჩვენი „ლაგუნა-ვერე", სხვა საცურაო აუზებიც სათანადოდ დაიტვირთება, მერე კი შავი ზღვის სანაპიროსკენ – ჰერი-ჰერი...**

დგება დრო, უფრო კონკრეტულად, საგნობრივად მივხედოთ ჩვენს ჯანმრთელობას, შევცვალოთ ცხოვრების წესი – მეტი დრო დავუთმოთ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, იქნება ეს გუნდური, ოჯახური ასპარეზობები, თუ ინდივიდუალური წვრთნა-ვარჯიში.

ამჯერად გთავაზობთ ტანის ვარჯიშებს (ტანვარჯიშს) წყალში, რაც ყველა ასაკის ადამიანის გაჯანსაღების ერთობ ეფექტური საშუალებაა. ჩვენს ორგანიზმზე ჰიგიენური და გასაკაჟებელი მოქმედებით ასეთი ვარჯიშები საგრძნობლად ამაღლებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს, რამეთუ მოძრაობისას წყლის წინააღმდეგობა ზრდის ფიზიკურ დატვირთვას.

1. ხელების სწრაფი მოსმა წინ (ჩასუნთქვით) და უკან (ამოსუნთქვით).

2. ხელებით წრიული მოძრაობა წინ, გადაადგილება წყალში.

3. მაღლა ხტომები წყალში ხელების მოსმით.

4. სირბილი ადგილზე, თეძოების მაღლა ამოწევით.

5. ტანის ენერგიული ტრიალი მარჯვნივ და მარცხნივ, ნებები – წყალში.

6. ფეხების ენერგიული მოძრაობა.

ამ არცთუ ძნელი ვარჯიშების შესრულებისას, აუცილებელია სუნთქვითი მოძრაობები – მცირე ჩასუნთქვა და, სახის წყალში ჩაყოფით, ხანგრძლივი ამოსუნთქვა ცხვირითა და პირით.

წყლიდან რომ ამოხვალთ, კარგად გაიმშრალეთ ტანი და დაისვენეთ.

მდინარეებითა და ტბებით მდიდარი ჩვენი ქვეყანა გვიქმნის იმის პირობას, რომ კარგად შევირგოთ ბუნებით მომადლებული სიკეთე და „ჩავრთოთ" იგი ჩვენი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების საქმეში.

**ანზორ ბასილაია.**




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

რეტრო

# გასეირნება მოგონებებში

***ჩვენი** კოლეგის ხოხო კოტორეიშვილის ეს ინტერვიუ ჟურნალ „ხარ-ბიელის" 2000 წლის მარტის (№ 1) ნომერში გამოქვეყნდა. ვითვალისწინებთ რა აღნიშნული გამოცემის მცირე ტირაჟსა და გულშემატკივართა ინტერესს საყვარელ ფეხბურთელთა სპორტული (და არამარტო სპორტული) ცხოვრების საგულისხმო ეპიზოდებზე, მიზანშეწონილად მივიჩნია, მას ჩვენი მკითხველიც გაეცნოს.*

**ტაქსი „დინამოს" სტადიონთან გაეჩხირა, ნაცნობი სურათია — მანქანების უწყვეტი ნაკადი და აუარებელი ხალხი — ყაყანი, ზუზუნი... იყიდება, ვიყიდი, ქირავდება, გირავდება, იაფად, ცეცხლის ფასად, ბიძია დამეხმარე... ერთი სიტყვით, დღევანდელი თბილისის ერთი ჩვეულებრივი დღე. ჰო, მართლა, ბორის პაიჭაძის ეროვნული სტადიონი — ბორჯომის, ლიმონათის, კოკა-კოლა-ფანტას ბოთლებითა და ავეჯის სალონებით გარშემორტყმული საცოდავად მობუზულა. თბილისური თებერვლის გაცრეცილი, სევდიანი ცაც ნაღვლიანად დაჰყურებს...**

**უკაცრავად, ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთ? ორმაგს გადაგიხდით. დღეს „დინამო" უეჭველად მოიგებს. არიქა, გაგვატარეთ, დაიწყო თამაში, შენგელიამ დღეს თუ გაიტანა, ბომბარდირი გახდება. გაიტანს, გაიტანს... გამოძვრება მცველებიდან და შეაგდებს. აქაც ყაყანი, ზუზუნი, თუმც მხოლოდ ერთი საფიქრალი — „დინამო"! მოიგებს? წააგებს? რას იზამს ყიფიანი? რამდენ მცველს მოატყუებს გუცაევი? გაიტანს შენგელია?**

**ესეც ნაცნობი სურათია, ოღონდ შორეული, გაცრეცილი, მაგრამ არა ისეთი, მოგონების მტვერი სქლად რომ დაედოს და სულის ერთი შებერვით კვლავ ფერადი და ხასხასა არ გამოჩნდეს.**

**ტაქსიდან გადმოვედი და ფეხით გავუყევი გზას. დიდუბის ეკლესიასთან რვასართულიანი კორპუსის ერთ-ერთ სადარბაზოში შევედი, სასურველ კარს მივადექი და...**

**მობრძანდით ბატონო! გულთბილად შეგვხვდა მასპინძელი, შინ შეგვიძღვა და თან სიცილით გვკითხა — ჩემი თავი რამ გაგახსენათო. მერე გემოვნებით გაწყობილი ოთახის ერთი კუთხისკენ მიგვიპატიჟა, აქ დავსხდეთ, რამდენიც გსურთ ვილაპარაკოთო.**

**გვარიანად მოსუქებული რამაზ შენგელია იმ ძველი, ნაცნობი სურათის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, სავარძელში მოკალათდა და სმენად იქცა.**

**— ბატონო რამაზ, აქეთ რომ მოვდიოდი, უამრავი კითხვა მიტრიალებდა თავში და, მართალი გითხრათ, საიდან დამეწყო თქვენთან საუბარი, ვერ გადამეწყვიტა. ახლა კი, მგონი გამოსავალი ვიპოვე. თქვენი თამაში კარგად მახსოვს, ისიც შემორჩა მეხსიერებას, თითქმის მთელი 90 წუთის მანძილზე რომ მინდორზე „არ ჩანდით", მაგრამ საჭირო დროს ბურთთან გაჩნდებოდით და მეტოქის კარიც დალაშქრული იყო. საფეხბურთო კარიერის დასრულების მერეც თითქოს „მცველებს" ეფარებით, ეტყობა, მოკრძალებული კაცი ბრძანდებით?**

— მართალი ხართ, ასეთი ხასიათი მაქვს. არ მიყვარს ზედმეტი ხმაური, საქმის ჩუმად კეთება მირჩევნია.

**— რაკი ინტერვიუზე დამთანხმდით, ახლა ჩუმად ყოფნა არ გამოვა. ჩემი თავი რამ გაგახსენათო, წეღან რომ მითხარით, არც მასეა საქმე. ფეხბურთის ქომაგთ რამაზ შენგელია და მისი გოლები ძალიან კარგად ახსოვთ. ჩვენც ამიტომ მოგაკითხეთ, მოდით, გულახდილად ვისაუბროთ და ჯერ ქუთაისით, ბავშვობით დავიწყოთ.**

— კი ბატონო, რასაც მკითხავთ, ყველაფერზე მართალს მოგახსენებთ. დავიწყოთ ქუთაისით.

## მამა, ფეხბურთი მინდა

— ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა, ფეხბურთზე ვიყავი შეყვარებული და დილიდან საღამომდე ბურთს დავდევდი, ქუთაისში თითქმის ყოველ კვირას ტარდებოდა ქუჩების პირველობა, გამარჯვებული გუნდები მერე ქალაქის ჩემპიონატში თამაშობდნენ. მართალი გითხრათ, სხვათაგან არაფრით გამოვირჩეოდი, მაგრამ რატომღაც დიდი ბიჭებიც კი თავიანთ გუნდში მათამაშებდნენ. ერთხელაც ჩვენი უბნის (ძველი ქუთაისის რკინიგზის სადგური), პირველობაზე გავიმარჯვეთ და როგორც გითხარით, ქალაქის ჩემპიონატზე ამოვყავი თავი.

მაშინ პირველად ვითამაშე დიდ მოედანზე და ჩემდა გასაოცრად, 90 წუთის მანძილზე ერთხელაც ვერ შევეხე ბურთს. საშინლად იმედგაცრუებული ვიყავი, ბრაზი მახრჩობდა, სახლამდე კი შევიკავე თავი. აი, შინ რომ მივედი, იცოცხლეთ, მოვაღე პირი. ვღრიალებ, ღვარღვარად ჩამომდის ცრემლი. გადაირია საწყალი მამაჩემი, არიქა, რა უბედურებაა ჩემს თავსო. ფეხბურთზე მინდა, ფეხბურთზე-მეთქი და გავაბი ისევ ტირილი. ერთი სიტყვით, მანამდე არ მოვისვენე, სანამ მამამ ხელი არ დამავლო და „ტორპედოს" ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში თამაზ კენჭაძეს არ ჩამაბარა. ცოტა ხანში კი ქუთაისური ფეხბურთის პატრიარქთან, კარლო ხურციძესთან აღმოვჩნდი.

**— რამაზ შენგელია კარლო ხურციძის აღმოჩენააო, ხშირად მსმენია...**

— ასეცაა, კარლო ხურციძემ არა მარტო რამაზ შენგელია აღზარდა. ქუთაისიდან თუ ვინმეს დიდი ფეხბურთი უთამაშია, ყველას მის ხელში გაუვლია. საოცარი კაცი იყო, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული და უდიდესი პროფესიონალი. ქუთაისში გაიგონებდით, კარლოს თუ ბავშვი თვალში მოუვიდოდა, ის უცილობლად კარგი ფეხბურთელი გამოვაო. ღვთის წყალობით, ბატონი კარლოს თვალსაწიერში მეც მოვხვდი და სწორედ აქედან დაიწყო ჩემი გზა დიდი ფეხბურთისკენ.

**— მანამდე კი იყო ქუთაისის „ტორპედო"...**

— „ტორპედოში" ცხონებულმა გიგა ნორაკიძემ მიმიწვია, კაცმა, რომელმაც საკუთარ შესაძლებლობებში დამარწმუნა, ამიტომაც მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნები.

**— უფრო დაწვრილებით ხომ არ გაიხსენებთ იმ დროს?**

— სიამოვნებით.

## ამას რა უნდა აქ?!

— ქუთაისს მაშინ კარგი გუნდი ჰყავდა. გამოცდილ ფეხბურთელებს — ჯემალ ხერხაძეს, როლანდ ფესტვენიძეს, მერაბ ჩახუნაშვილს, ჟორა აბზიანიძეს ახალგაზრდები — სულაქველიძე, კოსტავა, ბურკაძე, ფარულავა, გაბიჩვაძე და მე დავემატეთ. აქ ორიოდ სიტყვით გაბიჩვაძეზე მოგახსენებთ — ბადრი უნიჭიერესი ფეხბურთელი იყო, საოცარი მონაცემების პატრონი, 15-20 წუთში დაალაგებდა თამაშს, მაგრამ რატომღაც დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშა.

ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი ლიგის თამაშები დაიწყო. ნორაკიძემაც ძირითადში დამაყენა. ათი მატჩი ისე გაილია, გოლის გატანა ვერ მოვახერხე. ასეთ რამეს კი ქუთაისელი გულშემატკივრები „ცხვირმოუხოცავ ბაღანას" კი არა, პელეს არ აპატიებენ. ჰოდა, ყოველი თამაშის მერე  არის ერთი ამბავი — „ვინაა ეს ბოვში?!.. რა უნდა ამას „ტორპედოში"! — ცხადია, ნორაკიძესაც უწუნებდნენ არჩევანს. ბატონი გიგა კი ჯიუტად ძირითადში მათამაშებდა. მერე, როგორც იქნა, გავიტანე, ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ქომაგებიც დაწყნარდნენ. ახლა რომ ვიხსენებ იმ დროს, დარწმუნებული ვარ, ნორაკიძეს მაშინ შემადგენლობიდან რომ „ამოვეგდე", ჩემს კარიერას წერტილი დაესმებოდა. ცხადია, თავიდან წარუმატებლობას ძალიან განვიცდიდი, მაგრამ მწვრთნელის ნდობა მაგულიანებდა და, როგორც მერე გამოჩნდა, ნორაკიძე არც შემცდარა.

**— ბატონო რამაზ, ჩვენი საუბარი ისეთი კალაპოტით მიდის, რომ თბილისის „დინამოს" მივადექით, მაგრამ სანამ ახალკაცზე და „დინამოზე" ვილაპარაკებდეთ, რამდენიმე ხნით კვლავ ქუთაისში დავრჩეთ. მსმენია, ერთი პირობა რამაზ შენგელიამ ქუჩისკენ გაიხედა, ძმაკაცი ჰყავდა, რომელიც ფეხბურთს ძალიან კარგად თამაშობდა, მაგრამ იმ დღეს „შავი სამყაროს" ავტორიტეტია, სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, მის ადგილზე შენგელია აღმოჩენილიყოო...**

— მთლად ეგრე არ იყო საქმე. ცხოვრებაში არაფერი მომიპარავს. ყმაწვილობაში ცოტას კი ვძველბიჭობდი, თუმცა, ეს ასაკის ბრალი უფრო იყო, ვიდრე ჩემი ხასიათისა. ძმაკაცზე რომ ბრძანეთ, მართალია. ფეხბურთს ჩინებულად, ჩემზე კარგადაც თამაშობდა, მერე ცხოვრება აეწეწა, თუმცა, თავის გზაზე კაცურად დადის.

**— კარგით, ახლა, ალბათ, დროა, თბილისის „დინამოზე" ვთქვათ, უპირველესად კი ნოდარ ახალკაცზე — მისი ხასიათის  უცნაურობაზე ბევრი თქმულა. თქვენი კარიერის „ოქროს ხანამ" ახალკაცის ხელში გაიარა და თქვენზე უკეთ მასზე ვერავინ მოგვიყვება.**

— ნოდარ ახალკაცი უნიჭიერესი კაცი იყო. ამასთან ერთად, საოცრად შრომისმოყვარე, ფეხბურთელებისგანაც იგივეს ითხოვდა. თუმცა მძიმე ხასიათი კი ჰქონდა და მასთან ურთიერთობა არ იყო იოლი. მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, მისი თავდადება, საქმისადმი დამოკიდებულება სამაგალითო იყო. დინამოელებს რაღაც განსაკუთრებული მოკრძალების გრძნობა  გვქონდა მის მიმართ. ეგ კი არა, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა და კაბინეტში მიხმო  სამსახურის შემოსათავაზებლად, ატუზული შევედი, ჯერ კიდევ მეგონა, რომ ის მწვრთნელია და მე მისი შეგირდი.



ალღოიანი მწვრთნელი  იყო და ფეხბურთის ყველა წვრილმანი ზედმიწევნით იცოდა. სწორედ მისი დამსახურებაა 1976-81 წლების „დინამოს" დიდი გამარჯვებები.

**— გეთანხმებით, გუნდის წარმატებაში მწვრთნელს ლომის წილი უდევს, მაგრამ ისიც არაა საკამათო, რომ მარტო მწვრთნელმა, თუნდაც გენიოსმა, კარგი ფეხბურთელების გარეშე მაღალი მწვერვალების დალაშქვრა შეძლოს.**

— რა თქმა უნდა, არც გეკამათებით. იმ პერიოდის „დინამოში" მართლაც საუკეთესო ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი, მაგრამ თითქმის ყველას ახალკაცმა ასწავლა რაა დიდი ფეხბურთი. მე მაგალითად, თბილისში გადმოსვლამდე კარისკენ ზურგით მდგარს ბურთი არასოდეს მიმიღია. თითქოს ეს წვრილმანია, მაგრამ ღრმად თუ ჩავიხედავთ საქმეში, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია,  ისეთი, რომელიც საპირისპიროდ ცვლის გუნდის სათამაშო მანერას. მერე იცით, რამდენს ვშრომობდით ამ დეტალის დახვეწაზე?

აქვე თენგიზ სულაქველიძეზეც გეტყვით. ცოტა ხუმრობასაც გავურევ, ჩემი უახლოესი მეგობარია და არ ეწყინება. 1977 წელს, ჭომა რომ „დინამოში" გადმოიყვანეს, ყველას უკვირდა, ნეტავი რაში სჭირდება ახალკაცს ეს ნიჩბოსანი, აგერ, ბატონო, ბურთის გაჩერება არ იცის, მკერდზე რომ მოხვდება, რიკოთის უღელტეხილამდე მისდევსო. ბოლოს ვინ აღმოჩნდა მართალი? სულაქველიძე უნივერსალურ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა, მის გარეშე „დინამოს" გამარჯვება წარმოუდგენლად მეჩვენება.

**— კარგია, ხუმრობასა და დინამოელთა  ურთიერთობაზე რომ ჩამოაგდეთ სიტყვა. ამაზე კიდევ  ვისაუბრებთ, მაგრამ მანამდე ერთი მინდა გკითხოთ, ახალკაცის უცნაურ ხასიათზე კი ლაპარაკობენ ბევრს, თუმცა, რატომღაც კონკრეტული მაგალითების დასახელებას ყველა ერიდება...**

— დასამალი არაფერია. აგერ ერთ ამბავს მოგიყვებით. ზუსტად არ მახსოვს, რომელი წელია, მოსკოვის „ცესკას" ვმასპინძლობთ. მატჩისწინა დღეს სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს თავის ჭკუაში ახალკაცი ცეკას პირველ მდივან ედუარდ შევარდნაძესთან „დაუსმენია" — გუნდში ყიფიანი, შენგელია, გუცაევი და ჩელებაძე ჰყავს, მაგრამ ოთხივეს ერთად არ ათამაშებსო. ახალკაცმა ეს ამბავი შეიტყო, ჩვენ კი არაფერი ვიცით. გასახდელში შემადგენლობა გამოაცხადა და პირი დავაღეთ, ოთხი თავდამსხმელით როგორ უნდა ვითამაშოთ? არც არაფერი გვითხრა. რა უნდა გვექნა, გავედით მინდორზე, პირველი ტაიმი 0:2 წავაგეთ. მეორე ტაიმში ჩელებაძე ნახევარმცველით შეცვალა და გაჭირვებით ფრედ დავასრულეთ მატჩი. მერე გავიგეთ საქმის ვითარება და ისიც გვითხრეს, თუ როგორ გამომწვევად  იყურებოდა ჩვენი მწვრთნელი სტადიონის სამთავრობო ლოჟისკენ, სადაც ედუარდ შევარდნაძეს კომიტეტის თავმჯდომარე უმშვენებდა გვერდს. არადა, იმ თამაშის მოგება იოლად შეგვეძლო. თუმცა, ახალკაცმა თავისი პრინციპის დასამტკიცებლად მატჩის ბედიღბალი შეაგდო სასწორზე.

**— წაგებული თამაშის მერე ასეთ კაცთან გასაუბრება არცთუ სასიამოვნო იქნებოდა.**

— თუ აშკარად ფეხბურთელების ჩაგდებული იყო მატჩი, მართლაც ძნელი მოსასმენი იყო მწვრთნელის სიტყვები. არა, ბევრი ლაპარაკით არ დაგღლიდა, ერთს გეტყოდა, მაგრამ ისეთს, მტერს რომ არ უსურვებ.

აქ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, მისი გმირიც თენგიზ სულაქველიძეა. ერევანში ვეთამაშებით „არარატს". მოგეხსენებათ, ჩვენი და სომხების ურთიერთშეხვედრები გამორჩეულად საინტერესო იყო.. ერთი სიტყვით, მინდორზე უშეღავათო ბრძოლაა. 1:1-ზე მსაჯმა ჭომას ყვითელი ბარათი უჩვენა, ესეც ადგა და ტაში არ დაუკრა, კაცო! ჰოდა, მოედნიდანაც მიაბრძანეს. დაჯდა სულაქველიძე სათადარიგოთა სკამზე, სად მცალია მის საყურებლად, მაგრამ რამდენჯერაც გავიხედე, ზის და პირჯვარს იწერს. თურმე სკამზე რომ ჩამოჯდა, ახალკაცს ჩვეულებისამებრ, მოკლედ უთქვამს — ახლა ილოცე, რომ ეს თამაში მოვიგოთ, თორემ... ამიტომაც იყო, ეს ჩვენი ჭომა „რაზდანის" სტადიონზე გამალებით რომ იწერდა პირჯვარს. სხვათა შორის, ის შეხვედრა 4:1 მოვიგეთ.

**— ბატონო რამაზ, ასეთ ამბებს რომ მხოლოდ სულაქველიძეზე ყვებით, დავიჯერო,  მსგავსი ისტორიები თქვენ არ გადაგხდენიათ თავს?**

— ძალიან ბევრიც. აუცილებლად უნდა გითხრათ?

**— არაფერს დაგიმალავთო, დაგვპირდით...**

— კარგით, სიტყვა სიტყვაა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ადგილს ვალერი გაზაევი მეცილება. ზუსტად არ მახსოვს, მგონი მურთაზ ხურცილავას გაცილების მატჩია თბილისში. პირველი ტაიმი „დინამოში" ვითამაშე, მეორეში გაზაევის ნაცვლად დამაყენა ნიკიტა სიმონიანმა. მინდა მწვრთნელს თავი მოვაწონო, მთელი ჯიგრით ვთამაშობ. შანსიც მომეცა და ოთარ გაბელიას გოლიც გავუტანე. გადავირიე სიხარულისგან, შემოვურბინე კუნტრუშით მინდორს, მაყურებლის ყიჟინაც მესმის. ერთი სიტყვით, ბედნიერი კაცი ვარ, უცებ — რა გიხარია, ბიჭო, მე გამიტანე ხომ, არ გესმის, მთელი სტადიონი რომ უშვერი სიტყვებით გაგინებს? ოთარ გაბელიას ბრაზისგან დაღრეჭილმა სახემ მიმახვედრა, რატომ გუგუნებდნენ თურმე ტრიბუნები.

**— გაბელიამ ასე იოლად შეგარჩინათ წყენა?**

— ოთარი ფიცხი კაცი კია, მაგრამ არა ბოღმიანი, თუმცა, იმის მერე ჭკუა ვისწავლე, მაგალითად, ქუთაისის „ტორპედოს" წინააღმდეგ თამაშს თავს ვარიდებდი.

**— ეგ ყველაფერი  კარგი, ახლა კი 1981 წლის 13 მაისზე ვთქვათ.**

— დიდი სიამოვნებით. თასების თასის მოპოვება ხომ ჩემი საფეხბურთო ცხოვრების ყველაზე დიდი გამარჯვებაა, იმ სიხარულის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია. დინამოელთა მაშინდელმა თაობამ, ტრაბახში არ ჩამომართვათ და მართლაც სასწაული მოვახდინეთ. ძალიან კარგი გუნდი გვყავდა. უმაღლესი დონის შემსრულებლებით დახუნძლული — ყიფიანის, ჩივაძის, გუცაევის, დარასელიას, სულაქველიძის დარ ფეხბურთელებს ევროპის დღევანდელი უძლიერესი კლუბებიც სიამოვნებით ათამაშებდნენ თავისთან. წეღანაც გითხარით და კიდევ ვიმეორებ, ამ ბრწყინვალე ფეხბურთელებს ბრწყინვალე მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი მოძღვრავდა. სწორედ  ასეთმა თანამშრომლობამ მოიტანა 13 მაისის გამარჯვება. აგერ თასების მფლობელთა თასის ამ პატარა ასლს ხომ ხედავთ, ასეთი ოცი ცალი დაამზადებინა ახალკაცმა და ფეხბურთელებს ჩამოგვირიგა. ეს თასი ჩემი ოჯახის უძვირფასესი რელიქვიაა.

**— ბატონო რამაზ, რატომღაც მგონია, რომ თასების თასის მოპოვების მერე თქვენს თაობას ფეხბურთი მოყირჭდა, თითქოს მიზანიც აღარ გქონდათ, „დინამოც" ნელ-ნელა უმაღლესი კლასის გუნდიდან საშუალო დონის გუნდად გარდაიქმნა...**

— გეთანხმებით, ჩვენ რაც მოსაგები იყო, ყველაფერი მოვიგეთ — საბჭოთა კავშირის თასი, ქვეყნის ჩემპიონატი, ევროპის თასი, მერე ვიტალი დარასელია დაიღუპა, დათო ყიფიანმაც დაანება თამაშს თავი. ალალად გეტყვით, უგულოდ, უჯიგროდ ვთამაშობდით.



იხ. მე-10 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

რეტრო

# გასეირნება მოგონებებში

(მეცხრე გვერდიდან)

ერთადერთი, რაზეც მწყდება გული — ევროპის ჩემპიონთა თასია, არადა, რა კარგად დავიწყეთ, „ლივერპულს“ მოვუგეთ „ჰამბურგთანაც“ ბოლომდე ვიბრძოლეთ, მაგრამ მაშინ გამოცდილება არ გვეყო. ამიტომაც, ფეხბურთის დაუწერელმა კანონმა სამართლიანად განსაჯა — ევროპის ჩემპიონთა თასი ჩვენზე ძლიერმა მოიპოვა.

**— შენგელია და საბჭოთა კავშირის ნაკრები. კარგა ხნის მანძილზე თქვენ ამ გუნდში შეუცვლელად თამაშობდით, რაც იმ პერიოდში, როგორც ამბობენ, ქართველისთვის არცთუ იოლი საქმე იყო.**

— აბა, რა გითხრათ, მწვრთნელები მენდობოდნენ და მეც, რაც შემეძლო, ვთამაშობდი. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნახევარფინალამდე ერთი ნაბიჯიღა გვაკლდა, თანაც, მაშინ ნაკრებში ოთხი ქართველი ვიყავით, მაგრამ იმ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ვეღარ მოვახერხეთ...

**— ამას მწვრთნელებს აბრალებენ. ბესკოვის, ლობანოვსკისა და**



**ახალკაცის ერთად დანიშვნას, მახსოვს, დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა.**

— ამაში საოცარი არაფერია. ისინი ხომ სხვადასხვა ფეხბურთს ქადაგებდნენ. გუნდის მომზადების თავისებური ხედვა ჰქონდათ, ამიტომაც არავის სჯეროდა მათი შეხმატკბილებული მუშაობისა, მით უფრო, მათ პიროვნულ თვისებებსაც თუ გავითვალისწინებთ.

ჩემპიონატზე ნაკრები არცთუ კარგად მომზადებული ჩავიდა. ქვეყნის ჩემპიონატით გადაღლილ ფეხბურთელებს ამოსუნთქვაც არ გვაცალეს და შეკრებაზე წაგვიყვანეს ესპანეთში. ერთადერთი ახალკაცი ამბობდა, ცოტა დავასვენოთ ბიჭები, ჯერ კლუბებში მოვამზადოთ და მერე წავიდეთ შეკრებაზეო, მაგრამ არ დაუჯერეს. ამიტომაც იყო ბრაზილიელებთან მოგებული პირველი ტაიმის მერე, მეორე ნახევარში არაქათგაცლილები რომ დავაბოტებდით მინდორზე.

**— ნაკრებში ძირითადად მოსკოვის სპარტაკელები, თბილისის და კიევის დინამოელები თამაშობდნენ. მსმენია, გამორჩეულად კარგი ურთიერთობა ქართველებს უკრაინელებთან ჰქონდათო.**

— თითქმის ყველასთან ვმეგობრობდი. თუმცა, ცხადია, ჩივაძის, სულაქველიძის და დარასელიას გარდა, ყველაზე ახლოს ბესონოვთან და ბურიაკთან ვიყავი. ბლოხინს ყინჩად კი ეჭირა თავი, მაგრამ საერთო ენის გამონახვა არც მასთან გამჭირვებია.

**— მართალია, თითქოს ბესონოვი არაყთანაც „მეგობრობდაო“...**

— სრული სიმართლეა. დღემდე ვერ გამიგია, როგორ შეეძლო, მთელი კვირა არაყი უზომოდ ესვა, ვარჯიშებზე და მით უფრო კი თამაშზე არაფერი ეტყობოდა. შეეძლო კაცს, სვამდა კიდეც.

**— ლობანოვსკი როგორ ეგუებოდა ბესონოვის ასეთ საქციელს?**

— ხომ გეუბნებით, ვარჯიშებზე ვერ დაღლიდი, ლობანოვსკისაც სხვა რა გზა ჰქონდა, რასაც ავალებდა, ყველაფერს ხუთიანზე ასრულებდა ბესონოვი.

**— ბატონო რამაზ, ახლა ფეხბურთზე ლაპარაკი დავამთავროთ და იმაზე ვთქვათ, კარიერის დასრულების მერე როგორ მოეწყვეთ, თქვენს ოჯახზე გვითხარით.**

— ზემოთ კი ვთქვი, თასების თასის მოპოვების მერე თამაში მომბეზრდა-მეთქი, მაგრამ ფეხბურთთან განშორება მაინც გამიჭირდა. ოჯახზე კი იმას გეტყვით, რომ არა ჩემი მეუღლე ლია ბაბუნაშვილი, იმ უმძიმესი წლების გადატანა მარტოს ძალიან გამიჭირდებოდა. ვაჟი გიორგი კი, მოგეხსენებათ, ჩემს კვალს გაჰყვა და ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს, უპირველესად მისი შრომისმოყვარეობით ვარ კმაყოფილი, უმცროსი გოგონა ნატა კი სტუდენტია და ძმის ერთგული ქომაგიც გახლავთ.

**— მწვრთნელობაზე არასოდეს გიფიქრიათ?**

— ფიქრით როგორ არა, მაგრამ მწვრთნელობა მაინც ვერ გავბედე, ეს ხომ უდიდესი პასუხისმგებლობა, ჯოჯოხეთური შრომაა, თანაც ჩემისთანა დამყოლი ხასიათის კაცისთვის ეს პროფესია აშკარად შეუფერებელია.

**— საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ ტექნიკურ დირექტორს ქვეყნის უპირველესი გუნდის მომავალზეც მინდა გკითხოთ...**

— ძალიან ნიჭიერი თაობა გვყავს, მაგრამ ჩვენი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა მოშლილია, ასეთ პირობებში კი დიდ წარმატებებზე ფიქრიც კი შეუძლებელია. თუმცა, ქართველი კაცის ნიჭიერებისა მაინც მეიმედება. ღმერთმა ინებოს, საქართველოს ნაკრებს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ეთამაშოს. ჩემი ოცნებაც ხომ ესაა — ქართველ გულშემატკივარს 1981 წლის 13 მაისის დარი დღეები მრავალი გაუთენოს ღმერთმა.

გამოცემა

# ფეხბურთი ფანჯრის ერთი მოსმით




**შესანიშნავი საგაზაფხულო საჩუქარი მიიღეს ქართველმა ფეხბურთის მოყვარულებმა — გამოვიდა დემიკო ლოლაძის მიერ შედგენილი და მშვენივრად გაფორმებული წიგნი „ფეხბურთი ნახატებსა და შარჟებში“. (ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002, 300 გვერდი, ტირაჟი 1250). წიგნის შემდგენელის მიერ ქართული სპორტის ისტორიისა და სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელების ცხოვრებაზე ოცზე მეტი სქელტანიანი კრებულის გამოცემის შემდეგ ასეთი მრავალმხრივ საინტერესო და ტევადი ალბომის შექმნა მართლაც შესანიშნავი საქმეა. მასში ათას სამასზე მეტი ნახატი და შარჟია, რაც შემდგენელის მიერ გაწეულ მიზანსწრაფულ შრომაზე მიუთითებს. ამთავითვე მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ იმ პირთა თვალსაჩინო დამსახურება, ალბომის მომზადებისას ავტორთან ერთად რომ გასწიეს და სათანადო წვლილი შეიტანეს ამ კეთილშობილური საქმის განხორციელებაში.**

„ფეხბურთი ნახატებსა და შარჟებში“ მართლაც დიდ სიამოვნებას მიანიჭებს ყველას, ვინც მას გაეცნობა. იგი გარკვეულწილად ნახატებში გამოხატული ფეხბურთის ისტორიაა. ვთქვათ, დახედავ ბელგიელი ენცო შიფოს შარჟს და გონებაში ძებნას დაუწყებ ამ დიდ ფეხბურთელს, გულიც დაგწყდება, რომ მთელი ძალით ვერ გამობრწყინდა მისი ვარსკვლავი. ვფიქრობ, წიგნში გამოტოვებული არაა მსოფლიო მნიშვნელობის არცერთი გამოჩენილი ფეხბურთელი. ნაჩვენებია, თუ როგორ თამაშობდნენ შუა საუკუნეებში, ძველ დროში, აღორძინების ეპოქაში, გუშინ. იხილავთ იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის, დანიის, გერმანიის, ავსტრიის, შოტლანდიის, ჩრდილოეთ ირლანდიის, ჰოლანდიის, ბელგიის, შვეიცარიის, ნორვეგიის, პორტუგალიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის, თურქეთის, საბერძნეთის, ბრაზილიის, ურუგვაის და სხვა ქვეყნების საფეხბურთო ბატალიებს, გაეცნობით აგრეთვე ესპანეთის 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონებს, 1962 წელს ჩილეში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს, ფიფას პრეზიდენტებს, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

ალბომში იხილავთ მსოფლიოს უდიდეს ვარსკვლავებს. მხატვრებს, კარიკატურისტებს თავისებურად დაუნახავთ პელე, გარინჩა, ბობი ჩარლტონი, ედუარდ სტრელცოვი, ფრანც ბეკენბაუერი, რაიმონ კოპა, ალფრედო დი სტეფანო, ფერენც პუშკაში...



დემიკო ლოლაძე.

ნახატი „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები სტუმრად ლევ იაშინთან — მიულერი, კოპა, ჰალერი, ბეკენბაუერი, პელე, ბ. ჩარლტონი, მასოპუსტი, ეუსებიო, გარინჩა, ალბერტი, რივერა, დიდი, ქაირზინიო, ბესტი“. არაერთ სასიამოვნო მოგონებას აღუძრავს გულშემატკივარს.

წიგნში ფართოდაა წარმოდგენილი ქართული ფეხბურთი... თანამედროვე ახალგაზრდისთვის ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი — წარსულის სიამაყით მოსაგონებელი ლეგენდებია მხოლოდ. ბევრ ძველ გულშემატკივარს კი კარგად გვახსოვს თითოეული მათგანი, მათი ისტორია ჩვენი ისტორიაცაა, მათი სიხარული და გამარჯვებებით გამოწვეული აღმაფრენა ჩვენი ბიოგრაფიის დაუვიწყარი წუთებია.

25-ე გვერდზე ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე და ზაურ კალოევია აღბეჭდილი. რა დინამიკა, მიზანსწრაფვა, ახალგაზრდული პათოსი და ქართული სულია ჩაქსოვილი ამ ნახატში, რომელიც სამი თაობის ერთიანობას განასახიერებს, როდესაც ქართული ფეხბურთის რაინდთა სურათებს ათვალიერებ, გეუფლება ერთგვარი სინანულის განცდაც, ჩვენი ზოგიერთი ფეხბურთელის ტრაგიკული ბედის გამო. მართლაცდა, როგორი ტრაგედია იყო ბასას, შოთას, მიშას, სლავას, ვიტალის, ვოვას, დათოს და სხვათა სიცოცხლის ნაადრევი დასასრული.

ფრიად სასარგებლო წიგნის გაცნობით გამოწვეული შთაბეჭდილება მინდა დავასრულო იმ რწმენით, რომ მას ყველა თაობის გულშემატკივარი შეუნელებელი ინტერესით გაეცნობა და დიდ სიამოვნებასაც მიიღებს...

**გურამ ბახტაძე.**



ბორის პაიჭაძე.

ნუთუ?



## ყელამდე ვალებში კი იყო...

**არც ისე დიდი ხნის წინათ, დაახლოებით 2000 წლისთვის, მადრიდის „რეალი“, რომ იტყვიან, ყელამდე ვალებში იყო. ზინედინ ზიდანის შეძენა 71,1 მილიონი ევრო დაუჯდა, ლუიშ ფიგუში 64,5 მილიონი ევრო გადაიხადეს, რონალდოში — 45 მილიონი.**

მდგომარეობა მას შემდეგ გამოსწორდა, რაც კლუბს სათავეში ვალენტინო პერესი ჩაუდგა, რომელმაც კლუბის დავალიანება 300 მილიონი ევრო მთლიანად დაფარა და, უფრო მეტიც, „რეალი“ კვლავ აყვავებულ კლუბად აქცია. საიდან, რა საშუალებებით?

სტადიონ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მატჩებზე შესასვლელი ბილეთების გაყიდვას ყოველწლიურად 60 მილიონი ევრო მოაქვს (სტადიონი 76 ათას მაყურებელს იტევს). გარდა ამისა, ასევე ყოველწლიურად კლუბი 55 მილიონ ევროს იღებს სპონსორებისა და რეკლამებისაგან. ცნობილმა კომპანია „სიმენსმა“ 12 მილიონი ევრო გადაიხადა, რათა ფეხბურთელებს თეთრ მაისურებზე 2002-2003 წლების სეზონში ფირმის სახელი წაეწერათ. ესპანურმა და საზღვარგარეთულმა ტელეარხებმა მატჩების გადაცემის უფლება 27 მილიონი ევროს ფასად მიიღეს. ამას დავუმატოთ „სულ პატარა თანხა“ — 3,1 მილიონი ევრო, რაც გახლავთ შემოსავალი ტელეარხ „რეალ მადრიდ ტელე“-საგან, რომლის აქციების 50 პროცენტი კლუბს ეკუთვნის. ამ ტელეარხზე 50 კაცი მუშაობს და მას 55 ათასი აბონენტი ჰყავს.

„რეალის“ კაპიტალს დაემატა კიდევ 35,2 მლნ. ევრო, რომელიც მან მიიღო ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების დროს, სადაც გაიმარჯვა კიდეც. ყოველწლიურად 17 მილიონი მოაქვს სპორტული აქსესუარების გაყიდვას კლუბის სიმბოლიკით. მაგალითად, მას შემდეგ, რაც „რეალში“ რონალდო გადმოვიდა, გაიყიდა 70 ათასი მაისური მისი სახელის წარწერით, თითოეული კი 72 ევრო ღირდა.

## საბედისწერო კილოგრამები

**ეს ინგლისურ ფეხბურთში პირველად მოხდა. ფეხბურთელი გუნდიდან გააძევეს ზედმეტი წონის გამო!**

მესამე დივიზიონის კლუბმა „სუინდონ-თაუნმა“ ჩათვალა, რომ 34 წლის მოთამაშე-მწვრთნელი ნეილ რადოკი მის რიგებში ვეღარ დარჩება. ოდესღაც რადოკი განთქმულ კლუბებში „ლივერპულსა“ და ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ გამოდიოდა, კარიერის დასრულებას კი სწორედ „სუინდონ-თაუნში“ აპირებდა. შარშან იგი ავად გახდა და მთელი წლის განმავლობაში არ უთამაშია, ამასობაში კი მოიმატა... 20 კილოგრამზე მეტი!

დასაწყისში კლუბის პრეზიდენტი ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფეხბურთელს კლუბის განკარგულებაში მყოფი 86 სპორტული ტრუსიდან, ანუ, როგორც ჩვენთან ადრე იტყოდნენ, „პერანგის ამხანაგიდან“ არც ერთი არ მოერგო, „სუინდონ-თაუნის“ მესვეური აღშფოთდა და რიდიკი დაუყოვნებლივ დაითხოვა. მართალია, კონტრაქტის ადრეული დარღვევისათვის, ანუ პირის გატეხისათვის ფეხბურთელს 200 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტი გადაუხადეს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## არდავიწყება

**ძალიან მძიმეა, ალბათ, რაიმე დირებულის წერა ისეთ ადამიანზე, ისეთ შემოქმედზე, როგორიც ბიძაჩემი იყო. განსაკუთრებით კი ჩემთვის ამ საქმეს კიდევ უფრო ამძიმებს მისი უდროო და ანაზდეული წასვლით გამოწვეული დრმა მწუხარება მაგრამ მისი სპეტაკი ცხოვრების, მისი მაღალი შემოქმედების მადლი და მალა განგებისა გადამატანინებს უთუოდ ამ მწარე დღეებს და შემაძლებინებს უფალი ერთი დერი (თუნდაც პატარა) სანთლის დანთებას ბიძაჩემის ღვთით განათებული სულის წინაშე.**

# ბიძაჩემი – ჯანსუღ ღვინჯილია

უკანასკნელად სამსახურში გავუარე. ფრთხილად, მორიდებით შევაღე კაბინეტის კარი. იგი მარტო-დმარტო იჯდა მაგიდასთან გარინდული. როცა დამინახა, თვალებში სიხარული ჩაუდგა, შემოდი, ბიძია, შემოდიო, მითხრა და მისთვის დამახასიათებელი ღიმილით წამოიმართა (გაღიმება მართლაც განუმეორებელი იცოდა). მას იშვიათად თუ ნახავდით აღელვებულს ან აჩქარებულს, უიმედოს ან დაღვრემილს, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიცოცხლის ბოლო ათი-თორმეტი წელიწადი, — ეს იყო ტკივილით, სევდით და ყოფნა-არყოფნის წუთებით გაჯერებული წლები.

მოზომილი საუბარი იცოდა ბიძაჩემმა, — იმ დღეს საკმაოდ ბევრი ვიმუსაიფეთ. როგორ ხართო, ჩემი ბებრები როგორ არიანო (თავის დას და სიძეს გულისხმობდა), როცა ამას მეკითხებოდა, საოცრად უბრწყინავდა ჭკვიანი თვალები, საუბრობდა ნელა და მშვიდად, და, როგორც ყოველთვის, ლბილი და ხავერდოვანი ხმა ჰქონდა...

მერმე უცბად მე მომიბრუნდა, რამე ახალი ხომ არ დაგიწერიაო, მის წინაშე თავდახრით ვიჯექი, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი, რომ იგი ამ წუთას მე შემომყურებდა და ჩემგან პასუხს მოელოდა. კი-მეთქი, ძლივს გასაგონად ამოვილუღლუღე, ვიგრძენი, წამოვწითლდი კიდევაც.

მუდამ ასე მემართებოდა: ჩვენ შორის როცა ჩემს ლექსებზე და მოთხრობებზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, გული ამიძგერდებოდა, მთელი სხეული ამიცახცახდებოდა, ლაპარაკი მიჭირდა... გულთმისანი იყო ბიძაჩემი, იგი ყველაფერ ამას უსიტყვოდ ხვდებოდა და ამ უხერხული მდგომარეობიდან თავად ცდილობდა ჩემს გამოყვანას. ახალგაზრდებს მასთან ურთიერთობა არ უჭირდათ, თავისი სიკეთით სავსე გულით შლიდა იგი უფროს-უმცროსობის ზღვარს თუ სამანს, თანაბრად უყოფდა თავის წილ სითბოს, ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდა შემოქმედთ, არც სათანადო ყურადღებას აკლებდა მათ.

სწორედ მისგან გათამამებულს წამომცდა მაშინ, რომ სამეგრელოს ისტორიაზე, კერძოდ, ლევან მეორე დადიანზე ვწერდი ვრცელ პროზაულ ნაწარმოებს. გაუხარდა, განზრახი მომიწონა, მას წაკითხული ჰქონდა ჩემი ისტორიული სახის წერილები... რომლებიც პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში და მოსწონდა. ბიძაჩემი დარწმუნებული იყო, რომ მე ამას შევძლებდი. თავის მხრივ, მიმითითა კიდევაც. რა კუთხით მივდგომოდი საქმეს. სათანადო წყაროები მოიძიე, ბიძია, აბა, შენ იციო. მეორედ როცა მოგიწევს ჩამოსვლა, შინ გამოიარე, კასტელის ალბომი მაქვს და დაათვალიერე, შენთვის საჭირო ცნობებს იქაც ნახავ, ამოიწერე, უთუოდ გამოგადგებაო:

უცებ დადუმდა. ერთხანს რადაცაზე ჩაფიქრდა, მერმე თავი მაღლა აიღო, თვალებში შემომხედა, მართლაც, ლევან დადიანი ყველაზე ძლიერი მთავარი იყოო ქუჯის შემდგომ. საკაძეც კია ლევანთან ოდიშს ჩამოსული, გეცოდინებაო ალბათ, წარმოსთქვა ამაყად, მაგრამ ოდნავ სევდაგარეული ხმით და ისევ ფიქრის ბადეში გაეხვია. იქნებ კვლავ გიორგი სააკაძე ედგა თვალწინ — ეს სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდი. აშკარად შევატყვე, ბიძაჩემი ამაღლებულ განწყობილებაზე იყო. მის თვალებში ცეცხლი კიაფობდა...

ბოლოს ქუჩაში გამოვედით. იქვე, მარჯანიშვილზე მდებარე კაფეში დამპატიჟა. იმ წუთას ზომაზე მეტად ხალისიანი გახდა. თითო კათხა ლუდიც დავლიეთ. რამდენმე თბილი სიტყვა მითხრა იქაც.

როცა კაფედან გამოვედით, ხელი ჩამომართვა, საქმეს მიხედეო, ბიძია, მითხრა ისეთი ღიმილით, განშორებისას რომ იცოდა ხოლმე, ოდნავ სევდანარევი, მაგრამ იმედიანი ღიმილით და გადამეხვია.

ასე დავშორდით ერთმანეთს.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი თუ არა, იდუმალ მოვიხედე უკან. ბიძაჩემი ჩვეული სიდინჯით მიემართებოდა მარჯანიშვილზე (სიარულიც ფიქრიანი იცოდა). მოულოდნელად რადაც გრძნობამ ფიქრები ამიშალა, იმავე გრძნობამ თვალები მდუღარედასხმულივით ამიწვა შიგნიდან, გული ყელში მომებჯინა... (ასე არასოდეს მომსვლია, ალბათ, იმ ერთმა კათხა ლუდმა თუ იმოქმედა-მეთქი, გავიფიქრე), თურმე ვცდებოდი, გული გრძნობდა ავს უწინარესად. მაშინ კი, აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ ჩვენი ეს შეხვედრა უკანასკნელი იქნებოდა ამქვეყნად.

* * *

ვცდილობ: გონებაში აღვიდგინო ახლა ის წუთები, ჩვენი ყოველი შეხვედრები, დიალოგები... მუდამ რაღაც განსაკუთრებით რომ იყო აღსავსე, მუდამ შემართებით, მომავლის იმედით რომ იყო გამთბარი თუ გაჯერებული.

ასე მგონია, ბიძაჩემის გარდაცვალებიდან თითქოს საუკუნე გავიდა, ისე შორეულია ის ყველაფერი, შორეული, მაგრამ დაუვიწყარი. საოცრად მენატრება მისი ხმის გაგონება, მისი მშვიდი გამოხედვა...

ჩვენი ის უკანასკნელი შეხვედრა მიდგას კვლავ თვალწინ, საუკუნო განშორება, მხრებში ოდნავ მოხრილი დინჯი ნაბიჯით რომ მიეშურებოდა შინისაკენ.

* * *

გულის აუტანელმა ტკივილებმა შეაწუხა. ხანგრძლივმა მკურნალობამ თბილისსა და მოსკოვში თითქმის უშედეგოდ ჩაიარა.

ჯანმრთელობა მოულოდნელად გაუარესდა, — მოგვიანებით აღნიშნავდა იგი, — დეკომპენსაცია სწრაფი ტემპით განვითარდა. თითქოს შესაძლებელი იყო რამდენიმე წლით ოპერაციის გადავადება, თითქოს თერაპიული მკურნალობა შემანარჩუნებინებდა მყარ მდგომარეობას. უცებ გაირკვა, რომ დაუხანებლად უნდა გაკეთებულიყო გულზე ოპერაცია. ისიც ითქვა, რომ გულის კუნთის მდგომარეობა საშუალებას არ იძლეოდა ჩვენს ქვეყანაშივე გაკეთებულიყო იგი. დარჩა მხოლოდ საზღვარგარეთის იმედი".

საამისოდ გამოიძებნა გზები კანადაში გასამგზავრებლად. ღვთის წყალობით თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ მოულოდნელად აუცილებელი შეიქმნა მისთვის სხვა სახის ოპერაციის გაკეთება ნარკოზის გარეშე, ვინაიდან ნარკოტიკული საშუალებებით ხელოვნურად გამოწვეულ ძილს, ადვილი შესაძლებელი იყო მისი გული საუკუნოდ დაედუმებინა.

როცა საავადმყოფოში ვინახულე, ბიძაჩემი გამხდარი და მთლად გათეთრებული ჩანდა.

გადამეტებული ლაპარაკი არასოდეს უყვარდა. იმ დღეს კი, ტკივილებისაგან სულშეძრული, მეტისმეტად სიტყვაძუნწი გამოდგა. იშვიათად გადმომხედავდა, შევნიშნე, გონების თვალით სადღაც შორს იყურებოდა; საამქვეყნო პირი არ უჩანდა. მე მისი ლოგინის გვერდით სკამზე ვიჯექი უხმაუროდ თავდახრილი. ხანდახან ფარულად თუ შევავლებდი მზერას. ცვილისფერი გადაჰკრავდა სახეზე. დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა: ნერვიულად უთრთოდა სხეული.



ამ დროს პალატაში ვიღაც მაღალი, ჭარმაგი კაცი შემოვიდა, იგი ორივეს მოგვესალმა და იქვე, ცარიელ სკამზე ჩამოჯდა. ბიძაჩემმა, თუმცა ამისი თავი ნაკლებად ჰქონდა, ერთმანეთს გაგვაცნო მე და სტუმარი. იგი ჯანსუღ კორძაია აღმოჩნდა.

მათ შორის მოკლე დიალოგი გაიმართა, რომელიც უმთავრესად მის ჯანმრთელობას ეხებოდა.

პალატის კარი კვლავ გაიღო, ექთანმა ინვალიდის ეტლი შემოაგორა, მისალმების შემდგომ ავადმყოფს მიმართა, ბატონო ჯანსუღ „შესახვევში" ექიმი გელოდებათ, ამ ეტლზე გადმობრძანდით როგორმე, სანიტარი გაფრთხილებულია, ახლავე გეახლებათ და მაღლა აგიყვანთო.

ბიძაჩემი უხერხულად შეიშმუშნა, კარგი, ჭირიმე, ამ ერთხელაც როგორმე შევძლებო, ექთანს მადლობა მოახსენა გულისხმიერებისათვის და ლოგინზე ნელა წამოჯდა.

სტუმარი ფეხზე იდგა უკვე — ბატონო ჯანსუღ, ხომ არ მოგეშველეთო, ჰკითხავდა. არა, ჭირიმე, ნუ შეწუხდები, თუ რამე, აგერ, ჩემი დისწული დამეხმარებაო, წარმოსთქვა და ღამისთევითა და საშინელი ტკივილისაგან განაწამები თვალები შემომანათა.

ინვალიდის ეტლი ბიძაჩემს ზედ ლოგინთან მივუყენე, ფრთხილად გადმოვსვი, როგორც პატარა ბავშვი და კარებისკენ გავაგორე.

იხ. მე-12 გვ.

## სხვა გაზეთიდან

# გარსკვლავეთს მოსწყდა გარსკვლავი...

## რატომ დაიღუპა პირველი კოსმონავტი?

(მეექვსე გვერდიდან)

ამ შეცდომის გამო გაგარინის თვითმფრინავი იძულებული გამხდარა, სხვა ზონაში გადასულიყო. თანაც გაგარინის მიერ დავალების შესრულებას სათანადოდ არ ადევნებდა თვალს. და ა. შ. თუმც, როგორც ბოლოს ასკვნიან, ყოველივე ეს კი აძნელებდა ფრენას, მაგრამ, აგენტურისა და სპეციალისტების აზრით, კატასტროფის მიზეზი არ შეიძლება გამხდარიყო.

მაშ, რამ გამოიწვია პლანეტის პირველი კოსმონავტის დაღუპვა?

**პირველი:** კონტრდაზვერვის მასალების მიხედვით, დარღვევები ყოფილა გაფრენის წინ ამინდზე დაკვირვებაში. წესდების მიხედვით ის მფრინავებისათვის გაფრენამდე 30-50 წუთით ადრე უნდა ეცნობებინათ, სინამდვილეში კი ამინდის მზვერავი თვითმფრინავი აეროდრომზე გაგარინ-სერეგინის ეკიპაჟის გაფრენამდე ერთი წუთით ადრე დაჯდაო.



**მეორე:** ინსტრუქციის მიხედვით №2 ვარჯიში, რის შესასრულებლადაც გაგარინი და სერეგინი ემზადებოდნენ, უნდა განხორციელებულიყო კარგ მეტეოროლოგიურ პირობებში, ან ღრუბლებს ზევით დაკიდებული ავზების გარეშე.

ფაქტობრივად, რთული მეტეოპირობებიც იყო და თვითმფრინავსაც ავზები ეკიდა, რაც უხეშ დარღვევად ითვლება.

და **მესამეც:** — ფრენების სამსახურის ოფიცერმა, პოდპოლკოვნიკმა Ш-მ, დროზე არ დაზვერა რადიოლოკატორულად ამინდი, რაც მას მზვერავი თვითმფრინავის გაფრენამდე 30 წუთით ადრე უნდა გაეკეთებინა, ხოლო ამინდის დაზვერვის შედეგები ჟურნალში შეიტანა კატასტროფის შემდეგ. ამას კი არასასურველი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა.

**„შეიძლება" კი არა, მოჰყვა!**

**მაინც რა დაემართა ცაში დავალების შესასრულებლად აჭრილ თვითმფრინავს?**

ყველაზე გავრცელებული ვერსია: „МИГ"-15 მოხვდა კრიტიკულ სიტუაციაში (შეასკდა ზონდს, ფრინველს, გვერდი აუქცია ახლო გაფრენილ თვითმფრინავს) და შტოპორში აღმოჩნდა. მფრინავებმა შეძლეს შტოპორიდან გამოსვლა და პიკირებიდან მანქანის თითქმის გამოყვანა. ამაზე ბევრი რამ მოწმობს: საჭეების მდგომარეობაც, გაგარინისა და სერეგინის სამუშაო პოზებიც, მათ სისხლში დიდი რაოდენობით ადრენალინის უქონლობაც — ისინი არც კი შეშინებულან და სწამდათ მანქანის გამძლეობის. მაგრამ სიმაღლე არ ეყოთ.

ამაზე ჯერ კიდევ 90-იან წლებში ლაპარაკობდნენ პროფესორი ბელოცერკოვსკი და კოსმონავტი ლეონოვი: **„გაგარინსა და სერეგინს არ ეყოთ 200-300 მეტრი".**

აი, რას წერს კონტრმზვერავი მედვედევი: პილოტები, შეიძლება, შეაცდინა ღრუბლიანობის სიმაღლის შესახებ არასწორმა მონაცემებმა. როდესაც ისინი ღრუბელთა ორი ფენის შუა ბზრიალებდნენ, ეგონათ, რომ ღრუბლებს ქვევით მანძილის საკმაო მარაგიაო, ის კი არ აღმოჩნდა. იმიტომ, რომ მეტეომდგომარეობის შესახებ ცნობები თითებიდან იყო გამოწოვილი.

ყეყეჩური მიზეზია? მაგრამ, შეიძლება, სწორედ ასე ყოფილიყო.

კატასტროფის შემდეგ გამოჩნდა ვერსიაც — თითქოს გაგარინის „МИГ"-მა გადაკვეთა სხვა თვითმფრინავის ე. წ. თანმავალი ნაკვალევი. მკვეთრად შემობრუნდა, რათა არ დასჯახებოდა და ამიტომ მოხვდა შტოპორში. ჭორაობდნენ მანქანაზეც, მეზობელ ზონაში ესკადრილიის მეთაურის მაიორ У პილოტირებით რომ დაფრინავდა.

„სხვა თვითმფრინავის" ვერსიას აქტიურად უჭერდა მხარს №2 კოსმონავტი გერმან ტიტოვიც.

მაგრამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ეს ვერსიაც ვერ დაამტკიცეს, თუმცა ამის შემდეგ მაიორ У ცერად დაუწყეს ყურება და აიძულეს, კოსმონავტთა ქალაქიდან წასულიყო.

კომისიის დასკვნა ეეჭვება პირველი კლასის სამხედრო მფრინავს, პოლკოვნიკ ალექსანდრე სპრავცევს: კომისიის დასკვნით, თვითმფრინავი დაეცა 51-გრადუსიანი კუთხით, სიჩქარე საათში 690 კილომეტრი იყო, ძრავა წამში 10 040 ბრუნს აკეთებდა, რაც დამახასიათებელია ჰორიზონტალური ფრენისათვის. პიკირებისას კი ძრავის ბრუნვები მფრინავებს უნდა შეემცირებინათ. რატომ არ გააკეთეს ეს? ორივე უგონოდ ხომ არ იყო? მე ხომ სულ მეტეოზონდთან შეჯახება მესიზმრება.

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავი-კოსმონავტის ბორის ვოლინოვის (ადრე იგი იმ თვითმფრინავით დაფრინავდა, რომელზეც შემდეგ გაგარინი დაიმსხვრა) აზრით, შესაძლებელია მეტოზონდთან შეჯახება. მართალია, ის რაღაც რვაას გრამს იწონის, მაგრამ 700 კმ-საათი სიჩქარით მომავალ თვითმფრინავთან მისი შეჯახება ქვემეხიდან ნასროლ ჭურვთან შეჯახებას უტოლდება. თუმცა ამ ვერსიას ჩაეჭიდნენ, მაგრამ ზონდის გამშვები ვერ იპოვნეს. კოსმონავტს მიაჩნია, რომ გაგარინის დაღუპვის მიზეზი ამოუცნობი დარჩება.

ბოლოს და ბოლოს, რამ გამოიწვია კატასტროფა? აბა, ისევ მოვუსმინოთ სუკის თანამშრომელს ნიკოლოზ რიბკინს:

— სამსახურებრივი მოვალეობის გამო ახლოს ვიცნობ ბევრ მფრინავ-გამომცდელს. ისინი სულ მეკითხებოდნენ: ნუთუ გჯერა, რომ ჩვენს შორის ჯაშუშები არიან? მე კი ვპასუხობდი: არა. თქვენს შორის რომ ჯაშუშები და დივერსანტები არ არიან, ორასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, მაგრამ ის, რომ ავიაცია სავსეა დოყლაპიებით, ესეც ხომ სწორია! ერთ დოყლაპიას კი შეუძლია იმდენის გაკეთება, რასაც ვერ გააკეთებს კარგად მომზადებული დივერსანტების ჯგუფი. ვხუმრობდი, რასაკვირველია. მაგრამ ზოგჯერ ხუმრობაც ხომ ემსგავსება სიმართლეს?

**1968 წლის 27 მარტს გაგარინისა და სერეგინის გარშემო თავი მოიყარა იმდენმა დიდმა თუ მცირე დაუდევრობამ, უთაურობამ, ხუშტურიანობამ, რომ საქმე კატასტროფამდე მივიდა, რაც არც პირველი და არც უკანასკნელი იყო არმიაში. გაიხსენეთ თუნდაც „კურსკი"...**

**მთავარი ისაა, რომ მსოფლიოში პირველ კოსმონავტს ვერ გაუფრთხილდნენ!**

მოამზადა
**ვალიკო სიმონიშვილმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## არდავიწყება

# ბიძაჩემი – ჯანსულ ღვინჯილია

(მეთერთმეტე გვერდიდან)

ამასობაში სანიტარიც მოფუსფუსდა, მაგრამ არ დავანებე, თვითონ ავიყვან-მეთქი, ძლივს გასაგონად ამოვილუღლუღე, შევატვე: ბიძაჩემსაც ასე ერჩია. ლიფტამდე მივაგორე ეტლი, კარები სანიტარმა გაგვიღო და მანვე დაგვიკეტა. ავადმყოფი ჩაფიქრებული იჯდა, ლიფტი კი მაღლა, სულ მაღლა მიგვაქროლებდა და მე მეგონა, რომ ბიძა-დისწულს წამით თითქოს ფრთები გამოგვესხა და მივქროდით ცაში, უღრუბლო ცაში და ჩემს ამ წუთიერ აღმაფრენაში ესოდენ საგრძნობი ხდებოდა ჩვენი სულების ახლო კავშირი, ჩემს სიცოცხლეში პირველად დამეუფლა ბიძაჩემით სიამაყის უდიდესი გრძნობა...

* * *

ბიძაჩემი საორდინატორომდე მივაცილე. ვიდრე ჭრილობას ხელახლა შეუხვევდნენ, გარეთ ველოდებოდი. შემდგომ ჩვენ კვლავ იმავე გზითა და მდგომარეობით დავეშვით ქვევით — პალატისაკენ, როგორითაც მაღლა ავედით.

ჯანსულ კორძაია დერეფანში, პალატის შესასვლელ კარებთან დაგვხვდა. ავადმყოფთან გამოუმშვიდობებლად არ წასულიყო. მიახლოებისას, ბიძაჩემს ტკივილისა და მწუხარების განსაქარვებლად (წუთიერად მაინც), გაეხუმრა, — ტახტრევანზე ზიხართ, არა, ბატონო ჯანსულ?

— ტახტრევანზე ვზივარ, ტახტრევანზე! — მწარე ღიმილით უპასუხა ბიძაჩემმა.

მალე კვლავ მოეღუშა სახე. სტუმარმა გამოჯანმრთელება უსურვა თავის სეხნიას და გამოგვემშვიდობა.

ავადმყოფი ლოგინში ჩავაწვინე, ექთანი ისევ შემოვიდა, რაღაც ნემსები გაუკეთა.

მისგან ოდნავ მოშორებით ვიჯექი, მასზე ვფიქრობდი და გული მწყდებოდა, რომ მას სტკიოდა და მე ვერაფერში ვშველოდი.

ეტყობა, ნემსებმა იმოქმედა, ტკივილები მალე დაუყუჩდა, საუბრის ხასიათზე დადგა.

კაცი ჩემს ასაკში რომ მოკვდება, კარგია, ბიძია, ყველას გულს დაწყვიტავ, თორემ ერთ დროს ყველა ვკვდებითო. ცოტა ხნის დუმილის შემდგომ კი საკუთარი თავისადმი წამოსცდა საყვედური: თუ ეგრეა, აქ რას წევხარ, ან იმ სიშორეს რა მიგარბენინებსო.

გაოცებით შევხედე, შევნიშნე კიდევაც: სიმწარეგარეულმა ღიმილმა როგორ გადაურბინა სახეზე და უკვალოდ გაქრა.

ბიძაჩემი ორმოცდაათი წლისაც არ იყო მაშინ, ეს სიტყვები რომ წარმოსთქვა. მას თითქოს ეთაკილებოდა კიდევაც სიცოცხლის გადასარჩენად კანადაში გამგზავრება. ყოველი შემთხვევისათვის, მისი ნათქვამიდან მე ასეთი დასკვნა გამოვიტანე. მაგრამ, მიუხედავად დიდი ტკივილისა, იმ წუთებში არც სიკვდილისთვის ემეტებოდა თავისი სიცოცხლე.

მერაბ ჯიქია.

## ფიქრი

# გალაკტიონის ძეგლთან გავლისას...



თავისებური და რაღაცით გამორჩეულია ვაკეში ეს ადგილი. ძალზე მსიამოვნებს იქ გავლა.

მართლაც რომ, საოცარია ჯუნა მიქატაძის გალაკტიონის ძეგლი — გატანჯული, ნაწამები გენიოსის პორტრეტი. ზუსტად ასეთი გამომეტყველება ექნებოდა პოეტს, როდესაც ის საავადმყოფოს მესამე სართულიდან გადმოფრინდა. ალბათ, ასევე უფრიალებდა სივრცეში ავადმყოფის ხალათი... ასეთივე ტრაგიკული სახე ექნებოდა მიწაზე დავარდნისას... მანამდე, ჰაერში კი, ალბათ, განწირულად ხაოდა:

**„... თუ სამშობლო მაინც**
**არ მომეფეროს,**
**მე მოვკვდები, როგორც**
**პოეტს შეჰფერის“...**

გულმოკლული, ფიქრიანი ვაგრძელებ გზას და აქვე, რამდენიმე მეტრში, გზის პირას მწვანე, ხასხასა, კოხტა პატარა სტადიონი. მინდორზე ჭრელა-ჭრულა ფორმებში გამოწყობილი ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ.



არის ჟრიამული, გულშემატკივართა თუ მშობლების შეძახილები, ხალისიანი, სასიამოვნო განწყობილება.

წელი-წადის ყოველ დროს, წვიმასა თუ ავდარში, დღისით და ღამით არ წყდება აქ ახალგაზრდების პაექრობა.

ბარაქალა მის შემქმნელს. რა კარგი იქნება ქალაქის სხვა უბნებშიც რომ იყოს ასეთი კეთილმოწყობილი მინი-სტადიონები.

**„... მოვა ახალი სმენა**
**აქარიშხლების მძაფრის.**
**სულ ადვილია რწმენა**
**აუხდენელი ზღაპრის...“**

გზას მიუყვები და შესანიშნავი, მწვანით შემოსილი, გულდასმით მოვლილი, ახლადაშენებული წმინდა სამების ტაძარი.

**„... მკვიდრად ააშენა,**
**ვინაც ააშენა...“**

პირჯვარს ვიწერ და ეკლესიაში შევდივარ. მზით სავსე მაღალი თაღები, „სინათლის ელვარება ხატებს შელეკია“. კედლები ჯერ მოუხატავია, მაგრამ სახვალიო კონტურები მოჩანს! ალბათ, მალე მოიხატება.



გზას ვაგრძელებ, მაგრამ... საშინელი სანახაობაა, ჭუჭყიანი, ჩაშავებული დახლები, ძველი სტუდქალაქის კორპუსები, გატყაული, ჩამონგრეული, ნესტიანი, ნახევრადდანგრეული სახლები. არა, არ მინდა მე ასეთი თბილისი! ალბათ, რაიმე სასიკეთო აქვს ჩაფიქრებული ქალაქის ხელმძღვანელობას, — დააჩქარეთ, დააჩქარეთ!

და ისევ გალაკტიონი:

**„... ჩქარა, ამხანაგო, თორემ**
**დაგვიანდა,**
**წუთის დაკარგვაც კი არის**
**ბოროტება,**
**ვინ თქვა გადადება?..“**

გურამ გომართელი.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

## პოეზია უპირველეს ყოვლისა



# ფარნაოზ რაინაული

### ალაზანი*

სახელი „ალაზანი“ სიმბოლოა
აღმოსავლეთისა და დასავლეთის
ერთიანობის, განუყოფლობისა.

* * *

აქ მხეობდნენ კახნი ოდით,
არ — წანარნი, არა — ზანნი,**
სად გაშლილა ოქროს ველი,
ვითარ კაბა ლამაზმანის.
მიწა — ერბო — სავაზენი, —
ოფლით, სისხლით განაზავნი,
ახო-ახო, წარაფ-წარაფ
რიგად, მწკრივად,
ჯარად — ზვარნი.
ირგვლივ — მთათა აქლემები, —
ლეგენდების თანამგზავრნი,
მორიალე ყვავ-ყორნებით,
სადაც სცდიდნენ მალას სვავნიც.
ოთხივ კუთხით ესეოდნენ —
განა მშურად დანაზავნი? —
ერნი, ბევრნი, — დანამტერნი
და ზვავისებრ დანაზვავნი.
იმ დროიდან მოდიდინებს,
მოიმღერის ალაზანიც, —
ეს, — კახეთის ჰომეროსი,
ვერცხლის ქამრად ანაზმანი,
მუდამ ერთი ფიქრი სტანჯავს,
სვედას მთად და ბარად გზავნის, —
არ ასვენებს გურიაში
დაკარგული ალაზანი...

* ანტიკური ხანის რომაელი ავტორი ფლაკუსი მდინარე ალაზანს ახსენებს დასავლეთ საქართველოშიც. ზოგი მკვლევარის აზრით, გურიაში, კერძოდ: ჩოხატაურთან, მდინარე გუბაზოულს (ამ მდინარეს სახელი ჰქონდა V საუკუნის ლაზიკის მეფის, ნიჭიერი პოლიტიკოსის — გუბაზის პატივსაცემად, რომელიც ბიზანტიელებმა ღალატით მოკლეს) ადრე ალაზანი ერქვა. სოფელ ფარცხმთან, ახლაც ერთ-ერთ წყაროს ალაზანი ჰქვია.

** . წანარები და ზანები ქართველური ტომები იყვნენ.

— ღმერთი არის ჭეშმარიტება,
ჭეშმარიტება არის ღმერთი; ვინც
ღმერთს განუდგა, განუდგა ჭეშმარიტებას, ხოლო, ვინც ჭეშმარიტებას განუდგა, ის ღმერთსაც
განუდგა.

### იესო და იუდა...

სიმართლე მზეა, — ციურთა,
სიცრუე — ღამეს ირევსო, —
ნათელს აბნელებს იუდა,
ბნელს კი ანათებს იესო;
ასპიტი ებრძვის ღვთიურთა,—
მზაკვრულად იცვლის იერსო,
ცბიერი მისდევს იუდას,
ალალი მისდევს იესოს...
კეთილი სანთლად მიუდნა,
ბოროტი? — კუპრში რიესო,
შენ ვის მსახურებ?
იუდას? თუ —
ნათელმოსილ იესოს?..
მართალს დალოცვაც კი უნდა,
ფურთხი და რისხვა — ცბიერსო,
სიცრუე არის იუდა,
სიმართლე არის იესო!..
ვინც ცდილობს, ურცხვად, ჯიუტად,
მართალს ლახვარი მიესოს,
ის პირზე ჰკოცნის იუდას,
და... ვერცხლზე ჰყიდის იესოს...

### განთიადი

(სურათი)

ვწვავ ღამეს, — ფიქრის
სუსხით მოხრესილს და...
ცა იხატავს იერს სოსანით,
მზე — შარავანდით, — უსხივოსნესით,
გადმოდგა მთებზე, — იესოსავით!..

### გასწი, მერანო!..

გზაზე ერთი კოჭლი მოუმე მიდის,
მის ფეხთა ქვეშ მიწა კრთის და მითრთის;
გზაზე ერთი ალამდარი მიდის,
არ აწუხებს წუთისოფლის მინდი.
გზაზე ერთი მშვილდოსანი მიდის,
გულს უკორტნის მეფედ რომ ზის ბინდი;
გზაზე ერთი მზის ღიმილი მიდის,
როგორც ფიქრი ამ მთების და მინდვრის;
გზაზე ერთი მონატრება მიდის,
როგორც ცრემლი, ლეგენდა და მითი;
გზაზე ერთი კოჭლი მოუმე მიდის, —
მის ფეხთა ქვეშ მიწა კრთის და მითრთის;
სიკოჭლე რომ ვერ დაფარა, ვერა,
წამს, ქარივით წამოევლო მერანს!

### სიტყვა ქართული!..

ამ მიწას ყორნის გუნდად ესვია
მტერი ასპიტი, — ხმალშემართული,
ჩეხდნენ ვაზიანს, ჭრიდნენ ვერხვიანს,
მაგრამ... ვერ მოჭრეს სიტყვა ქართული!!!
იფხებდნენ ჩვენი სისხლით მათარას,
იდგა გვამების ასი სართული,
თოკზე ჰკიდებდნენ დიდს და პატარას,
ვერ ჩამოახრჩეს სიტყვა ქართული!..
ჰკითხეთ ვარძიას, ახსოვს ტაოსაც
ომი — ქაჯებთან ქაჯურ ჩართული, —
ცეცხლში ისროდნენ „ვეფხისტყაოსანს“,
მაგრამ... ვერ დაწვეს სიტყვა ქართული!..
ღამე მოსდევდა დღეებს ჩრდილიანს,
ჩვენი წამებით იყვნენ გართული, —
შანთეს მეფენი, მოკლეს ილიაც,
მაგრამ... ვერ მოკლეს სიტყვა ქართული!..

## დები

# „ტატოს, ვაჟას, ილიას და აკაკის სწყალობდნენ“...

დები იშხნელები...

**ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში ადამიანი, ამ გვარის გახსენებისას ტკბილქართული ჰანგების მორევში რომ არ ჩაიძიროს. „მაისურ ღამის მთვარის ჩრდილები, ჭადრის ტოტებში გარინდულიყო, მე კი ვისმენდი დამორჩილებით იშხნელთა გუნდის მკვნესარ „სულიკოს“... — წერს ლექსში „მთვარის ჩრდილები“ გიორგი ლეონიძე. თუ დიდმა აკაკიმ „სულიკოთი“ თავის ტანჯულ საქართველოს, მის მომავალს, სანატრელ თავისუფლებას უმღერა, ვარინკა წერეთელმა ლექსი სიმღერად აქცია, დებმა იშხნელებმა კი იგი მსოფლიოს გააცნეს, შეიძლება ითქვას, საქართველოს სავიზიტო ბარათად გახადეს. სწორედ მათი შესრულების შემდეგ გახდა იგი ესოდენ პოპულარული მსოფლიოში და დღესაც დიდი სიყვარულით სარგებლობს.**

დები იშხნელები დღეს ქართული სასიმღერო ხელოვნების სხვა ფენომენებთან ერთად გასული საუკუნის ლეგენდად მოიაზრებიან. ლეგენდები კი, როგორც წესი, თაობიდან თაობას გადაეცემა...

დღევანდელი ახალგაზრდობის უმრავლესობას არ უნახავს ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში სცენაზე „ჩიხტიკოპში მსხდომარე დახვეწილი ქალები“ — როგორც მურმან ლებანიძე წერს დებისადმი მიძღვნილ ლექსში. თუმცა, შეუძლებელია არ მოესმინოს მათი გალობა, „იშხნელთა გუნდის მკვნესარი „სულიკო“. ალბათ, იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ შეახსენოს მომღერალი დები თაობას, რომელსაც კვლავ იშხნელებისადმი მიძღვნილ ლექსში მურმან ლებანიძე ასე მიმართავს : „მაგრამ გრგვინავს ქვეყანა რკინა-თითბრის ჯაზებით, აღარც ტკბილ-იმერული, აღარც ჰანგი კახეთით, ან ჩვენ თვითონ ჩამოგრჩით, ან თქვენ გაღმა გახვედით“, მუსიკოსმა გივი თუშიშვილმა გამოსცა დები იშხნელებისადმი მიძღვნილი წიგნი „მთვარის ჩრდილები“.

„ქართულ სალონიურ მუსიკაში,— წერს წიგნის ავტორი,— რომელიც მე-19 საუკუნის მიწურულს დამკვიდრდა გიტარაზე აჟღერებული რომანსების სახით, შეინიშნება რუსული, ბოშური და ევროპული რომანსების გავლენა. იშხნელების დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ჟანრს უმალ მიანიჭეს ეროვნული თვისება და იმ მრავალხმიანობით მოგვაწოდეს, რომელიც ესოდენ ბუნებრივია ქართული მუსიკალური აზროვნებისათვის“.

ქართული ხალხური მუსიკა დღესაც განაცვიფრებს მსოფლიოს თავისი უნიკალური პოლიფონიურობით და იშხნელებმაც სწორედ ეს უნიკალური ფენომენი მიიჩნიეს თავიანთი მუზიცირების საფუძვლად. გარდა იმისა, რომ იშხნელთა სიმღერა წმინდა ხალხურია, მასში ჩადებულია დღევანდელი ქართული საესტრადო მუსიკის სათავე. სწორედ ამის ნაყოფია ვაჟთა და ქალთა ის მრავალი ტრიო და კვარტეტი, რომლებიც დღეს ქართულ ესტრადაზე აქტიურად მოღვაწეობენ.

იშხნელების ოჯახში ათი „მგალობელი“ შვილი აღიზარდა. ზოგმა მათგანმა მუსიკისაგან დაშორებული პროფესია აირჩია, მაგრამ მაინც საბოლოოდ მუსიკის მსახური გახდა. თამარ, ნინო, ალექსანდრა და ზინა იშხნელების კვარტეტმა სახელი არათუ საქართველოში, არამედ მთელს საბჭოურ სივრცეში, მის ფარგლებს გარეთაც გაითქვა. გადიოდა წლები, დროს თავისი მიჰქონდა და ბედის ეულად დარჩა თამარ იშხნელი. „და შორეული არ ისმის ხმები, გიტარის ბაფთას ნაღველი წვეთავს, ხელდაკრეფილან მიწაში დები, ერთი და დარჩა შავებში კენტად“,— წერდა მაშინ პოეტი ოთარ მამფორია.

არავის ეგონა, თუ კვლავ გაიგონებდნენ თამარ იშხნელის ხმას, მაგრამ, თურმე, დარდიც კი ვერ დაადუმებს ჭეშმარიტ ხელოვანს. იგი შემდგომშიც, ასაკის მიუხედავად, განაგრძობდა მოღვაწეობას, როგორც „კენტად“, ისე თავის შვილიშვილთან — მანანა მენაბდესთან ერთად, გამოდიოდა კონცერტებზე, რადიოთი, ტელევიზიით, მალე მას 100 წელი უსრულდება და ეს თარიღი, რომელიც, ფაქტობრივად, დები იშხნელების კვარტეტის იუბილეც იქნება, ფართოდ აღინიშნება.

იშხნელებმა დიდი და ნიჭიერი შთამომავლობა დატოვეს. მათ საქმიანობაზე და წინაპრებზე ვრცლად წერს გივი თუშიშვილი. წიგნში მოყვანილია გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ალიო მირცხულავას, ოთარ მამფორიას, რეზო ამაშუკელის, მურმან ლებანიძის, ნელი გაბრიჩიძის, შალვა ტოგონიძის, ემანუილ აფხაიძის, ნანა ღვინეფაძის, მზია ბაქრაძის, ირმა გურიელის, ლია ცაბაძის, გიორგი მინდიკაურის, ოთარ დიხამინჯიას, იზო ცერცვაძის, ლია დგებუაძის, უცნობი ავტორების მიერ დები იშხნელებისადმი მიძღვნილი ლექსები. წაიკითხეთ ეს პატარა, მაგრამ ღრმაშინაარსიანი წიგნი და თქვენ კვლავ მოექცევით ტკბილქართული სიმღერის, ტატოს, ვაჟას, ილიას და აკაკის ამღერებული პოეზიის მორევში...

საქინფორმი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

### ჰიპოთეზა

# „ტიტანიკის“ დაღუპვის ახალი ვერსიები

**XX საუკუნის დასაწყისის ყველაზე დიდი ხომალდი „ტიტანიკი“ ინგლისის საფოსტო-სამგზავრო თბომავლების კომპანია „უაიტ სტარ ლაინზს“ ეკუთვნოდა. იგი 1911 წელს ააგეს. 46328 ტონა წყალწყვის, 269 მეტრი სიგრძისა და 25 კვანძი (45 კმ/სთ) სიჩქარის ხომალდი მართლაც ტექნიკის იმდროინდელ საოცრებას წარმოადგენდა. იგი საუთჰემპტონიდან ნიუ-იორკისაკენ 1912 წლის 14 აპრილს გავიდა, ღამით შეეჯახა აისბერგს და კუნძულ ნიუფაუნდლენდის სამხრეთ-აღმოსავლეთით 800 კილომეტრზე ჩაიძირა. სხვადასხვა მონაცემებით, დაიღუპა 1400-დან 1517-მდე ადამიანი (ხომალდზე 2200 კაცი იმყოფებოდა). სადაზღვევო კომპანიამ დაღუპულთა ოჯახებს 14 მილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტი გადაუხადა, იმდროისათვის ეს ასტრონომიული თანხა იყო. „ტიტანიკის“ დაღუპვა XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი საზღვაო კატასტროფაა.**

„ტიტანიკის“ დაღუპვის მიზეზთა შორის რამდენიმე სხვადასხვა ვერსია არსებობს. პირველი ხომალდის აისბერგთან შეჯახებაა. XX საუკუნის მიწურულს მკვლევარებმა სხვა, არცთუ ჭეშმარიტებასმოკლებული ვერსიებიც დაუშვეს. ინტერესმოკლებული არ იქნება მათი განხილვა.

1985 წლის 1 სექტემბერს პროფესორ რობერტ ბალარდის ხელმძღვანელობით წყალქვეშა ექსპედიციის წევრები ბატისკაფ „ალვინით“ ატლანტიკის ოკეანეში ოთხ კილომეტრ სიღრმეზე ჩავიდნენ ხომალდის დაღუპვის ადგილზე, მათ პირველად იხილეს კატასტროფის შემდეგ ოკეანის ფსკერზე ორ ნაწილად გახლეჩილი „ტიტანიკი“. მისმა გამოკვლევამ არათუ პასუხი გასცა ლაინერის დაღუპვის გამომწვევ მიზეზებს, არამედ მრავალი კითხვა დაბადა.

ყველასათვის ცნობილია და აქამდე თვლიდნენ, რომ „ტიტანიკი“ მარჯვენა მხრიდან შეეჯახა აისბერგს. ყინულის მთამ ხომალდი ვატერლინის დაბლა 60 მეტრის სიგრძეზე გაგლიჯა. მაგრამ ბალარდის ექსპედიციის წევრებმა ხომალდზე მხოლოდ ექვსი არცთუ დიდი ზომის განახეთქი აღმოაჩინეს. ამგვარი დაზიანება მხოლოდ კორპუსის შიგნით მომხდარ აფეთქებას შეეძლო. რამ გამოიწვია აფეთქება და როგორ უკავშირდება იგი აისბერგთან შეჯახებას?

ერთი ვერსიაა, რომ აისბერგთან შეჯახებისას ხომალდის გარღვეულ ნაწილში სამანქანო განყოფილებასთან შეიჭრა ოკეანის გაყინული მარილიანი წყალი. 150 ატმოსფერო წნევით დატენილმა საორთქლე ქვაბებმა ვერ გაუძლეს ტემპერატურისა და წნევის ცვალებადობას და აფეთქდნენ. სწორედ ამ აფეთქებათა კვალი უნდა ყოფილიყო ხომალდის კედლებზე შემორჩენილი.

ხომალდის აისბერგთან შეჯახება ეჭვს არ იწვევდა. ამას ამტკიცებდა უამრავი გადარჩენილი მგზავრი და მეზღვაური. მაგრამ რატომ ვერ იგრძნეს მგზავრებმა შეჯახებისაგან გამოწვეული რყევა? ისინი ამტკიცებდნენ, რომ მოესმათ მხოლოდ ყრუ აფეთქების ხმა. იქნებ ხომალდი საერთოდ არ შეჯახებია ყინულის მთას და მან მხოლოდ გვერდი გაჰკრა? თან სრულიად სხვა „რაიმეს“ შეეჯახა და ეს „რაიმე“ მიზანდასახულად „ამოეფარა“ აისბერგის შირმას?

თუ მართლაც დამნაშავე ყინულის მთაა, მაშინ რატომ მოხდა შეჯახება უღრუბლო, უქარო ამინდში, როდესაც ოკეანე სრულიად მშვიდი იყო? – სხვათა შორის, ამ განედისათვის ესეც საოცარი მოვლენაა. როგორ შეიძლებოდა პროფესიონალ ვახტის მორიგე ოფიცერსა და მეზღვაურებს დროულად არ შეემჩნიათ მოსალოდნელი საშიშროება და ზომები არ მიეღოთ? მით უმეტეს, როგორც შემდგომ გაირკვა ათეულობით მილის რადიუსში ეს ერთადერთი აისბერგი იყო.

„ტიტანიკის“ დაღუპვას მეტად უცნაურ მოვლენათა ჯაჭვი უსწრებდა წინ. ბევრი მათგანი, თითქმის ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ფაქტია და ყურადსაღები. კატასტროფა თოთხმეტი წლით ადრე იყო... ნაწინასწარმეტყველები. 1898 წელს ინგლისელმა მწერალმა მორგან რობერტსონმა გამოსცა რომანი „პატივმოყვარეობა“, სადაც აღწერილია თუ როგორ შეეჯახა აპრილის ერთ საღამოს უზარმაზარ აისბერგს ამერიკის სანაპიროებთან სუპერლაინერი „ტიტანი“, რომელიც პირველ რეისს ასრულებდა საუთჰემპტონიდან ნიუ-იორკში. საოცარ დამთხვევათა სერიალი ამით როდი ამოიწურება. მივყვეთ რომანში აღწერილ ამბებს. რეალურ „ტიტანიკსა“ და რობერტსონის გამოგონილ „ტიტანის“ წყალწყვა შესაბამისად იყო 46 ათასი და 66 ათასი ტონა, ხომალდთა სიგრძეები – 269 და 252 მეტრი. ორივე ლაინერი მოძრაობაში მოდიოდა სამი სახოფე ხრახნით, ორივეზე დაახლოებით 2500 ადამიანი იყო, მათი უმეტესობა იმდროისათვის საკმაოდ მდიდარი და შეძლებული პიროვნება. „ტიტანიკიცა“ და „ტიტანიც“ ერთი და იმავე პორტიდან გამოვიდნენ და ერთი მიმართულებით გაემგზავრნენ, აისბერგს შეეჯახნენ ერთი და იმავე ადგილზე – სამხრეთ-აღმოსავლეთით კუნძულ ნიუფაუნდლენდიდან. ორივე ხომალდზე მგზავრებს სამაშველო რგოლები არ ეყოთ და მგზავრთა ნახევარი დაიღუპა ატლანტიკის ყინულოვან წყალში. ეს უამრავი და ზუსტი თანხვედრა ძალზე ძნელია შემთხვევითობას მიაწერო. შესაძლოა, ეს მისტიკური წინასწარმეტყველება იყო.



მეორე ვერსიაც მისტიკურ სფეროს განეკუთვნება. არცთუ ისე ცოტა შემთხვევაა აღწერილი უხსოვარი დროიდან, თუ როგორი საშინელი ბედი ეწეოდა მას, ვინც დიდებულ ეგვიპტელთა სამარხებსა და აკლდამებს გაძარცვავდა. ქურდებს თან სდევდათ ფარაონთა და ქურუმთა საშინელი წყევლა. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ აღესრულნენ ფარაონ ტუტანჰამონის აკლდამის მკვლევარი არქეოლოგები. ნაკლებად ცნობილია, საშინელი ისტორია, რომელიც ამონ რას ტაძრის ქურუმის სამარხთანაა დაკავშირებული. ქურუმი, ბიბან ელ-მულიუკის მახლობლად მეფეთა ველზე 3600 წლის წინათ დაკრძალეს. მისი სამარხი XIX საუკუნის 60-იან წლებში გაძარცვეს. ქურუმის მუმია არ შემონახულა, სამაგიეროდ ულამაზესი, დემონური სილამაზის ქალის გამოსახულებიანი სარკოფაგი კარგად იყო შემონახული. ყველა მათგანი ვინც კი ამ სარკოფაგთან იყო შეხებაში, საშინელი სიკვდილით აღესრულა ამოუცნობ სიტუაციაში. ასევე სიკვდილი სდევდა თან ყველას, ვინც კი ხელში ჩაიგდო ეს უძველესი სარკოფაგი, მისი მეპატრონეები კი მრავლად იყვნენ. არსებობს ინგლისელი ფოტოგრაფის მიერ გადაღებული ფოტო – სარკოფაგზე გამოსახული ქურუმი ბოროტად იღიმება. ამ რელიკვიის უკანასკნელმა მფლობელმა თავი სიკვდილისაგან იმით იხსნა, რომ სარკოფაგი საჩუქრად გადასცა ბრიტანეთის მუზეუმს. მაგრამ „ფარაონთა წყევლა“ კვლავ გრძელდებოდა. როდესაც დაიჯერეს, რომ ყოველივე ეს ცრუწმენა არ იყო და მუზეუმის თანამშრომლები მოულოდნელად იღუპებოდნენ, სარკოფაგი მუზეუმის სარდაფში გადაიტანეს, ხოლო ექსპონატთა დარბაზში მისი ასლი დადგეს. ამ დროს ამ სარკოფაგით დაინტერესდნენ ამერიკელი მეცნიერები და 1912 წელს მუზეუმის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა რელიკვია უჩუმრად გადაეტანათ აშშ-ში. იგი ჩვეულებრივ ხის ყუთში მოათავსეს, საბაჟოზე გააფორმეს, როგორც „წიგნები“ და 1912 წლის 10 აპრილს საუთჰემპტონში ჩაიტანეს. ასე აღმოჩნდა „ფარაონთა წყევლით“ დაცული სარკოფაგი „ტიტანიკზე“.

თუ წყევლას მართლაც დიდი ძალა გააჩნდა და სარკოფაგს თან სდევდა ქურუმის რისხვა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რამ გამოიწვია უდიდესი ხომალდის დაღუპვა და ასობით ადამიანთა მსხვერპლი.

კატასტროფის ერთ-ერთ ვერსიად კაპიტნისა და მისი თანამშრომლების საქმისადმი უგერგილო დამოკიდებულებაც ითვლება. ამაში ადანაშაულებენ თავად ხომალდის კაპიტანს, მის თანაშემწეებს ლაიტოლერსა და მერდოკს.



ხომალდის სათვალთვალო პოსტზე, რომელსაც მეზღვაურები „ყვავის ბუდეს“ უწოდებენ, არცერთ მეთვალთვალე მეზღვაურს ბინოკლი არ ჰქონდა და ისინი შეუიარაღებელი თვალით გასცქეროდნენ ზღვას. უფრო მეტიც, სავახტო-მეთვალთვალე საერთოდ არ იყო გემბანზე. როდესაც გარდაუვალი იყო აისბერგთან შეჯახება, მაშინ არაპროფესიონალურად მოიქცა კაპიტნის უფროსი თანაშემწე უილიამ მერდოკი. იმის მაგივრად, რომ მას გაეცა ბრძანება: „მთელი სვლით უკან! საჭე პირდაპირ“! და ხომალდი აისბერგთან შეჯახებას გადარჩებოდა, მან პირიქით ბრძანა: „მთელი სვლით უკან! საჭე მარცხნივ“!.

თუ ხომალდი სწორი ბრძანების შემთხვევაში მაინც ვერ აიცილებდა შეჯახებას, მაშინ მხოლოდ მისი ორი წყალგაუმტარი ფუძისეული ნაკვეთური დაზიანდებოდა და ხომალდს გადარჩენილი 12 ნაკვეთურით თავისუფლად შეეძლებოდა ნიუ-იორკის პორტამდე მისვლა. მერდოკის არასწორმა ბრძანებამ გამოიწვია „ტიტანიკის“ მთელი მარჯვენა ბორტის დაზიანება. გამოცდილი საზღვაო ოფიცრის შეცდომის შედეგები უკვე ყველასათვის ცნობილია.

„ტიტანიკის“ დაღუპვის შემსწავლელმა კომისიამ დაადგინა, რომ კატასტროფის ადგილთან ყველაზე ახლოს იმყოფებოდა თბომავალი „კალიფორნია“ – ერთადერთი ხომალდი, რომელსაც შეეძლო დროულად მისულიყო „ტიტანიკთან“ და მგზავრები გადაერჩინა. საგამოძიებო კომისიამ სტენლი ლორდი, „კალიფორნიის“ კაპიტანი დამნაშავედ სცნო და ბრალი დასდო ასობით ადამიანის დაღუპვაში, რომლებიც „ტიტანიკზე“ იმყოფებოდნენ. ამგვარი ბრალდება სახელს ულახავს ნებისმიერ მეზღვაურს და მით უმეტეს კაპიტანს. მის შემდგომ „საზღვაო კარიერას“ და პროფესიონალურ რეპუტაციას წერტილი დაესმება.

რამდენიმე ათეული წლის მანძილზე კომისიის გადაწყვეტილებაში ეჭვი არავის შეპარვია, სანამ 1968 წელს ამერიკის სავაჭრო ფლოტის ასოციაციამ ხელმეორედ არ დაიწყო „ტიტანიკის“ დაღუპვის მიზეზების განხილვა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „კალიფორნიის“ კაპიტან სტენლი ლორდისთვის წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლო იყო. „კალიფორნია“ იმ დროისათვის საკმაოდ შორს იმყოფებოდა კატასტროფის ადგილიდან და მის მეზღვაურებს არ შეეძლოთ დაენახათ „ტიტანიკი“. დამტკიცდა, რომ ეს ორი ხომალდი იმდენად შორს იყო ერთმანეთისგან, რომ ისინი ერთმანეთის „სავალ-ამოსაცნობი ცეცხლის“ დანახვასაც ვერ შეძლებდნენ. უფრო მეტიც, გაირკვა, რომ „ტიტანიკსა“ და „კალიფორნიას“ შორის იყო კიდევ ერთი გემი, რომელიც „ტიტანიკიდან“ „კალიფორნიად“ მიიჩნიეს. რა დასახელების იყო ეს გემი, რომელ სახელმწიფოს ეკუთვნოდა იგი, დღემდე დაუდგენელია. ამ გემის მანევრების შესახებ დაწვრილებითაა აღწერილი „კალიფორნიის“ სახომალდო ჟურნალში. მის შესახებ საუბრობდნენ ცოცხლად გადარჩენილი „ტიტანიკელებიც“. ხომალდის მანევრირება მართლაც უცნაურად მოგეჩვენებათ. იგი მოძრაობდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ. ორივე ხომალდის სავახტო ჟურნალში, თითქმის ერთსა და იმავე დროს არის დაფიქსირებული – 22 საათი და 25 წუთი. ზუსტად 23 საათსა და 30 წუთზე, როდესაც „ტიტანიკი“ აისბერგს შეეჯახა, უცნობმა ხომალდმა მოძრაობა შეწყვიტა და დრეიფზე დადგა, რამდენიმე წუთის შემდეგ... შეტრიალდა 180 გრადუსით და გზა საწყისი პუნქტისაკენ განაგრძო. შემდეგ კვლავ გაჩერდა და 02 საათსა და 05 წუთამდე რამდენიმე მილით მოშორებული კატასტროფის ადგილიდან მშვიდად „შეჰყურებდა“, თუ როგორ იძირებოდა „ტიტანიკი“. ამის შემდეგ იგი კვლავ უცნაურ მანევრს აკეთებს – ბრუნდება 180 გრადუსით და გზას განაგრძობს სამხრეთ-დასავლეთისაკენ. 02 საათსა და 40 წუთზე იგი უკვე თვალს მიეფარა. ასეა დაფიქსირებული ხომალდ „კალიფორნიის“ ჟურნალში.

რომელი ხომალდი იყო ეს და რატომ მანევრირებდა ასე უცნაურად? თუ ამ ხომალდიდან ორი საათის განმავლობაში უყურებდნენ როგორ იძირებოდა „ტიტანიკი“, ესე იგი მათ აინტერესებდათ იმდროინდელ მსოფლიოში უდიდესი ხომალდის დაღუპვა.

და კიდევ ერთი ყველაზე მისტიკური დამთხვევა, უფრო სწორედ წინასწარმეტყველება, რომელიც ამ კატასტროფას უკავშირდება.

კვირა დღეს კანადის ქალაქ ვინიპეგის მეთოდიანური ეკლესიის პასტორი მამა ჩარლზ მორგანი საღამოს წირვისთვის ემზადებოდა. მან წინასწარ ჩამოწერა ის საეკლესიო ჰიმნები, რომლებიც მრევლის წინაშე ქოროს უნდა შეესრულებინა და თავის ოთახში განმარტოვდა. წირვის დაწყებამდე რამდენიმე საათი იყო დარჩენილი, პასტორმა გადაწყვიტა დაესვენა და ტახტზე წამოწვა. უცებ ჩაეძინა და ესიზმრა: მის ირგვლივ წყვდიადი სუფევდა, ისმოდა ტალღების ხმა და ამ ფონზე ქორო ძველებურ ჰიმნს მღეროდა, რომელიც პასტორ მორგანს დიდი ხანია არ სმენოდა.

სიზმარი იმდენად ნათელი და შემაძრწუნებელი იყო, რომ პასტორს გაეღვიძა. მის მეხსიერებაში ჰიმნი ნათლად ჩარჩა. საათს გახედა, დრო საკმაოდ ჰქონდა და დაიმედებული, რომ ამგვარი კოშმარი არ განმეორდებოდა, კვლავ ტახტზე წამოწვა და მოსასხამი მოიხურა. ჩათვლიმა თუ არა, ხილვა კვლავ გაგრძელდა. ამჯერად ჰიმნს უფრო გულსაკლავად და ხმამაღლა მღეროდნენ. გაეღვიძა. აფორიაქებული მივიდა ცარიელ ეკლესიაში, დაფაზე ჩამოწერილი ჰიმნები წაშალა და მათ ადგილზე სიზმრად ნანახი ჰიმნის დასახელება მიაწერა.

მრევლი შეგროვდა. დაიწყო წირვა და ყველამ ქოროსთან ერთად სწორედ ის ძველებური, მივიწყებული ჰიმნი იმღერა, რომელიც პასტორს ესიზმრა, მაგრამ ეკლესიის თაღთა ქვეშ, რომელიც ათასობით მილით იყო ზღვისაგან მოშორებული, რაღაც უცნაურად ჟღერდა ჰიმნის სიტყვები: „შეგვიწყალე ჩვენ, ღმერთო, რამეთუ გევედრებით მათთვის, ვინც თავისი სიცოცხლით რისკავს ზღვაზე“. პასტორს ლაპაღუპით ჩამოდიოდა ცრემლები.

ეს იყო 1912 წლის 14 აპრილის საშინელი ღამე, როდესაც „ტიტანიკი“ ოკეანის ფსკერისკენ მიექანებოდა ასობით ადამიანთან ერთად.

მოამზადა
**მამუკა ვაშაკიძე.**

**სურათებზე: „ტიტანიკის“ კაპიტანი და მისი თანაშემწეები; იმდროინდელი მსოფლიოს უდიდესი ხომალდის დაღუპვას ყველა გაზეთი გამოეხმაურა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 97, ორშაბათი, 14 აპრილი, 2003 წელი.

## ორშაბათი
### 14 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ჯაშუშები" 10.10 მხ. ფილმი **"ბრიყვების ოჯახი"** 11.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 ნაშუადღევს 14.00 ფრაგმენტები სურათისათვის 14.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ბაზრები" 15.15 მხ. ფილმი **"შარლოტ გრეი"** 17.15 "რამპა" 17.20 50-50 18.00 "ვესტნიკი" 18.20 დოკ. სერიალი "საუკუნის გინატები" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "მრავალჟამიერ" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.00 "მოამბე" 21.05 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 22.00 პრეზიდენტი გისმენთ 23.00 "რა ხდება?" 23.55 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 00.10 მხ. ფილმი **"ბრიყვები"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 სერიალი **"რვაფეხა"** 20.30 ლატარია ყველასათვის 21.00 ჯანმრთელობა 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"ნუ გააღვიძებთ მძინარე პოლიციელს"**

07.00 მუსიკა 07.30 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 13.30 მხ. ფილმი 14.50 ტელეკაზინო 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 18.50 სერიალი **"მაშველები"** 19.40 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 19.50 ტელეკაზინო 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი **"ჯუდი"** მთ. რ-ში: ედი ქეიტ უინსლეტი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. **"დაწყევლილი გზა"** 10.20 მხ.ფ. **"საყვარელი მოლლი"** 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. **"კომბოსტოს წვნიანი"** 22.40 ბურთი და მოედანი 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. **"ბლექჯეკი"** 01.30 ღამის ფილმი

17.00, 17.56, 20.57, 01.00 ახალი ამბების დაიჯესტი 17.05, 01.05 იმედის მელოდიები 18.00 სერიალი **"იუდას ქალი"** მე-3 ს. 19.00, 22.00 ქრონიკა 19.30 სერიალი **"ამაზონი"** მე-16 ს. 20.30 8 1-2 სპორტული პროგრამა "გოლი" 21.00 სერიალი **"მოქალაქე უფროსო"** მე-2 ს. 22.45 კინონოსტალგია **"პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი"**

12.00 ინდური მხ. ფილმი **"ტურის კვალი"** 15.00 მხ. ფილმი **"სახის გარეშე"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"მაწანწალა ძაღლი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"კერკეტი კაკალი"** 23.00 დოკ. ფილმი "ნაციზმი"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 "ვარსკვლავები გვამცნობენ" 13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.00 მხ. ფილმი **"თავბრუსხევა"** 15.00, 21.00 ვესტი 15.30 ფილმის გაგრძელება 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 "გვარიშვილობა" 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.30 პირველი ნაბიჯები 23.00 მუსიკალური პაუზა 23.15 ტელესერიალი **"ყავახანა"** 23.25 ინდური მხ. ფილმი **"აფერისტის ოცნება"**

